დიპლომატიური კარუსელი ტრიალებს A2

სად ვართ? საით მივდივართ? როგორ ვიაროთ? A8

მეცნიერება და ტექნიკა B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 8 ივლისი, 2004 წელი. №160 (709)

ფასი 50 თეთრი

ერედვი

პროვოკაციის მოლოდინში

ქართველმა სამშვიდობოებმა ზუსტად მიგვითითეს ის ადგილი, სადაც ოსები გზას თხრიდნენ, მეტის უფლება მათ ჩვენთვის არ მოუციათ.

გუშინდელი დღიდან დიდი და პატარა ლიახვის ხეობების დამაკავშირებელი შემოვლითი გზა ჩაიკეტა. გუშინ, დილის თერთმეტ საათზე პატარა ლიახვის სოფელ ერედვთან ოსებმა ეს დამაკავშირებელი გზა გადათხარეს. მათ იქ ხუთი ერთეული ჯავშანტექნიკა და ორი ბულდოზერი შეიყვანეს.

თამარ მჭედლიშვილი

მთელი დღის განმავლობაში ბულდოზერები მუშაობას არ წყვეტდნენ - ისინი გზას თხრიდნენ. თუკი დილის საათებში ერედვიდან ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო ჯავშანტექნიკის დანახვა, დღის მეორე ნახევარში ოსებმა სამხედრო მანქანები გადამალეს. თუმცა, დასაზვერად ასულ ქართველ სამშვიდობოებს სოფელში ერთი და იგივე ინფორმაცია ჩამოჰქონდათ - სამხედრო ტექნიკა ადგილზეა, ბულდოზერები გზის თხრას აგრძელებენ...

ასე რომ, ამ შემოვლით გზას, რომელიც ტყის მთიან მასივზე გადის, გუშინდელი დღიდან ოსების შეიარაღებული ასკაციანი ჯგუფი აკონტროლებს. თუკი პატარა ლიახვის სოფელ ერედვს დანარჩენ საქართველოსთან დაკავშირების პრობლემა არ აქვს, დიდი ლიახვის სოფლები - თამარაშენი და ქურთა მთლიანად მოწვეტილი არიან საქართველოს და, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იქ სიტუაციას ოსები აკონტროლებენ.

თავად ერედვში ვითარება საგრძნობლად დამუხტულია - ქართველი სამშვიდობოები სოფელში შეიარაღებულები დადიან და ოსების მხრიდან სერიოზულ პროვოკაციას ყოველ წუთს ელიან. ამის მიუხედავად, სოფელში ღრმად დარწმუნებულები არიან, რომ ქართველების მხრიდან გადადგმული ნებისმიერი აგრესიული ნაბიჯი პროცესებს უმართავს გახდის. ამიტომაც, ერედველები გარეგნულად სიმშვიდეს ინარჩუნებენ.

მთელი დღის განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობა სოფლის ცენტრში იყო შეკრებილი და შექმნილ ვითარებაზე ბჭობდა. **"ამ გზიდან ახლა ოსები ყველაფერს შესანიშნავად აკონტროლებენ - ჩვენ ხელის გულზე ვჩანვართ. სოფელში შემოსასვლელ ნებისმიერ ბილიკს შესანიშნავად ხედავენ. შეიძლება, გვესროლონ კიდეც,"** - ამბობდა ერთ-ერთი ერედველი. მეორე კი იმაზე წუხდა, რომ თბილისიდან არანაირი სამხედრო დახმარება არ ჩანდა. **"მას მერე, რაც ირაკლი ოქრუაშვილმა რუსების სამშვიდობოებს საზენიტო დანადგარები ჩამოართვა, გვეგონა, ჩვენს ხეობაში ქართული ჯარი შემოვიდოდა. აგერ, დღე გადის, მაგრამ თბილისიდან არც ერთი სამხედრო მანქანა არ გამოჩენილა,"** - აცხადებდა იგი.

და მაინც - იმის მიუხედავად, რომ ერედველები ოსების მხრიდან პროვოკაციის მოლოდინში იყვნენ, სოფელში პანიკა არ სუფევდა. მეტიც: არასწორი აღმოჩნდა

გაგრძელება A3 გვერდზე

"კოკოითის ბოლო გაბრძოლება"

ასეთია მიხეილ სააკაშვილის შეფასება

სოფო ბუკია

გუშინ დილით, დაახლოებით, ხუთ საათზე, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, სოფელ ქურთასთან საქართველოს შინაგანი ჯარის წარმომადგენლებმა ვლადიკავკაზიდან ცხინვალისკენ მომავალი 10 სატვირთო ავტომანქანა დააკავეს.

სატვირთო ავტომანქანები, რომლებსაც 40-მდე რუსი სამხედრო აცილებდა, 300-მდე უმართავი სარაკეტო დანადგარით, რადიოგადამცემებით, საწვავით, კარვებითა და სხვა საბრძოლო საშუალებებით იყო დატვირთული.

როგორც რუსი სამშვიდობოები განმარტავენ, აღნიშნული ტვირთი მათი კუთვნილებაა და ვლადიკავკაზიდან ცხინვალში აეროდრომის მოსაწყობად მიჰქონდათ. მათივე თქმით, ტვირთის გადაადგილება ქართულ მხარესთან იყო შეთანხმებული, თუმცა ქართველი სამშვიდობოები აცხადებენ, რომ სარაკეტო დანადგარების შესახებ არაფერი იცოდნენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

შანსი არმიისკენ საზოგადოების შემოსაბრუნებლად

ახალი ხელისუფლების პირველი სამხედრო გაწვევის ზოგიერთი ტენდენცია

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება", სპეციალურად "24 საათისთვის"

წელს თავდაცვის ბიუჯეტი, შარშანდელთან შედარებით, თითქმის ორჯერ არის გაზრდილი, ხოლო აჭარის დემილიტარიზების შემდეგ საქართველოს არმიის სამხედრო საწყობებში საკმარისზე მეტი შეიარაღება და ტექნიკა დაგროვდა. ახლა მთავარია, მოახერხებს თუ არა საქართველოს ახალი ხელისუფლება, შეასრულოს წინასაარჩევნო დაპირება და ამ იარაღს ღირსეული პატრონი მიუჩინოს, მოტივირებული ჯარისკაცების სახით. ამას ყველაზე უკეთ გამოაჩენს საგაზაფხულო სამხედრო გაწვევის კამპანია, რომელიც უკვე დასასრულს მიუახლოვდა.

"ექიმებმა შეგამოწმეს? რაიმე პრეტენზია, ან პრობლემა თუ გაქვს? ნასამართლევი ხომ არა ხარ

გაგრძელება A3 გვერდზე

პოლიტიკა

გზა ევროსტრუქტურებისკენ

კონსტანტინე ზალდასტანიშვილი ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში ჩართვას საქართველოსთვის მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევს.

A3

ეკონომიკა

რა სჭირდება საქართველოს მოსახლეობას და რას დააფინანსებს

საქართველო ახალი გრანტის მოლოდინშია, ამჯერად კი მისი მიღება შესაძლებელი იქნება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ათასწლეულის მხარდაჭერის პროგრამაში წარმატებული მონაწილეობის შემთხვევაში.

A4

უცხოეთი

ყაზახეთი საპარლამენტო არჩევნების წინ

დემოკრატიული რეფორმების მხარდაჭერით ნაზარბაევი საპრეზიდენტო ადმინისტრაციის ხელში ხელისუფლების კონსოლიდაციის მცდელობის დამალვას ლამობს.

A5

საზოგადოება

პასუხი არ ისმის...

მეორე დღეა, საბერძნეთის საელჩოსთან ერთი მუჭა ქართველობა იკრიბება და პასუხს ითხოვს კითხვაზე : ვინ არის პასუხისმგებელი ჯვრის მონასტერში ჩადენილ ვანდალურ აქტზე?

A6

ამინდი

	8/7	9/7
თბილისი	32	31
ქუთაისი	34	29
ბათუმი	31	27
სოხუმი	31	27
ფოთი	32	27
თელავი	30	29
ზუგდიდი	33	28
გორი	30	27

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.9200
ევრო	2.3725
გირვანქა სტერლ.	3.5491
რუბლი	0.0661

ფართო საინფორმაციო სექტორი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" რანგართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ევროისტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "ბულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განამარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანგებათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმოწერის თარიღზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

24 საათი

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი; 3 თვით - 39 ლარი; 6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 28487440.

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 მეცნიერება და ტექნიკა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

გზა ევროსტრუქტურებისკენ

ბარბარა აბერკელაშვილის ფოტო

კოტე ზალდასტანიშვილი: "ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ინტეგრაციის პროცესი დავაჩქაროთ".

"ერთ კვირაში საქართველოში ჩამოვა, უსაფრთხოების და თავდაცვის ევროპული პოლიტიკის ფარგლებში კანონის უზენაესობის განმტკიცების ხელშემწყობი სპეციალური მისია. ეს არ იქნება მორიგი ტექნიკური დახმარების პროგრამა. იგი ფინანსდება არა ტრადიციულად, ევროკომისიის მიერ, არამედ ევროკავშირის თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკის ხაზით. ერთწლიანი, მკაცრად განსაზღვრული მისიის შედეგები საბოლოოდ ევროკავშირის საბჭოს გენერალური მდივნის მაგიდაზე აღმოჩნდება. მისიის ფუნქციონირებას პირადად ხავიერ სოლანა გააკონტროლებს. საქართველო მეორე ქვეყანაა ევროპის კონტინენტზე, სადაც მსგავს მისიას წარმოგზავნიან," - ეს განცხადება გუშინ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, ევროგაერთიანებებთან საქართველოს მისიის ხელმძღვანელმა კონსტანტინე ზალდასტანიშვილმა გააკეთა. მისიის წარმომადგენლები იმუშავებენ მინისტრების დონეზე, სავარაუდოდ - ძალოვან უწყებებში, სახალხო დამცველის აპარატში, პრემიერ-მინისტრის აპარატში, უშიშროების საბჭოში, უზენაეს სასამართლოში. ზალდასტანიშვილის თქმით, სპეციალური მისიის შედეგებზე ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული: **"ამიტომ, ყველა უწყებამ ეფექტურად უნდა ითანამშრომლოს ხსენებულ მისიასთან და იგი მორიგ საკონსულტაციო საქმიანობასთან არ უნდა გააიგივოს".**

კონსტანტინე ზალდასტანიშვილი ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში ჩართვას საქართველოსთვის მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევს. **"როცა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაზე ვსაუბრობთ, განსაკუთრებით უნდა გავუსვათ ხაზი, რომ თითოეული ქვეყნის მიმართ მიდგომა არის ინდივიდუალური. სამოქმედო გეგმები და მომავალი თანამშრომლობა ამ ჩარჩოში დამოკიდებული იქნება კონკრეტულ ქვეყანაში გატარებული რეფორმების შედეგებზე, ამ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე".**

პირველ ეტაპზე, სავარაუდოდ - სექტემბერში, ევროკომისია საქართველოში თავის ჯგუფს მოავლენს. ჯგუფი წლის ბოლომდე იმუშავებს. ამის შემდეგ მომზადდება ე.წ. ანგარიში ქვეყნის შესახებ. **"მასში აისახება საქართველოს წარმატებები და პრობლემები. დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი მომავალი წლის გაზაფხულზე გამოქვეყნდება. სწორედ ამ დოკუმენტის საფუძველზე, ევროკავშირის წევრი ქვეყნები მიიღებენ გადაწყვეტილებას, როდის და რა ფორმით დაიწყება მოლაპარაკებები საქართველოსთან ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით."** სამოქმედო გეგმაში აისახება ისეთი საკითხები, როგორიცაა თანამშრომლობა უსაფრთხოების კუთხით, ასევე - კონფლიქტების დარეგულირების თვალსაზრისით. საქართველოს ეძლევა სავაჭრო შეღავათების მინიჭების შესაძლებლობა. სამეზობლო პოლიტიკა ბაზარზე შეღწევის გამარტივებასაც ითვალისწინებს.

კონსტანტინე ზალდასტანიშვილის განცხადებით, ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხში, როგორიცაა ევროკავშირთან ურთიერთობა, მთელი ხელისუფლება უნდა იყოს ჩართული. სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა ჩამოაყალიბონ თავიანთი პოზიცია ე. წ. სამოქმედო გეგმასთან მიმართებაში.

კონსტანტინე ზალდასტანიშვილი ევროკავშირის გაფართოებას ისტორიულ მოვლენას უწოდებს და დასძენს: **"ამ გაფართოებამ გააქრო ის საზღვარი, რომელიც არსებობდა ევროპაში. საზღვრების მოშლა იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირში ახალი გამყოფი ხაზები არ უნდა გაჩნდეს."**

როდის განვრიანდება საქართველო ევროკავშირში? ევროგაერთიანებებთან საქართველოს მისიის ხელმძღვანელის აზრით, ამჟამად ვადებზე საუბარი ძნელია: **"ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ინტეგრაციის პროცესი დავაჩქაროთ. ბოლოს და ბოლოს, ჩვენთვის მთავარია, რომ საქართველოში ადამიანის უფლებები იყოს დაცული, დაინერგოს საბაზრო ეკონომიკის პრინციპები, დამკვიდრდეს კანონის უზენაესობა. ყველაფერი ეს კი მიიღწევა იმ გზის გავლით, რასაც ევროინტეგრაცია ჰქვია."**

ვერიკო თევზაძე

ფინანსური პოლიცია თაღლითების წინააღმდეგ

რამდენიმედღიანი შესვენების შემდეგ, ფინანსურმა პოლიციამ მუშაობა კვლავ გააქტიურა. ამჯერად ფინანსური პოლიციის თბილისის ოპერატიული სამმართველოს თანამშრომლების ხელში "მაგთიკომის" მონობარათების რეალიზატორი კომპანიის თანხების მითვისებაში ეჭვმიტანილი მარინა ჭკადუა აღმოჩნდა.

როგორც გაირკვა, მარინა ჭკადუა მომსახურების ერთ-ერთი ოფისიდან 11 ათასი ლარის ღირებულების მონობარათები გაიტანა, რეალიზაციის შემდეგ თანხა კომპანიისთვის არ აუნაზღაურებია და სრულად მითვისია. მანვე, ბიზნესის წამოწყების მიზნით, ვინმე თინა ბეგიაშვილს 5900 დოლარი გამოართვა. "ჭკადუას აღნიშნული თანხით ოქრო უნდა შეეძინა და უფრო ძვირად გაეყიდა, რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგება კი თანაბრად უნდა გაენაწილებინათ. დაპირების მიუხედავად, მან თანხა სრულად მიითვისა," - აცხადებენ ფინანსურ პოლიციაში. გარდა ამისა, ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, ჭკადუამ ვინმე ლალი ლილიაშვილ-ნიკურაძეს 2900 დოლარი და 500 ლარი ლომბარდის გასახსნელად გამოართვა და სანაცვლოდ, შემდგომი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების თანაბრად გაყოფას დაჰპირდა. ჭკადუას არც ლომბარდი გაუხსნია და არც თანხა დაუბრუნებია.

მოტყუებული მოქალაქეების კითხვაზე, სად წავიდა აღებული თანხა, ჭკადუა პასუხობდა - დამაყაჩაღესო. ხოლო კითხვაზე, თუ რატომ არ მიმართა შესაბამის უწყებებს, ის აცხადებდა, რომ ტაქსით მიდიოდა, უცხო პირებმა დააყაჩაღეს, მხოლოდ მანქანის ფერი ახსოვს და სიბნელეში ვერც ავტომანქანის მარკა და ვერც ნომერი გაარჩია.

მარინა ჭკადუას გარდა, ფინანსურმა პოლიციამ თაღლითობის მუხლით, სისხლის სამართლის საქმე შპს "ინტელექტის" მეპატრონის ირინა კორბესაშვილის მიმართაც აღძრა.

როგორც ირკვევა, პოლიციაში კორბესაშვილის შესახებ რამდენიმე საჩივარი შევიდა. მისი ფირმა სტუდენტებს საზღვარგარეთ გაშვებას ჰპირდებოდა. კორბესაშვილი ცრუ ინფორმაციას ავრცელებდა, თითქოს ფირმას საქართველოში "სოროსის ფონდის" წარმომადგენლობასთან და დიდი ბრიტანეთის საელჩოსთან ხელშეკრულება ჰქონდა დადებული და მის საფუძველზე მოქალაქეებს საზღვარგარეთ სასწავლებლად ნახევარ ფასში გაუშვებდა. რეალურად არანაირი ხელშეკრულება არ არსებობდა. კორბესაშვილმა მოქალაქეებისაგან მოტყუებით 25 ათასი დოლარი აიღო და მითვისა.

24 საათი

უცხოელმა ინვესტორმა ტრამვირებული პენსიონერებისა და რეაბილიტაციის მმართველის შეხვედრა რაშალა

რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ასამდე ტრამვირებული პენსიონერი გუშინ დილით ქარხნის რებილიტაციის მმართველთან, ბენო ქაშაკაშვილთან შესახვედრად მივიდა, თუმცა ისინი დაცვამ შენობაში არ შეუშვა. საწარმოს ამჟამინდელი ინვესტორის მოთხოვნით, მეტალურგიული კომბინატის სამმართველოს შენობასთან ოპერატიულად გამოცხადდა რუსთავის პოლიციაც. მათ ხალხს დაშლა და სახლში წასვლა ურჩიეს.

"ამ შენობის და ქარხნის მეპატრონეები ჩვენ ვართ. ქაშაკაშვილს ეს შეხვედრა ჩვენთან უნდა შეეთანხმებინა, რაც არ მომხდარა. განა საშვების გარეშე ნორმალურ დანესებულებაში შესვლა შეიძლება?! რეაბილიტაციის მმართველი ჩვენს კუთვნილ კაბინეტში ზის და ჩვენს წესებს უნდა დაემორჩილოს. პენსიონერები მოიწვია სასაუბროდ?! რატომ რუსთაველი მეეზოვეები ან რუსთაველი მძღოლები არა?" - ასეთი იყო შპს "რამკ"-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის ალექსანდრ სერიოგინის კომენტარი. მან ასევე განაცხადა: **"პენსიონერებსა და რეაბილიტაციის მმართველს შორის ქარხნის სამმართველოს შენობაში შეხვედრა რომ შემდგარიყო, ცუდი არაფერი მოხდებოდა, მაგრამ აქ მიტინგების ჩატარების უფლებას აღარავის მივცემთ."**

"რა თქმა უნდა, მიტინგის ჩატარება არც მიცდია. შეხვედრაზე მოვიდნენ ადამიანები, რომლებმაც საკუთარი ჯანმრთელობა დატოვეს ქარხანაში და გული შესტკივათ მასზე. ჩემი აზრით, ეს ადამიანები იმსახურებდნენ, რომ წლების მანძილზე ქარხნის ხელმძღვანელობიდან ვინმე დალაპარაკებოდა მათ და აეხსნა, თუ რა ხდება ქარხანაში. მით უფრო, რომ ისინი ამ მოთხოვნით ქუჩაში არაერთხელ გამოვიდნენ და უამრავი აქციაც მოაწყეს. მიუხედავად ყველაფრისა, ეს კარი ყოველთვის დაკეტილი იყო მათთვის. მე გავაღე ის სამი თვის წინ და დღეს ისევ დაკეტეს," - განაცხადა რეაბილიტაციის მმართველმა ბენო ქაშაკაშვილმა, რომელმაც სიტუაციის გამწვავებას თავი აარიდა და პენსიონერებს თავად სთხოვა დაშლილიყვნენ. ქაშაკაშვილის თქმით, ის მომხდარზე შესაბამის რეაგირებას აუცილებლად მოახდენს და სასამართლოში სარჩელს შეიტანს.

ხვალ უზენაესი სასამართლო მეტალურგიულ კომბინატში ინვესტორის დარჩენა-არდარჩენის საკითხს განიხილავს. სასამართლოს საბოლოო ვერდიქტს უკვე ერთი წელია ელოდებიან დავაში ჩართული მხარეები. სერიოგინი დარწმუნებულია, რომ "არესი" კვლავ ინვესტორის სტატუსით დარჩება საწარმოში. ქარხნის რეაბილიტაციის მმართველი კი სპეციალური სახელმწიფო კომისიის დასკვნაზე მიუთითებს და აცხადებს, რომ ქარხნის ქონების "არეს"-ზე გადაფორმებისას კანონი არაერთგზის დაირღვა და ამის დამადასტურებელი არაერთი დოკუმენტი არსებობს.

ყოჩაღ პოლიციელებს ფულად პრემიებს ურიგებენ

მარნეულის რაიონში პოლიციის ახალი უფროსი ზუსტად ათი დღის წინ დაინიშნა და ამ ათ დღეში მარნეულელმა პოლიციელებმა ხუთი მსხვილი ნარკომოვაჭრის დაკავება მოასწრეს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი 1967 წელს დაბადებული ედიზარ მურადოვის დაკავება იყო, რომელსაც 65 გრამი უმაღლესი ხარისხის ჰეროინი აღმოუჩინეს. როგორც ქვემო ქართლის პოლიციის უფროსი კობა შარვაძე აცხადებს, ასეთი დიდი რაოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება პოლიციას 5-6 წელია არ დაუკავებია და ამიტომ ოპერაციაში მონაწილე პოლიციელებმა შინაგან საქმეთა მინისტრისგან მადლობები და ფულადი პრემიები მიიღეს. ბიჭები ძალიან გახარებულები და გაკვირვებულები არიანო, - ამბობს პოლიციის უფროსი.

მაია მოსიაშვილი

ორ კვირაში - კიდევ ერთი საგადასახადო კოდექსი

ლევან ხარბედიას ფოტო

საქართველოს ბიზნეს კონფედერაცია საგადასახადო კოდექსის პროექტზე მუშაობას იწყებს.

ექსპერტთა რვაკაციან ჯგუფს კოდექსის საკუთარი ვარიანტი მზად ზუსტად ორ კვირაში ექნება. "რეგიონში ყველაზე რეფორმატული და ყველასათვის მისაღები საგადასახადო კოდექსი საქართველოს ექნება," - აცხადებდნენ გუშინ კონფედერაციის წევრები. მათ გუდაურში სამუშაოდ გამგზავრების წინ, საგადასახადო სისტემის ძირითადი კონცეფციის პრეზენტაცია მოაწყვეს.

პრეზენტაციაზე გუშინ შეკრებილი ბიზნეს კონფედერაციის წევრები, რომელიც, თავის მხრივ, საქართველოს გადამხდელთა კავშირს, ამერიკის სავაჭრო პალატას, დამსაქმებელთა ასოციაციას და კიდევ რამდენიმე ბიზნეს-ჯგუფს აერთიანებს, მთავრობის ეკონომიკური გუნდის მიერ მომზადებულ საგადასახადო კოდექსზე, მხოლოდ გადაკვრით საუბრობდნენ. რამდენიმე მათგანმა ისიც კი აღიარა, კოდექსის პროექტზე მხოლოდ ზერელე წარმოდგენა მაქვსო. **"პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ეს კოდექსის მხოლოდ ნედლი მასალაა, ამიტომაც მის წასაკითხად დრო არ დამიკარგავს,"** - გვითხრა იმ ჯგუფის ერთ-ერთმა ლიდერმა, რომელიც დღეიდან კოდექსის საკუთარ ვარიანტზე იწყებს მუშაობას. ისინი კი, ვისაც ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული 150-გვერდიანი საგადასახადო კოდექსის წაკითხვა არ დაეზარა, აცხადებდნენ, რომ მასში ძალიან ბევრი კარგი და პროგრესული რამ არის, **"რასაც ჩვენს კოდექსში აუცილებლად გავითვალისწინებთო".**

ხელსაყრელი, კონკურენტუნარიანი და სტაბილური საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბება, საგადასახადო ბაზის ლეგალიზება და კორუფციის მოტივაციის შემცირება - ეს ის სამი ძირითადი მიზანია, რომელიც საფუძვლად დაედება ბიზნეს კონფედერაციის მიერ მომზადებულ ახალ საგადასახადო კოდექსს. სხვათა შორის, ზუსტად ამავე მიზნებზე საუბრობდა პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით სასტუმრო "მეტეხში" შეკრებილი, მთავრობის ეკონომიკური გუნდი, როცა მათ ბიზნესმენებს საკუთარი საგადასახადო კოდექსის პროექტი წარუდგინეს.

განსაკუთრებული სიახლით არც პრინციპები გამოირჩეოდა, რომელზეც გუშინ ისაუბრეს: გადასახადების რაოდენობისა და განაკვეთების ოპტიმიზაცია, გადასახადების გამოთვლის დეკლარირება და გადახდის წესის გამარტივება, კანონმდებლობის არაორაზროვნება, გადასახადის წინასწარ აკრეფის დაუშვებლობა და ზედმეტად გადახდილი თანხების შეუფერხებელი, უპირობო დაბრუნება გადასახადის გადამხდელისთვის, საგადასახადო დავების გადაწყვეტა მხოლოდ სასამართლო ან არბიტრების წესით, გადასახადის გადამხდელის ანგარიშისა და ქონების დაყადაღების შესახებ გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს მიერ, საგადასახადო ურთიერთობებში გადამხდელსა და სახელმწიფო ადმინისტრაციის პარტნიორობა, სასჯელისა და ფინანსური სანქციების ადეკვატურობა.

ეთერ მამულაშვილი

დიპლომატიური კარუსელი ტრიალებს

ლევან ხარბედიას ფოტო

საპროცედურო კომიტეტის სხდომა.

დიპლომატიური უწყების შიგნით სერიოზული სტრუქტურული რეორგანიზაცია იწყება - მალე ზოგიერთ ქვეყანაში ახალი საელჩო გაიხსნება, "მრავალსუბიექტიანი" საელჩოები კი ცალკე "ერთეულებად" დაიშლება. შესაბამისად, ჩაირთვება საკადრო კონვეირი - საგარეო საქმეთა სამინისტროს "ფრიადოსან" თანამშრომლებს საზღვარგარეთ დაასაქმებენ, ვადაგასულ ელჩებს კი სამინისტროს ცენტრალურ აპარატში დააბრუნებენ.

გუშინ პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტში იმ ელჩების კანდიდატურებზე იმსჯელეს, რომლებიც პრეზიდენტმა საკანონმდებლო ორგანოში წარადგინა და რომლებსაც პარლამენტი უახლოეს რეგგარეშე სესიაზე დაამტკიცებს. კერძოდ, დავით აფციაური ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის რესპუბლიკებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გახდება, ხოლო ნათია ჯაფარიძე, საფრანგეთში ელჩობას, იუნესკო-ში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობასაც შეუთავსებს.

კომიტეტის სხდომაზე მიწვეული საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლაშა ჟვანია ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ საქართველოს ბალტიისპირეთის ქვეყნებში საელჩო დღემდე არ ჰქონია და მხოლოდ გენერალური საკონსულო ფუნქციონირებდა (საელჩოს გახსნა სწორედ ამ საკონსულოს ბაზაზეა ნავარაუდევი). "სტატუსის გაზრდას" ლაშა ჟვანია იმით ხსნის, რომ ბალტიისპირეთის სახელმწიფოებთან ურთიერთობა, ევროინტეგრაციის თვალსაზრისით, საქართველოსთვის სულ უფრო მზარდ მნიშვნელობას იძენს.

დღეს საქართველოს საზღვარგარეთ თავისი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების პრობლემაც დაუდგა. ამ საქმეში კი განუზომლად დიდია იუნესკო-ს როლი. ამიტომ, გუშინ ნათია ჯაფარიძე პარლამენტში კარგად დამოძღვრეს და "დამრტყმელ ძალადაც" კი გამოაცხადეს. საკანონმდებლო ორგანოში სჯერათ, რომ იუნესკო-ში წარმომადგენლობა ნათია ჯაფარიძისთვის არ გახდება საფრანგეთში ელჩობის ფორმალური დანამატი. პარლამენტარებს ისიც ეიმედებათ, რომ მომავალ ელჩს ევროპულ სტრუქტურებთან მუშაობის დიდი გამოცდილება გააჩნია (ამჟამად იგი ევროსაბჭოს საინფორმაციო სამსახურის დირექტორია).

კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს ელჩის თანამდებობაზე წარდგენილი ლევან ასათიანის კანდიდატურის ირგვლივაც უნდა ემსჯელათ, მაგრამ ვინაიდან ეს უკანასკნელი პრეზიდენტ სააკაშვილს ახლავს ირანში, განხილვა სამომავლოდ გადაიდო.

რაც შეეხება თავად საელჩოების რეორგანიზებას, ლაშა ჟვანიას თქმით, ახლო მომავალში ისინი სამ კატეგორიად დაიყოფა. პირველი იქნება ე.წ "დიდი საელჩოები", რომლებიც იფუნქციონირებს აშშ-ში (იმუშავებს 12 დიპლომატი), რუსეთსა (15 დიპლომატი) და ევროკავშირში (9 დიპლომატი, პლუს 3 ტექნიკური მუშაკი). მეორე კატეგორიაში შევა ე.წ "ტიპური საელჩოები", 4-6 დიპლომატით თითოეულში, ხოლო მესამე კატეგორიას შეადგენენ ე.წ "საელჩოები, რეზიდენციით თბილისში" (პოლონეთის, ავსტრიის, სლოვენიის და სხვა ქვეყნების საელჩოები).

ლაშა ჟვანიას თქმით, მესამე კატეგორიის შენახვა სახელმწიფოს შედარებით იაფი დაუჯდება. ამ ფაქტორს კი დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მიმდინარე წელს საელჩოებს დაფინანსება უმცირდებათ, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი საქართველოს დავალიანებამ (მხოლოდ საწევრო შესატანის სახით) 30 მილიონ დოლარს მიაღწია. კერძოდ, გაერო-სადმი დავალიანებამ უკვე 7,25 მილიონი დოლარი შეადგინა და როგორც ლაშა ჟვანია აღნიშნავს, ამ ორგანიზაციაში საქართველო ხმის დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას.

საპროცედურო საკითხთა კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე პარლამენტარ გია კენჭაძისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხიც განიხილეს (როგორც ცნობილია, ეს დეპუტატი, ბათუმელი ბიზნესმენისთვის ფულის გამოძალვის გამო, სამართალდამცავებმა მაისში დააკავეს). რეგლამენტის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილებამდე დეპუტატს უფლებამოსილება მხოლოდ უჩერდება. როგორც კომიტეტის თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილი აცხადებს, გია კენჭაძემ წერილობით მიმართა პარლამენტის თავმჯდომარეს და თავისი სადეპუტატო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა ითხოვა.

კომიტეტის წევრებმა ყოფილი კოლეგის "ბოლო სურვილი" ერთხმად დააკმაყოფილეს.

გიორგი ასანიშვილი

ჟვანიამ ნოღაიდელი უყურადღებობაში დაადანაშაულა

პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია მინისტრებს პარლამენტარებთან თანამშრომლობისაკენ მოუწოდებს.

ოთხშაბათს გამართულ მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა მინისტრთა კაბინეტის წევრებს კანონის შესრულება და პარლამენტართა შეკითხვებზე პასუხების გაცემა მოსთხოვა.

ჟვანიას განცხადებით, პარლამენტარები ჩივიან, რომ სამინისტროებიდან ვერ იღებენ პასუხებს მათთვის საინტერესო შეკითხვებზე. ეს შენიშვნა განსაკუთრებით ფინანსთა მინისტრს - ზურაბ ნოღაიდელს ეხება.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მისი მუშაობის პერიოდში არ დაუშვებს დამატებითი ბიუროკრატიული ბარიერების შექმნას პარლამენტსა და მინისტრთა კაბინეტს შორის.

მიღებული შენიშვნის გამო, ზურაბ ნოღაიდელმა თავის მართლება სცადა და განაცხადა, რომ მოსდის დეპუტატთა 800 გვერდისგან შემდგარი შეკითხვები, რომელთა დამუშავება მოკლე დროში ვერ ხერხდება.

თუმცა, ზურაბ ჟვანიამ ეს არგუმენტი არ მიიღო და განაცხადა, რომ კანონის ფარგლებში არც ერთმა მინისტრმა არც ერთი პარლამენტარის შეკითხვა უპასუხოდ არ უნდა დატოვოს.

24 საათი

ზუგდიდში დაკავებების სერიალი გრძელდება

ზუგდიდის საოლქო პროკურატურამ გუშინ ეჭვმიტანილის სახით შპს "ფერის" ხელმძღვანელი დავით შარაბიძე დააკავა, რომელიც ბოლო დროს კახეთის ტერიტორიაზე მცირე ჰესების მშენებლობით იყო დაკავებული. პროკურატურა მას 1,5 მლნ ლარის მითვისებას ედავება. როგორც ზუგდიდის საოლქო პროკურორი როლანდ ახალაია აცხადებს, ეს 12,5 მლნ ლარი ზუგდიდის საოლქო-საგადასახადო ინსპექციიდან თვითნებურად მითვისებული 7 მლნ ლარის ნაწილია. შარაბიძეს ბრალს ოფიციალურად დღეს წაუყენებენ. დაკავებულის ადვოკატი ლევან იოსელიანი აცხადებს, რომ შარაბიძე უკანონოდ დააკავეს და მის გასათავისუფლებლად იგი ყველაფერს იღონებს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პროკურორის როლანდ ახალაიას განცხადებით კი, დავით შარაბიძეს, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, 3-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელის.

ინტერ-პრესი

მიხეილ სააკაშვილი ირანის პრეზიდენტს შეხვდა

ირანში ოფიციალური ვიზიტით მყოფი პრეზიდენტი სააკაშვილი თავის ირანელ კოლეგას მოჰამედ ჰათამს შეხვდა.

"ირანის ისლამურ რესპუბლიკას კავკასიაში სტაბილურობის შენარჩუნება მნიშვნელოვნად მიაჩნია," - განაცხადა მოჰამედ ჰათამინ. "ირანისთვის მნიშვნელოვანია კავკასიის რეგიონის სახელმწიფოების და საქართველოს დამოუკიდებლობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება," - განუცხადა ჟურნალისტებს ირანის პრეზიდენტმა.

მისი თქმით, "სიმშვიდე და სტაბილურობა - ყოველმხრივი კავშირ-ურთიერთობის განვითარების პირველი პირობაა". ჰათამიმ აღნიშნა, რომ "ირანი პატივს სცემს ქართველი ერის დემოკრატიულ გარდაქმნებს, ტერიტორიულ მთლიანობას და განვითარებას". თავის მხრივ, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ "საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტია ევროკავშირთან შეერთება, თუმცა ეჭვგარეშეა, რომ ეს გარემოება ირან-საქართველოს ურთიერთობის განვითარებას ხელს არ შეუშლის". "ირანი საქართველოს უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პარტნიორია და როგორც სავაჭრო-ეკონომიკურ და ენერგეტიკულ სფეროებში, ისე საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის - "ჩრდილოეთ-სამხრეთის" ფარგლებში ორმხრივი თანამშრომლობა გაფართოვდება," - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. ჰათამიმ და სააკაშვილმა აღნიშნეს, რომ ორმხრივი ურთიერთობის განვითარებისთვის არსებული პოტენციალი არასაკმარისად გამოიყენება. მათ ხაზი გაუსვეს სხვადასხვა სფეროში ირან-საქართველოს თანამშრომლობის დონის ამაღლების აუცილებლობას.

ინტერ-პრესი, მედია-ნიუსი

აფხაზებისგან შევიწროებული ქართველები თავშესაფარს ითხოვენ

გალის რაიონის სოფელ ჭუბუხინჯიდან აფხაზურმა მხარემ 4 ქართული ოჯახი გამოასახლა იმ მოტივით, რომ მათი შვილები ქართულ ჯარში მსახურობენ. ამურ ყოლბაიას, ბესიკ ახალაიას, ზაურ გოგოხიას და ნოდარ აბლოთიას ოჯახები გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში ცხოვრობდნენ. როგორც აფხაზების მიერ გამოძევებული ქართველები აცხადებენ, მათ აფხაზმა შეიარაღებულმა პირებმა 4 დღის ვადა მისცეს, რათა ამ ხნის განმავლობაში თავიანთი შვილები ჭუბურხინჯში დაებრუნებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კატეგორიული ზომების მიღებით იმუქრებოდნენ.

ამჟამად ყოლბაია, ახალაია, გოგოხია და აბლოთია ოჯახების სრული შემადგენლობით ზუგდიდში იმყოფებიან. გუშინ ისინი პრეზიდენტის რწმუნებულთან სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში ლერი ჭითანავასთან იმყოფებოდნენ. გამოსახლებულები რწმუნებულს ზუგდიდში თვშესაფარს სთხოვენ.

ინტერ-პრესი

ელგუჯა ჯამბურია დააკავეს

გუშინ, გვიან ღამემდე, გენერალურ პროკურატურაში სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის ყოფილ უფროსთან საგამოძიებო მოქმედება - დაკითხვა ტარდებოდა. დაკითხვის დასრულებისთანავე, ყოფილი მაღალჩინოსანი, რომლის სახელსაც მრავალი ხმაურიანი და სკანდალური საქმე უკავშირდება, შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების საკანში გადაიყვანეს.

ბოლომდე გასაიდუმლოებული დარჩა ელგუჯა ჯამბურიას დაკავების დეტალები. თანამდებობის ბოროტად გამოყენება და უფლებამოსილების გადამეტება - ეს ის ბრალდება გახლავთ, რომელსაც ელგუჯა ჯამბურიას პროკურატურა წარუდგენს. გამოძიება მას მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლაში ედავება. საუბარია ორი წლისწინანდელ, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსობისას ჩადენილ დანაშაულზე. როგორც ირკვევა, სამხარეო პოლიციის შეფმა პროცესუალური ნორმების დარღვევითა და კანონის გვერდის ავლით, საკუთარი საქმიანობით ბულგარელების დაყაჩაღების "საქმე გააფუჭა". გამოძიება ჯერჯერობით არ აკონკრეტებს, როგორ დაარღვია კანონი და პროცესუალური ნორმები მაღალჩინოსანმა პოლიციელმა.

24 საათი

თბილისის საკრებულო "ჟინვალჰესის" მთავრობისთვის დაბრუნებას ითხოვს

თბილისის საკრებულო "ჟინვალჰესის" ჰიდროელექტროკომპლექსის ქალაქის მთავრობის მართვაში დაბრუნებას ითხოვს. საკრებულოს უმრავლესობამ დღის წესრიგში ენერგოკომპანია "ჟინესთან" გაფორმებული ხელშეკრულების შეჩერების და "ჟინვალჰესის" მუნიციპალურ შ.პ.ს.-დ ჩამოყალიბების საკითხი დააყენა.

ქალაქ თბილისის ეკონომიკური რეფორმებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას და მთლიანად საკრებულოს მიაჩნია, რომ ჟინვალის ჰიდროელექტროკომპლექსის და შპს "თბილწყალკანალის" ერთიან მმართველობაში აღმოჩენა ქალაქის ხელმძღვანელობას საშუალებას მისცემს, პრიორიტეტულად იქნას მიჩნეული ჟინვალის ჰიდროელექტრო კომპლექსის საქმიანობის წარმართვა დედაქალაქის წყალმომარაგების პრობლემების გადასაწყვეტად და არა მხოლოდ იქ წარმოებული იაფი ჰიდროელექტროენერგიის წყალობით ვიწრო კომერციული ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

1995 წელს შპს "ჟინერს" მართვის უფლებით გადაეცა ჟინვალის ჰიდროელექტროკომპლექსი. მაშინ იგი შეფასებული იყო 18 მლნ ლარად, რაც, საკრებულოს წევრთა განცხადებით, ობიექტის რეალურ ღირებულებას არ შეესაბამებოდა, რადგან, უცხოელ ექსპერტთა გაანგარიშებით, ჟინვალჰესის ჰიდროელექტროკომპლექსის რეალური ფასი 57 მლნ დოლარია.

ხელშეკრულების შესაბამისად, "ჟინერს" სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად უნდა შეეტანა ობიექტის ღირებულების 10 პროცენტი. აქედან გამომდინარე, იმის გამო, რომ ობიექტის ღირებულება არასათანადოდ იყო შეფასებული, თბილისის ბიუჯეტი სოლიდურ თანხებს კარგავს.

"აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ ამ პერიოდში ცალკეული სამართალდამცავი ორგანოების და ქალაქის ყოფილი ხელმძღვანელობის გულგრილობის შედეგად შპს "ჟინერმა" დუშეთის რაიონული სასამართლოს ხელშეწყობით კვლავ მოახერხა მხარეთა შორის საიჯარო ურთიერთობათა ვადის 15 წლით გაგრძელება. ჟინვალჰესი ანუ "ჟინერი" არის წყალკანალის საკუთრება. ჩვენ შეგვიძლია 150 კვ/სთ გავყიდოთ, მაგრამ დედაქალაქის ბიუჯეტიდან 5-6 მილიონს ვიხდით, რათა ვიყიდოთ ელექტროენერგია მეტროსთვის, ტროლეიბუსებისათვის და სხვა ობიექტებისათვის," - განაცხადა ფრაქცია "დემოკრატების" თავმჯდომარემ დავით ხუციშვილმა.

ამჟამად შპს "თბილწყალკანალისა" და ქალაქის მთავრობის მიერ აღნიშნული გადაწყვეტილება, ახალაღმოჩენილ გარემოებათა გამო, გასაჩივრებული იქნა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. საკრებულოს წევრთა განცხადებით, საკრებულოს თავმჯდომარის ზაზა ბეგაშვილის მითითებით, შეიქმნა საკრებულოს ინტერფრაქციული კომისია, რომელიც აღნიშნულ საკითხს შეისწავლის.

ხატია მეკოკიშვილი

ორი სიტყვით

ბათუმი. კობა დავითაშვილმა ბათუმში სპეციალური განცხადება გააკეთა რუსეთიდან ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში უკანონო იარაღის შეტანის ფაქტთან დაკავშირებით. დავითაშვილის თქმით, დროა, ხელისუფლებამ ცხინვალში შინაგანი ჯარი შეიყვანოს, ვინაიდან ქართული მოსახლეობა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მხრიდან ზეწოლას განიცდის და "საჭიროა ქართველების დახმარება". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. წინა მოწვევის პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი მიიჩნევს, რომ დროა, ქართულმა მხარემ ცხინვალის რეგიონიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის საკითხი დააყენოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. რუსეთი აქტიურად მუშაობს, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტთან ყაზახეთის მიერთება არ დაუშვ

ერედვი პროვოკაციის მოლოდინში

პირველი გვერდიდან

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები იმედიანად არიან, "ორ დღეში ყველაფერი დამთავრდება," - ეს ფრაზა გუშინ საკმაოდ ხშირად ისმოდა...

გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მოსახლეობა სოფლიდან ბავშვებს და ქალებს ხიზნავდა, არ დადასტურდა ხმები იმის თაობაზეც, რომ ოსებმა სოფლიდან ქალი და ბავშვი გაიტაცეს. **"სოფლის დატოვებას არავინ აპირებს. აქ ვცხოვრობთ და ჩვენს აყრას ვერავინ შეძლებს,"** - ასეთი სულისკვეთება სუფევდა სოფელში.

მთელი დღის განმავლობაში, შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულს მიხეილ ქარელს და ლიახვის ხეობის მაჟორიტარ დეპუტატს გურამ ვახტანგაშვილს ერედვი არ დაუტოვებიათ. ისინი რამდენჯერმე მიუახლოვდნენ იმ გზასაც, რომელიც ოსებს ჰქონდათ დაკავებული. მართალია, რუსმა სამშვიდობოებმა პირობა დადეს, რომ ვითარების გაკონტროლებას საკუთარ თავზე აიღებდნენ, ქართული მხარე მაინც განსაკუთრებულ სიფხიზლეს იჩენდა. მით უფრო, რომ საზენიტო დანადგარებთან დაკავშირებული სკანდალი მოდუნების უფლებას არავის აძლევდა.

"ვითარება მართლაც დაძაბულია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ უახლოეს დღეებში სიტუაცია განიმუხტება," - ასეთი კომენტარი გააკეთა ქარელმა "24 საათთან" საუბრისას.

ოსების მიერ დაკავებულ პოზიციებთან მიახლოება ჩვენთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა - საავტომობილო გზა იმდენად გაფუჭებული იყო, რომ იქ ორხიდიანი მანქანის გარეშე ასვლა შეუძლებელი იყო. ჩვენ ოსების მიერ დაკავებულ პოზიციებთან მიახლოება მაინც შევძელით. თუმცა, ქართველი სამშვიდობოები განსაკუთრებული სიფრთხილისკენ მოგვიწოდებდნენ და გვაფრთხილებდნენ, რომ ოსებთან ახლოს მისვლა საშიში იყო, რადგან პროვოკაციის ალბათობა საკმაოდ დიდი იყო. ქართველმა სამშვიდობოებმა ზუსტად მიგვითითეს ის ადგილი, სადაც ოსები გზას თხრიდნენ, მეტის უფლება მათ ჩვენთვის არ მოუციათ.

სოფელში დაბრუნებულები კი პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს გივი თარგამაძეს და კომიტეტის წევრს დავით კირკიტაძეს შევხვდით. გივი თარგამაძის თქმით, ამ ნაბიჯით ოსებმა, ფაქტობრივად, დიდი შეცდომა დაუშვეს, რასაც საქართველოს ხელისუფლება ადეკვატურ ნაბიჯებს დაუპირისპირებს. კონკრეტულად რას მოიმოქმედებს თბილისი, ჯერ კიდევ უცნობია. თუმცა, ერთი რამ ცხადია - საქართველოს ხელისუფლებას სამოქმედო გეგმა აქვს. ამიტომაც, თბილისიდან ჩასულები ერედველებს სიმშვიდის შენარჩუნებისაკენ მოუწოდებდნენ. **"ორ დღეში ყველაფერი დამთავრდება,"** - ეს ფრაზა გუშინ საკმაოდ ხშირად ისმოდა...

საგულისხმოა, რომ დღის პირველ ნახევარში სოფლის მოსახლეობა შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულს იარაღის დარიგებას სთხოვდა. მათი არგუმენტები ასე ჟღერდა: ოსები ქალებსა და ბავშვებს აიარაღებენ. ჩვენ კი მათ შიშველი ხელებით ვერ შევებრძოლებითო.. თუმცა, დღის მეორე ნახევარში ასეთი მოთხოვნა ერედველების მხრიდან აღარ ისმოდა - ისინი მთლიანად ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელთა რჩევებს მიენდვნენ...

"კოკოითის ბოლო გაბრძოლება"

პირველი გვერდიდან

გუშინ დილითვე, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, შემოვლითი გზის გავლით, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა მინისტრები და შინაგანი ჯარის სარდალი ჩავიდნენ.

მოგვიანებით, საქართველოს შს მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა აღნიშნული ტვირთის კონფისკაციის გადაწყვეტილება მიიღო.

ამ გადაწყვეტილების გახმაურების შემდეგ, დიდი ლიახვის ხეობაში ცხინვალში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების სარდალი სვიატოსლავ ნაბდზოროვიც გამოჩნდა. გენერალ ნაბდზოროვის განცხადებით, აღნიშნული ტვირთის შემოტანა სრულიად კანონიერია და ეს ფაქტი შერეული ოთხმხრივი საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდა. ნაბდზოროვის განცხადებით, აღნიშნულ გადაწყვეტილებას ხელს ქართული მხარის წარმომადგენელი, სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტის საკითხებში გოგა ხაინდრავაც აწერს.

ირაკლი ოქრუაშვილმა, გუშინ დილითვე, საავიაციო ჭურვებით დატვირთული ორი სამხედრო მანქანის ("კამაზისა" და "ურალის" ტიპის ავტომანქანები) კონფლიქტის ზონიდან გამოყვანის გადაწყვეტილება მიიღო. ოქრუაშვილის ამ გადაწყვეტილების საპასუხოდ, ოსურმა მხარემ თვითაღიარებულ სამხრეთ ოსეთის კონტროლსდაქვემდებარებული სამშვიდობო ბატალიონიდან მძიმე ტექნიკა გამოიყვანა და შინაგან საქმეთა მინისტრის კორტეჟს სოფელ ერედვთან გზა გადაუკეტა. მძიმე ტექნიკის ეკიპაჟის წევრები აცხადებდნენ, რომ აღნიშნული დავალება სამშვიდობო ძალების სარდლობისგან მიიღეს და შს მინისტრს ერედვი-გორის საავტომობილო გზის მონაკვეთზე გადაადგილების უფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მისცემდნენ, თუ ქართული მხარე რუსული ტექნიკით დატვირთული ავტომანქანების გაყვანაზე უარს იტყვის. ამის პასუხად, ოქრუაშვილი თავად ჩაჯდა "ურალის" მარკის სამხედრო მანქანაში, რომელიც საავიაციო ჭურვებით იყო დატვირთული, და ოსური მხარის მიერ მოწყობილი კორდონის გვერდის ავლით თავად გაიყვანა მანქანა გორის მიმართულებით. საავიაციო ჭურვებით დატვირთული მეორე სატვირთო ავტომანქანის უსაფრთხო გაყვანა შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსმა ალექსანდრე სუხიტაშვილმა მოახერხა.

ამის შემდგომ, პატარა ლიახვის ხეობასთან დამაკავშირებელ შემოვლით გზაზე ვითარება კიდევ უფრო გამწვავდა. სამშვიდობო ძალების რუსული და ოსური ბატალიონის წარმომადგენლებმა მძიმე სამხედრო ტექნიკა გამოიყვანეს. სამშვიდობო ძალების ოსური ბატალიონის წარმომადგენლებთან ერთად, იქ დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებიც გამოჩნდნენ. 300-მდე ფორმიანი ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეც გადმოვიდა.

სოფელ ერედვიდან ორ-სამ კილომეტრში განლაგებულნი არიან ოსური მხარის შეიარაღებული წარმომადგენლები, რომელთაც უკვე მთლიანად დაიკავეს ქართული სოფელი ფრისი.

■ ■ ■

სამხრეთ ოსეთში გართულებული სიტუაციის განხილვას მიეძღვნა მთავრობის გუშინდელი სხდომის დიდი ნაწილიც. როგორც შს მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა, ამ ფაქტზე უშიშროების სამინისტროში უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და აუცილებლად უნდა გაირკვეს, თუ ვისთან შეთანხმების საფუძველზე ხდებოდა იარაღის ცხინვალში შეტანა.

ოქრუაშვილმა ნაბდზოროვის სიტყვები მოიშველია, რომელიც აცხადებს, რომ სამშვიდობოებისათვის ვერტმფრენების შეყვანის თაობაზე შეთანხმება საქართველოს მთავრობასთან არსებობდა. როგორც ოქრუაშვილი აღნიშნავს, მისთვის გაუგებარია, მთავრობის რომელმა წევრმა დადო ასეთი შეთანხმება და რატომ არ გახმაურდა ეს ფაქტი. ამასთან მინისტრი ხაზს უსვამს, რომ ინციდენტი უკვე ამოწურულია, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

მოგვიანებით, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, ოქრუაშვილმა დააკონკრეტა მთავრობის ამ წევრის ვინაობა და აღნიშნა, რომ დაიკითხება სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა, რომელიც საქართველოს მთავრობის სახელით ოთხმხრივ მოლაპარაკებებში იღებდა მონაწილეობას.

ამასთან, როგორც მთავრობის სხდომის დაწყების წინ ჟურნალისტებს ხაინდრავამ განუცხადა, შეთანხმება რუსეთის მხარესთან მხოლოდ ვერტმფრენების მომავალში შესაძლო შეყვანაზე არსებობდა. მისი თქმით, იგი მზადაა ცხინვალში იარაღის შეტანის მცდელობის ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით უშიშროების სამინისტროს ნებისმიერ შეკითხვაზე გასცეს პასუხი.

მოგვიანებით, გოგა ხაინდრავამ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და აღნიშნა, რომ მან 2 ივნისს, ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაზე, ხელი მოაწერა პროტოკოლს, რომელიც 1996 წლის 10 ივლისის მანდატით იყო გათვალისწინებული. მისი თქმით, ამ პროტოკოლით საბრძოლო მასალების შემოტანა შეთანხმებული არ ყოფილა.

"იმ შეხვედრას, როდესაც ხელი მოეწერა ამ დოკუმენტს, ვანო მერაბიშვილი და გოგი თავთუხაშვილიც ესწრებოდნენ," - აღნიშნა ხაინდრავამ.

■ ■ ■

ცხინვალის რეგიონში ვითარების დაძაბვას გამოეხმაურა თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძეც. **"ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით სახელმწიფო ყველა ღონეს ხმარობს. ჩართულია უშიშროების და შინაგან საქმეთა სამინისტროები. ღმერთმა არ ქნას, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად თავდაცვის სამინისტროს ჩარევა გახდეს აუცილებელი. თუმცა, სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ გვინდა მშვიდობა, მშვიდობიანად საკითხის მოგვარება, ჩვენ უნდა ვიყოთ მზად ომისთვის და ნებისმიერი გართულებისთვის. ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტმა დაგვისახა. ჯარი არსებობს იმისთვის, რომ იყოს მზად, ნებისმიერ მომენტში შეასრულოს დაკისრებული ვალდებულება,"** - განაცხადა გიორგი ბარამიძემ.

■ ■ ■

სამხრეთ ოსეთში განვითარებულ მოვლენებსა და ქართული მხარის გადაწყვეტილებებს მოსკოვის ოფიციალურ წარმომადგენელთა მკვეთრი განცხადებები მოჰყვა. რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ ქართული სპეცდანიშნულების რაზმების მიერ ცხინვალში რუსი სამშვიდობოების კუთვნილი ტექნიკის დაკავებას და კონფისკაციას პროვოკაცია უწოდა. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი ვიაჩესლავ სედოვი აცხადებს, რომ რუსი სამხედროები ქართველმა სპეცრაზმელებმა სცემეს, პირადი ნივთები წაართვეს და მანქანებიდან სანავავი გადმოასხეს.

"რუსული მხარე ჩამორთმეული სამხედრო ქონების დარუნებას ცდილობს," - აცხადებს სედოვი.

იგივე პოზიციას აფიქსირებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი. იგი აცხადებს, რომ რეგიონში უკანონო არაფერი ხდება და აღნიშნული შეიარაღების გადაადგილება ქართულ მხარესთან იყო შეთანხმებული.

პროვოკაციად აფასებს ქართული მხარის ქმედებას ასევე რუსეთის ელჩი საქართველოში ვლადიმერ ჩხიკვიშვილიც.

რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილის ნიკოლოზ კორმილცევის განცხადებით კი, უახლოეს ხანებში სამხრეთ ოსეთში მოქმედი სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში ვერტმფრენების ჯგუფი აუცილებლად შეიქმნება. მისი თქმით, ამგვარი ჯგუფი 2002 წლამდე არსებობდა, შემდეგ ის კონფლიქტის ზონიდან გაიყვანეს, ვინაიდან ამოცანები, რომელიც მას უნდა შეესრულებინა, არ არსებობდა. **"ახლა ამგვარი ამოცანები გამოჩნდა,"** - აღნიშნა კორმილცევმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, სამშვიდობო ძალებს არანირი იარაღი არ შეჰქონდათ. **"ისინი თავის მისიას ასრულებენ და მათი მისია მხოლოდ მშვიდობის უზრუნველყოფაა და არა რომელიმე მხარისთვის მხარდაჭერა. ამიტომ, ბრალდება მათ მიმართ - ეს არის ქართული მხარიდან პროვოკაცია,"** - აცხადებენ რუსეთის საგარეო უწყებაში.

■ ■ ■

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სიტუაციის დაძაბვასთან დაკავშირებით კომენტარები რუსეთის სახელმწიფო სათათბიროშიც გაკეთდა.

რუსეთის სათათბიროს ფრაქცია "ლეოპ"-ის წევრის ალექსანდრ მიტროფანოვის თქმით, შესაძლოა რუსეთმა ოსეთის კონფლიქტთან დაკავშირებით ნეიტრალიტეტი შეინარჩუნოს და არ დაეხმაროს არც ქართულ და არც ოსურ მხარეს, თუმცა **"რუსეთი არ იქნება პასუხისმგებელი, თუ ვინმე თვითნებურად მოინდომებს ოსეთისთვის დახმარების გაწევას. საუბარია არაოფიციალურ პირებზე, რომლებსაც სახელმწიფო ვერ გააკონტროლებს,"** - აღნიშნა მიტროფანოვმა.

რაც შეეხება "ედინნაია როსიას" ერთ-ერთი წევრის ნიკოლაი ბეზბოროდოვის (თავდაცვის კომიტეტის წევრი) შეფასებას, იგი აცხადებს, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალები ასრულებენ თავის მისიას კონფლიქტის ზონაში, **"თანაც, ასრულებენ კარგად"**. რუსეთის სამშვიდობო ძალები ასრულებენ ასევე ხელმძღვანელობისგან მიცემულ დავალებებს, ასე რომ, არ შეიძლება ისინი რაიმე ქმედებებში დადანაშაულდნენ. მისი თქმით, **"საქართველოს ამ მხრივ ზედმეტი მოუვიდა".**

"საქართველომ თავს ბევრის უფლება მისცა," - ამასვე აცხადებს დუმის დსთ-ს კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრ კოკოშინი. მან ზემდეტი კომენტარისგან თავი შეიკავა და მხოლოდ ამ ფრაზით შემოიფარგლა.

რუსეთის სათათბიროს დემოკრატიული ფრთის წარმომადგენლებმა ამ საკითხის კომენტირება არ ისურვეს.

■ ■ ■

ცხინვალის რეგიონში განვითარებულ მოვლენებს ირანში ვიზიტით მყოფი, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თეირანიდან ეხმაურება.

საქართველოს პრეზიდენტმა ცხინვალში მომხდარ ინციდენტს **"კოკოითის ბოლო გაბრძოლება"** უწოდა, ხოლო ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს შს მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის მიერ სახელმწიფო მინისტრ გიორგი ხაინდრავასადმი გამოთქმული პრეტენზიები **"უბრალო გაუგებრობად"** შეაფასა.

საქართველოს საგარეო უწყების განცხადება

ლევან ხორბალაძის ფოტო

საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება გიორგი გომიაშვილმა გააცნო საზოგადოებას.

"საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო შეშფოთებას გამოთქვამს საბრძოლო და ფეთქებადსაშიში იარაღის, უმართავი რაკეტების საქართველოს ტერიტორიაზე უკონტროლო მოძრაობის გამო და მიიჩნევს, რომ მსგავსი ქმედებები ქვეყანაში უსაფრთხოებასა და სტაბილურობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის. საქართველოს ხელისუფლება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას უჭერს მხარს... ქართული მხარე ერთგული რჩება რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებს შორის მიღწეული შეთანხმებისა. საქართველოს ხელისუფლება იმედს გამოთქვამს, რომ რუსეთის ფედერაციის შესაბამისი ორგანოები მიიღებენ ყველანაირ ზომებს ვითარების გამოსწორებისა და დაძაბულობის განმუხტვისათვის," - ნათქვამია განცხადებაში, რომელიც საქართველოს საგარეო უწყებამ გაავრცელა.

"მუშაობა მიმდინარეობს. დამატებით ინფორმაციას ოპერატიულად გაცნობებთ," - ასე აირიდა ჟურნალისტების კითხვები საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, რომელმაც ეს განცხადება საზოგადოებას გააცნო.

24 საათი

შანსი არმიისკენ საზოგადოების შემოსაბრუნებლად

პირველი გვერდიდან

ან რაიმე ხომ არ დაგიშავებია და რაიმე პრობლემა ხომ არა გაქვს პოლიციასთან?" - ეს არის ბოლო გასაუბრება, რომელსაც სამხედრო ნაწილში ჩარიცხვამდე წვევამდელი თბილისში მდებარე ცენტრალურ გამწვევ-გამანაწილებელ პუნქტზე გადის. ტრადიცია ფორმალურია, მაგრამ არა საქართველოს ხელისუფლების მიერ ახლად დანიშნული რაიონის გამგებლების, გამწვევი განყოფილების უფროსებისა და პოლიციის უფროსებისათვის. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა არმიის დაკომპლექტება პირად კონტროლზე აიყვანა, ადგილობრივი ხელისუფლება "ნემსის ყუნწში ძვრება", რათა საქართველოს პრეზიდენტის მიერ დასახული ამოცანა შეასრულონ.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლება 60 პროცენტითაც ვერ ასრულებდა სამხედრო გაწვევის გეგმას, რაც უბრალო ენაზე ნიშნავს, რომ მთელი ადმინისტრაციული რესურსი უძლური იყო ექვს თვეში ერთხელ შეეკრიბა დაახლოებით 8 000 წვევამდელი, მაშინ, როცა შეჯერებული მონაცემებით, საქართველოში დღეს დაახლეობით 100 ათასამდე 18-დან 27- წლამდე ასაკის, ანუ სამხედრო ვალდებულების მქონე მოქალაქე ცხოვრობს.

წინა წლებთან შედარებით, მიმდინარე გაწვევის ტენდენცია, ჯერჯერობით, დამაიმედებელია. სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლის გოჩა გოგიშვილის თქმით, **"უკვე გაწვეულია 6000- მდე მოქალაქე. თანაც გაწვევის გეგმამ, რომელიც თავდაპირველად 8400 კაცს შეადგენდა, კორექტირება განიცადა თავდაცვის სამინისტროში მომხდარი რეორგანიზების შემდეგ. ასე რომ, გაწვევის ბოლომდე მხოლოდ 1000 კაციღა დარჩება გასაწვევი. გარდა ამისა, 4000-მა ფული გადაიხადა."** საუბარია გადავადების მოსაკრებელზე, რომელიც ოფიციალურად 2000 წელს დაკანონდა და, 200 ლარის გადახდის შემთხვევაში, წვევამდელს ერთი წლის განმავლობაში სამხედრო ვალდებულებისაგან ათავისუფლებს. თანხა არც ისე დიდია, მაგრამ ზოგიერთი მმობელი ფულის გადახდაზეც უარს ამბობს და შვილსაც შეგნებულად, სახელმწიფოსადმი უნდობლობის გამო უმალავს კომისარიატის მუშაკებს.

"მე თავად უბინაო ვარ და ვისი სახლების დასაცავად გავუშვა შვილი? ან სანდონი არიან?" - კითხულობს ერთ-ერთი მოქალაქე.

წელს გამწვევი განყოფილების ორგანოების თხოვნით, პოლიციამ რამდენიმე ასეთი "ჯიუტი წვეევმდელის" ძალით გამოცხადება უზრუნველყო გამწვევ პუნქტზე.

თუმცა, იძულების წესით ჯარისკაცები არ ხდებიან. სამაგიეროდ, საკუთარი ნების წინაალმდეგ ჯარში გაწვეული პირები, საბოლოო ჯამში ან დეზერტირები ხდებიან, ანდა სამხედრო ნაწილებში არასაწესდებო ატმოსფეროს ქმნიან. სამხედრო მოსამსახურეთა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარის ირაკლი სესიაშვილის თქმით, ზოგიერთი დადებითი ტენდენციის მიუხედავად, სამხედრო დანაშაულის ეს ორივე სახე დღემდე საკმაოდ გავრცელებულია საქართველოს სამხედრო სტრუქტურებში.

"უფრო გამკაცრდა კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე და ცხადია, პირობებიც გაუმჯობესდა. აქედან გამომდინარე, დეზერტირობის რიცხვმაც იკლო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ისევ აქვს ადგილი ამ სენს, რაც გამოწვეულია არასაწესდებო ურთიერთობით და დისციპლინის ნაკლებობით," - ამბობს სესიაშვილი.

სამაგიეროდ სამხედრო გამწვევ განყოფილებაში საკუთრი ნებით გამოცხადებული წვევამდელი, რაც ჯერ კიდევ დიდი იშვიათობაა, გარკვეული სიმპათიით სარგებლობს კომისარიატის თანამშრომლების მხრიდან, რაც იმაში გამოიხატება, რომ წვევამდელს შეუძლია აირჩიოს სამხედრო სამსახურის სასურველი ადგილი. მომავალ ჯარისკაცებში ასეთი მიმზიდველობა ძირითადად ვაზიანის სამხედრო ბაზას აქვს, სადაც პირველი პროფესიული სამხედრო ბრიგადა ყალიბდება და, შესაბამისად, ხელისუფლების ყურადღებაც უფრო საგრძნობია.

"სოფელ ვანათში სიით სულ 16 კაცი იყო გამოძახებული და 11 კაცი გავიწვიეთ, ანუ ვისაც ჯანმრთელობა ხელს უწყობდა და ვისაც ეკუთვნოდა, ყველა წავიდა," - ამბობს გორის სამხედო განყოფილების უფროსი გია ჭელიძე.

მაგრამ მთელი საგაზაფხულო სამხედრო გაწვევის გამორჩეული მოვლენა გახლდათ ერთბაშად ხუთი ძმის გამოცხადება გამწვევ პუნქტზე. ძმები ნებიერიძეების ამ გადაწყვეტილებამ საქართველოს პრეზიდენტს სიამაყე მოჰგვარა და მიხეილ სააკაშვილმა 26 მაისის აღლუმის სადღესასწაულო მიმართვაში საგანგებოდ გაამახვილა ამ ფაქტზე ყურადღება.

"24 საათი" დაინტერესდა, თუ როგორ წარიმართა მათი სამსახური. გაირკვა, რომ ძმები ნებიერიძეები ელიტურ მე-11 მოტომსროლელ ბრიგადაში ჩარიცხულან. სამხედრო ნაწილის მეთაურის, პოლკოვნიკ კობა ლაჭყებიანის თქმით, ასეული, რომელშიც ხუთი ძმა ნებიერიძე ირიცხება, ახლა საწვრთნელ პოლიგონზე იმყოფება.

წელს იყო შემთხვევა, როდესაც ჯარში წასვლის სურვილით გამწვევ-გამანაწილებელ პუნქტზე გამოცხადდა ახალგაზრდა, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ ეკუთვნოდა გაწვევა, რაც მხოლოდ სამხედრო ნაწილში ჩარიცხვის შემდეგ გახდა ცნობილი.

ამბობენ, რომ სამხედრო სამსახურის მიმართ ასეთ ამაღლებულ დამოკიდებულებას უკანასკნელად 1990-91 წლებში, ზვიად გამსახურდიას მიერ ეროვნული არმიის მშენებლობის დაწყების დროს ჰქონდა ადგილი. მერე და მერე, სამოქალქო დაპირისპირებამ და სამხედრო ძალის უკონტროლო გამოყენებამ, სამხედრო სამსახურს პრესტიჟი დაუკარგა და ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ქვეყანა მხოლოდ 60 პროცენტით აკომპლექტებდა სამხედრო სისტემას. საგაზაფხულო გაწვევის ზოგიერთი დადებითი ტენდენცია ცხადყოფს, რომ საქართველოს ხელისუფლებას გაუჩნდა შანსი, არა მხოლოდ შეასრულოს გაწვევის გეგმა, არამედ შემოაბრუნოს საზოგადოება არმიისადმი. და ეს, შესაძლოა, უკანასკნელი შანსი იყოს.

რა სჭირდება საქართველოს მოსახლეობას და რას დააფინანსებს

"MILLENIUM CHALLENGE CORPORATION" - პროგრამა "ათასწლეულის გამოწვევა"

ნინო გომართელი

"მწამს, რომ ეს რესურსი გამარჯვებას მოგვიტანს," - იმედისმომცემად აცხადებს ზურაბ ჟვანია.

საქართველო ახალი გრანტის მოლოდინშია, ამჯერად კი მისი მიღება შესაძლებელი იქნება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ათასწლეულის მხარდაჭერის პროგრამაში წარმატებული მონაწილეობის შემთხვევაში.

სამთავრობო ორგანიზაციის "MILLENIUM CHALLENGE CORPORATION" მიზანია, დაეხმაროს განვითარებად ქვეყნებს, უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდა და სიღარიბის დაძლევა, გაატაროს ეკონომიკური და საკანონმდებლო რეფორმები.

აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად სააგენტომ 75 კანდიდატი ქვეყნიდან შეარჩია საქართველო, სხვა 15 ქვეყანასთან ერთად, და ამით საქართველოს მიეცა უნიკალური შესაძლებლობა, მიიღოს სერიოზული დაფინანსება გრანტის სახით, თუმცა მისი მიღება არც ისე ადვილია, იგი დამოკიდებული იქნება საქართველოს მიერ წარდგენილი პროექტების უპირატესობაზე სხვა კანდიდატების მიერ წარმოდგენილ პროექტებთან შედარებით.

"ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" ბიზნეს-ფორუმი თბილისში, გუშინ, "საქართველოს ბანკში" გაიმართა და მასში მონაწილეობა, ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად, მიიღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ, ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა და გადამხდელთა კავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ისაკაძემ.

როგორც ცნობილია, მრავალმხრივი და სრული საპროექტო წინადადების მომზადების მიზნით, საქართველოს ათასწლეულის გამოწვევის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მიმართოს მოქალაქეებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ბიზნესის წარმომადგენლებს, პოლიტიკურ პარტიებს, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა, წარადგინონ საპროექტო წინადადებები და იდეები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს.

"ეს ძალზე მნიშვნელოვანი და უნიკალური ფაქტია, რადგან პირველი შემთხვევაა, როდესაც საქართველოს მთავრობა ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვისას დისკუსიისათვის საზოგადოებას იწვევს, ამ გზით უფრო ნათლად ირკვევა, თუ რა პრობლემებია და როგორ უნდა გახდეს საქართველო მიმზიდველი ინვესტიციების კუთხით," - მიმართა ბიზნეს-ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას ქვეყნის პრემიერმა დამსწრე საზოგადოებას.

მანვე მიმოიხილა ის ძირითადი პრიორიტეტები, რაც საქართველოს მიერ წარდგენილ პროგრამაში აისახება. ესენია: ინფრასტრუქტურის განვითარება, რაშიც შევა გზების, ხიდების, წყლის და სხვა პრობლემების მიგვარება; ასევე, სავარაუდოდ, პროექტში საუბარი შეეხება ცენტრალური მაგისტრალის მშენებლობას ახალქალაქი-ნინოწმინდა-წალკა-თბილისის მიმართულებით, რაც, მთავრობის აზრით, მრავალი წლის პერსპექტივით შეცვლის საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ რუკას;

ჟვანიას თქმით, პრიორიტეტულია ასევე სასოფლო-სამეურნეო სექტორი, ტურიზმი, ანუ დარგები, სადაც ყველაზე მეტი პოტენციალია ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი განვითარებისათვის.

"ამ სექტორის განვითარებისთვის უბრალოდ ფულს არ დავარიგებთ, ჩვენ შევქმნით საინვესტიციო ფონდს, რომელიც მიმართული იქნება დედაქალაქის გარეთ, რეგიონებში პროექტების დასაფინანსებლად," - აცხადებს პრემიერ-მინისტრი.

ამასთანავე, ზურაბ ჟვანიას თქმით, ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი საქართველოს მიერ მომზადებულ პროექტში იქნება სპეციალური სოციალური ინსტიტუტის ჩამოყალიბება, რომელიც იმუშავებს გზების, წყალსადენის და სხვა პრობლემების მოსაგვარებლად. უმთავრესი კი, რაც საქართველოში არის გასაკეთებელი, ეს არის სახელმწიფო მართვის ოპტიმიზაცია - მთავრობისა და ხელისუფლების რეფორმა, ბიუროკრატიის შემცირება, რისთვისაც აუცილებელია დაფინანსება.

მისივე თქმით, პრიორიტეტი ასევე აგრარული სექტორია, მათ შორის - გადამამუშავებელი მრეწველობა. გარდა ამისა, შემუშავდება სპეციალური პროგრამა, რომელიც თბილისის სასტუმროებში გააჩნია ნასახლებული დევნილების განსახლებას გაითვალისწინებს.

"ეს პროგრამა არ არის იმისათვის, რომ ქვეყნის ერთჯერადი პრობლემები მოვაგვაროთ. მან ბიძგი უნდა მისცეს ქვეყანაში ეკონომიკის სწრაფ განვითარებას. ამიტომ, მასში არ ჩაიდება პრობლემების ის სექტორი, რომლის მოგვარებაც ჩვენი ბიუჯეტითა და პილიტიკური ნებით არის შესაძლებელი," - აღნიშნავდა ზურაბ ჟვანია ბიზნეს-ფორუმზე.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, საქართველოს მიერ მოსამზადებელი პროექტისათვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტების შერჩევაში აქტიურად ჩართულია საზოგადოების ყველა ფენა, იქნება ეს რეგიონული მთავრობა, თუ ბიზნესის წარმომადგენლები მთელი საქართველოს მასშტაბით.

ფორუმები საქართველოს ყველა რეგიონში ივნისიდან დაიწყო. მათი მიმდინარეობის შესახებ, ასევე საზოგადოების აქტივობის თაობაზე და რეგიონის მოსახლეობის ძირითად პრობლემებზე ვესაუბრეთ "ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" სამუშაო ჯგუფის კოორდინატორს ლაშა შანიძეს.

მისი თქმით, სამუშაო ჯგუფს გააჩნია კითხვარები, რომელსაც საზოგადოება აქტიურად ავსებს, ამასთანავე იმართება შეხვედრები რეგიონების ხელმძღვანელებთან, არასამთავრობოებთან და ბიზნეს-სექტორთან.

"მთავარი არის ის, რომ გავარკვიოთ პრიორიტეტული საკითხები და მხედველობაში ვიღებთ ყველაზე არგუმენტირებულ რჩევებს, შემდეგ კი კეთდება ანალიზი და იკვეთება, თუ რა ესაჭიროება რეგიონს. იქიდან გამომდინარე, რომ შემოდის უამრავი ხედვა და რჩევები, მთავრობას უკვე გაუჩნდა ასპექტები, თუ რაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი," - აცხადებს ლაშა შანიძე.

მასთან საუბრისას კი ერთი საინტერესო ფაქტი იკვეთება. როგორც გაირკვა, საქართველოს მოსახლეობა "ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" სამუშაო ჯგუფს, ყველაზე მეტად ყოფითი პრობლემების მოგვარების თხოვნით მიმართავს.

"ხშირია შემთხვევები, როდესაც რეკავენ და გვთხოვენ გზის შეკეთებას, ხშირად ჩივიან, რომ არ აქვთ ელექტროენერგია და ჰგონიათ, რომ ჩვენ ფულს ვარიგებთ," - ამბობს სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, თუმცა მთავარია, რომ ირკვევა რეგიონის მაცხოვრებლების უმთავრესი პრობლემები.

პირველი, რაც მოსახლეობას თურმე აწუხებს, ეს არის სახელმწიფო მართვა, კვალიფიციური კადრების დანიშვნა და კვალიფიციური სისტემის შექმნა, რომელიც მოსახლეობისათვის ეფექტურად იმუშავებს.

"მართვის სისტემა იმდენად არეულია, რომ ადმინისტრაციულ რეფორმას საჭიროებს, რისთვისაც ფინანსები აუცილებელია, მით უმეტეს, რომ ეს მიმართულება ძალიან მნიშვნელოვანია კორუფციის აღმოფხვრის კუთხით," - აცხადებს სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი.

მისი თქმით, რეგიონებში ძირითადი მოთხოვნებია: შეიქმნას ინფრასტრუქტურა სოფლის მეურნეობაში, მოხდეს ტურიზმის სექტორის განვითარების ხელშეწყობა, ასევე, ენერგეტიკული პრობლემების მოგვარება.

"ამ პროექტზე მუშაობით საქართველო დიდ გამოცდილებას იძენს, რადგან ახალ მთავრობას საზოგადოება ეუბნება, თუ რა სჭირდება და რა უნდა გაკეთდეს," - აღნიშნავს "ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი ლაშა შანიძე.

2004 ფისკალური წლისათვის MCG- ის დირექტორთა საბჭოს მიერ შერჩეულ "ათასწლეულის გამოწვევის" პროგრამით გათვალისწინებული დახმარების მიმღებ 16 ქვეყანათა შორის, საქართველოს გარდა, არის სომხეთი, ბენინი, ბოლივია, კაბო-ვერდე, განა, ჰონდურასი, ლესოტო, მადაგასკარი, მალი, მონღოლეთი, მოზამბიკი, ნიკარაგუა, სენეგალი, შრი-ლანკა და ვანუატუ.

კორპორაცია ეყრდნობა პრინციპს, რომ დახმარება ყველაზე ეფექტურია მაშინ, როცა იგი მიმართულია ჯანსაღი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კურსის გასაძლიერებლად, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ეკონომიკური ზრდის პროცესს.

გადაწყვეტილების მიღებისას საბჭომ განიხილა, რამდენად ეფექტურად ატარებდნენ და ატარებენ კანდიდატი ქვეყნები სამართლიანი მართვის, საკუთარ ხალხში ინვესტირების და თავისუფალი ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას. საბჭომ ასევე გაითვალისწინა ამ სფეროში გატარებული პოლიტიკის გაუმჯობესებისა თუ გაუარესების ტენდენციები.

რაც შეეხება საქართველოს მთავრობის განწყობას, იგი, შეიძლება ითქვას, დარწმუნებულიცაა, რომ გრანტს მიიღებს და მას ეფექტურად აითვისებს.

"მწამს, რომ ეს რესურსი გამარჯვებას მოგვიტანს," - იმედისმომცემად აცხადებს ზურაბ ჟვანია.

აშშ-ს მთავრობის ათასწლეულის მხარდაჭერის პროგრამაში წარმატებული მონაწილეობისთვის მიეცით რჩევა საქართველოს მთავრობას

მოკლე მიმოხილვა

MCC (ათასწლეულის მხარდაჭერის პროგრამა) არის აშშ-ს სამთავრობო ორგანიზაცია, რომლის შექმნის მიზანია, დაეხმაროს განვითარებად ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, უზრუნველყონ ეკონომიკური ზრდა და სიღარიბის დაძლევა, გაატარონ ეკონომიკური და საკანონმდებლო რეფორმები. ამ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად სააგენტომ 75 კანდიდატი ქვეყნისაგან შეარჩია საქართველო სხვა 15 ქვეყანასთან ერთად. აღნიშნული შერჩევის შედეგად საქართველოს მიეცა შესაძლებლობა, მიიღოს გრანტის დაფინანსება იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი პროგრამა და მომზადებული ხელშეკრულება დააკმაყოფილებენ MCC-ს პირობებს.

ამ დოკუმენტის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროექტების და იდეების მოძიება და რეგისტრაცია, რომლებიც შევლენ საქართველოს Millenium Challenge (ათასწლეულის გამოწვევა) კომიტეტის მიერ MMC-თვის წარსადგენ საბოლოო საპროექტო წინადადებაში. აღნიშნული კომიტეტის წევრები არიან საქართველოს სახელმწიფო მოხელეები, სამოქალაქო საზოგადოების და ბიზნესის ლიდერები, პარლამანტარები და საზოგადოების სხვა წევრები.

მრავალმხრივი და სრული საპროექტო წინადადების მომზადების მიზნით, საქართველოს Millenium Challenge(ათასწლეულის გამოწვევა) კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, მიმართოს დაინტერესებულ მოქალაქეებს, არასახელმწიფო ორგანიზაციებს, ბიზნესის წარმომადგენლებს, პოლიტიკურ პარტიებს, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა, წარადგინონ ისეთი საპროექტო წანადადებები და რჩევები, რომლებიც შეესაბამებიან პროგრამის მიზნებს. წარდგენილი საპროექტო წინადადების შინაარსი **არ შემოიფარგლება კონკრეტული სფეროთი ან დარგით.**

საქართველოს Millenium Challenge კომიტეტი განიხილავს წარდგენილ რჩევებს და წინადადებებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- გრძელვადიანი და გაზომვადი ეფექტი საქართველოს ეკონომიკის ზრდაზე;
- პროექტი ხასიათდება მრავალმხრივი პოზიტიური ეკონომიკური ეფექტით (გავლენას ახდენს ეკონომიკის რამდენიმე სფეროს ზრდაზე ან ზრდის ხელმშემწყობ ფაქტორებზე);
- რატომ არის მნიშვნელოვანი ამ პროექტის განხორციელება? (პასუხში მიუთითეთ, თუ როგორ გავლენას მოახდენს წარდგენილი პროექტი ეკონომიკურ განვითარებაზე და სიღარიბის დაძლევაზე);
- მოახდენს თუ არა პროექტის განხორციელება კონკრეტული რეგიონის განვითარებაზე გავლენას? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ განმარტოთ, თუ როგორ გავლენას მოელით.
- პროექტის განხორციელების გარდა, რა დამატებითი ხელშემწყობი ინიციატივებია საჭირო, რომ პროექტის შედეგმა უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდა?
- აღწერეთ პროექტის დამოკიდებულება სხვა პროექტებთან ან ინიციატივებთან მიმართებაში. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელება ან ეფექტი დამოკიდებულია სხვა პროექტების განხორციელებაზე, მიუთითეთ ეს პროექტები და მათი თანმიმდევრობა.

წარმატების შემთხვევაში სახელმწიფო გეგმავს თანხების ინვესტირებას ეკონომიკური განვითარებისთვის შემდეგ სფეროებში:

- სახელმწიფო მართვის ოპტიმიზაცია;
- საინვესტიციო ფონდების შექმნა რეგიონებში;
- ინფრასტრუქტურა (გზები, ხიდები, წყალი, სხვა);
- ენერგეტიკა.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი რჩევა, თუ რამდენად ეფექტურად მიგაჩნიათ ამ სფეროებში ფულის ინვესტირება ან შემოგვთავაზოთ თქვენი კონკრეტული იდეა, რომელიც მიმართული იქნება ქვეყნის ეკონომიკური ზრდისაკენ.

გთხოვთ, მოგვაწოდეთ მოკლე დემოგრაფიული ინფორმაცია თქვენს შესახებ:

საცხოვრებელი რეგიონი _____

რომელ სექტორს მიეკუთვნებით?
--- კერძო
--- სამთავრობო
--- არც ერთი

საქმიანობის სფერო (გთხოვთ მიუთითოდ ორგანიზაციის სახელწოდება):

_____

_____

სახელი გვარი _____ _____

ასაკი _____

(შესაძლოა ანონიმური პასუხები და რჩევები)

საპროექტო წინადადების წარდგენასთან დაკავშირებით:

ვებ-გვერდი: www.mcg.ge

მისამართი: ჯი-ემ-თი პლაზა, თავისუფლების მოედანი, 4.

გთხოვთ, მოათავსოთ თქვენი მოსაზრებანი შესაბამის ყუთში, რომელიც განლაგებულია შენობის პირველ სართულზე.

ტელ: (995 32) 92 38 69

ფაქსი: (995 32) 92 14 80

ელ.ფოსტა: info@mcg.ge

პროექტების და რჩევების წარდგენის საბოლო ვადაა 10/07/04 17:00

ყაზახეთი საპარლამენტო არჩევნების წინ

დემოკრატიული რეფორმების მხარდაჭერა ნაზარბაევს ძალაუფლებას გაუმყარებს

ყაზახეთის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის მიერ 2004 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ წარმოდგენილი პროგრამა პოლიტიკურ რეფორმებს ითვალისწინებს, თუმცა, ექსპერტთა შეფასებით, პრეზიდენტის ეს ნაბიჯი მხოლოდ და მხოლოდ ყურადღების გადატანაა. იგი საპრეზიდენტო ადმინისტრაციის ხელში ხელისუფლების კონსოლიდაციის მცდელობის დამალვას ლამობს.

დემოკრატიული რეფორმების მხარდაჭერით ნაზარბაევი საპრეზიდენტო ადმინისტრაციის ხელში ხელისუფლების კონსოლიდაციის მცდელობის დამალვას ლამობს.

საპრეზიდენტო პარტია "ოტანის" (მამული) ყრილობაზე ნაზარბაევმა განაცხადა, რომ 19 სექტემბერს დაგეგმილი არჩევნები ქვეყნის "პოლიტიკური სიმწიფის" ტესტი იქნება. ნაზარბაევს ოპოზიცია პოლიტიკური ცვლილებების პროცესის ეკონომიკური რეფორმების გზით შეფერხებაში აკრიტიკებს. კრიტიკის საწინააღმდეგო არგუმენტად პრეზიდენტი ქვეყანაში არსებულ 4 500 არასახელისუფლებო ორგანიზაციასა და მრავალპარტიულ სისტემას იყენებს. ამგვარი პოლიტიკური მრავალფეროვნება კი ქვეყანაში დამკვიდრებულ დემოკრატიაზე მიუთითებს.

პოლიტიკურ პლურალიზმზე აქცენტის გაკეთების პარალელურად, იგი ეკონომიკურ საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას, რასაც პარტია "ოტანის" წინასაარჩევნო პროგარამაში ცენტრალური ადგილი უჭირავს. ნაზარბაევის განცხადებით, პარტიის ძირითადი მიზანი ყაზახეთში ცხოვრების დონის აღმოსავლეთ ევროპის ცხოვრების დონესთან მიახლოებაა.

პარტიის ყრილობაზე პრეზიდენტის მიერ ყაზახეთის ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებში ქვეტექსტად მაინც იკითხებოდა პოლიტიკურ ერთიანობაზე მინიშნება. რეგიონული გუბერნატორების დანიშვნის თაობაზე პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ეს პოსტი არჩევითი მხოლოდ 2006-2007 წლისთვის გახდება.

ყრილობაზე ნაზარბაევმა ბევრი ისაუბრა პარლამენტის მუშაობაზე. პირველ რიგში, მან პარლამენტს ბიუჯეტის შესრულების კონტროლში რეალური მონაწილეობის მიღებისკენ მოუწოდა.

იგი ასევე შეეხო კაბინეტების ფორმირების საკითხსაც. "პარლამენტი პასუხისმგებელია, ხმათა უმრავლესობის მიხედვით მოხდეს კაბინეტის ფორმირება," - აღნიშნავს ნაზარბაევი. მისი აზრით, სასურველია საპარლამენტო ადგილების რაოდენობის იმგვარად გაზრდა, რომ ქვეყნის მოსახლეობის გაცილებით ფართო სპექტრი იყოს წარმოდგენილი.

ანალოგიური მოსაზრებებით ადრე ოპოზიციაც გამოდიოდა. თუმცა მაშინ ამას ყურადღება არ ექცეოდა. დღეს კი, ამ წინადადების განხორციელების შემთხვევაშიც, პრეზიდენტის ხელისუფლებას შესუსტების საფრთხე მაინც არ ემუქრება.

მოცემულ მომენტში, 125 დეპუტატისაგან შემდგარ ორპალატიან პარლამენტში, უმრავლესობას პრეზიდენტის მომხრეები შეადგენენ. სექტემბრის არჩევნებში პრეზიდენტის მხარდამჭერი პარტია "ასარი", რომლის ლიდერიც პრეზიდენტის ქალიშვილია, სავარაუდოდ, ხმათა დიდ რაოდენობას აიღებს, რაც პრეზიდენტის ხელისუფლებას კიდევ უფრო გაამყარებს.

ზოგიერთი დამკვირვებლის შეფასებით, პრეზიდენტის მიერ საპარლამენტო რეფორმების 2006 წლისთვის გადადების წინადადება, გარკვეულწილად, წლევანდელი არჩევნების არასახარბიელო შედეგებით დამთავრების შემთხვევაში თავის დაზღვევაა.

პრეზიდენტმა პარლამენტის ქვედა პალატას - მეჯლისს, ასევე სენატს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ფორმირებაში უფრო აქტიური ჩართვისკენ მოუწოდა. გარდა ამისა, იგი კონსტიტუციური საბჭოს ფორმირების წინადადებით გამოვიდა, რომელიც ყაზახეთის კონსტიტუციის დაცვას გაუწევს მეთვალყურეობას.

პრეზიდენტის განცხადებით, დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების ე. წ. ეროვნულმა კომისიამ, სხვა საკითხებთან ერთად ყურადღება უნდა მიაქციოს მასმედიის უფლებებსა და კორუფციასთან ბრძოლის საკითხებს, რაც ხელს შეუწყობს ყაზახეთის პოლიტიკურ განვითარებას.

ბოლო დროს მიმდინარე მოვლენების ფონზე, მან მკაცრად გააკრიტიკა მასმედია და ოპოზიცია და აღნიშნა, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ განცხადებების გაკეთებით ისინი ხელს უშლიან სტაბილურობის მიღწევას. "დესტაბილიზაციის ნებისმიერი მცდელობა სახელმწიფოებრიობისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართულ განზრახვად იქნება განხილული," - აღნიშნავს ნაზარბაევი. "დაპირისპირების ნაცვლად ჩვენ კონსტრუქციული ურთიერთთანამშრომლობა გვმართებს," - აცხადებს პრეზიდენტი და საკუთარ თავს "კონსტიტუციის გარანტს" უწოდებს.

ვარაუდობენ, რომ არჩევნებამდე არაერთი სკანდალი და დაპირისპირება იჩენს თავს.

ამ ეტაპზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ჯერჯერობით 12 პარტიაა რეგისტრირებული, აქედან ორი - ყაზახეთის კომუნისტური სახალხო პარტია და ყაზახეთის დემოკრატიული პარტია, რომლის საარჩევნო პროგრამაც კანონმდებლობაში რეფორმების განხორციელებას ემყარება, ახალშექმნილია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინა არჩევნებში საერთაშორისო დამკვირვებელთა კრიტიკის ძირითადი საგანი ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობა იყო.

თომას კლესტილი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე გარდაიცვალა

მას ხუთშაბათს გამოსამშვიდობებელი სიტყვით უნდა მიემართა ავსტრიელი ერისათვის.

სამშაბათს ღამით ვენის ერთ-ერთ საავადმყოფოში გარდაიცვალა ავსტრიის პრეზიდენტი ტომას კლესტილი. 71 წლის პრეზიდენტი მძიმე მდგომარეობაში საავადმყოფოში ორშაბათს მოათავსეს. მიზეზი გულის გაჩერება და კლინიკური სიკვდილის დადგომა გახლდათ. ის საკუთარ ვილაზე პირადი დაცვის ერთ-ერთმა თანამშრომელმა იატაკზე დავარდნილი აღმოაჩინა. ექიმების ყველანაირი მცდელობის მიუხედავად, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

პრეზიდენტი კლესტილი მეორე საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე სულ რამდენიმე საათით ადრე გარდაიცვალა. მას ხუთშაბათს გამოსამშვიდობებელი სიტყვით უნდა მიემართა ავსტრიელი ერისათვის და პრეზიდენტად მიმდინარე წლის აპრილში არჩეული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ჰაინც ფიშერი უნდა წარედგინა.

თავისი მმართველობის პერიოდში ტომას კლესტილი ცდილობდა, ხელი შეეშალა ავსტრიის კანცლერ ვოლფგანგ შიუსელსა და ულტრამემარჯვენე "თავისუფლების პარტიის" ლიდერს - იორგ ჰაიდერს შორის სამთავრობო კოალიციის შექმნისათვის, თუმცა აღნიშნული კოალიცია მაინც შედგა. ერთადერთი, რაც კლესტილმა წარმატებით მოახერხა, იყო ის, რომ მან იორგ ჰაიდერის მთავრობაში მონაწილეობა არ დაუშვა.

ყაზახეთი და რუსეთი თანამშრომლობაზე თანხმდებიან

იტარ-ტასის ცნობით, გუშინ ყაზახეთისა და რუსეთის უშიშროების სამსახურების წარმომადგენლების შეხვედრა შედგა. ყაზახეთის დელეგაციას ეროვნული უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელი ნართაი დუთბაევი, ხოლო რუსულ დელეგაციას რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის დირექტორი ნიკოლაი პატრუშევი ხელმძღვანელობდნენ. მოლაპარაკების თემა იყო ორმხრივი თანამშრომლობის დაწყება შემდეგ სფეროებში: ტერორიზმი, ექსტრემიზმი, ნარკოკონტრაბანდასთან ბრძოლა, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის თავიდან აცილება და ინფორმაციით უზრუნველყოფა. დაგეგმილი იყო ასევე ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის საკითხის განხილვაც. საკითხების შეთანხმების შემდეგ ორივე მხარე საიდუმლო ინფორმაციის ორმხრივი დაცვის ხელშეკრულებას მოაწერს ხელს.

ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანება თავად თურქეთზეა დამოკიდებული

მიმდინარე წლის 26-29 ივნისს სტამბულში გამართულმა ნატო-ს სამიტმა თურქეთსა და დასავლეთს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობების წინააღმდეგობრივი ხასიათის დემონსტრირება მოახდინა. ერთი მხრივ, თურქეთი ნატო-ს საკმაოდ ფასეული აქტივი გახლავთ. ანკარამ გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს როგორც რადიკალური ისლამიზმის წინააღმდეგ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ბრძოლაში, ასევე ერაყსა და ავღანეთში სტაბილურობის დამყარების საკითხში. მეორე მხრივ, ევროკავშირის დამოკიდებულება თურქეთის წევრობასთან მიმართებაში საკმაოდ ცივი და სკეპტიკურია.

თურქეთმა საკმაოდ აქტიურად უნდა იმოქმედოს, რათა ხელი შუწყოს ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიაში რადიკალური ისლამიზმის ზრდასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას. ისლამურ სამყაროში სტაბილიზაციის დამყარებისა და ეტაპობრივი პოლიტიკური ცვლილებების თვალსაზრისით, თურქეთს გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოს. თუმცა, ევროპა, ნაცვლად იმისა, რომ გამოიყენოს ეს შესაძლებლობა, ანკარის მიმართ ცივად არის განწყობილი. თუ ერთიან ევროპულ ოჯახში უახლოეს მომავალში თურქების პრობლემებსა და მისწრაფებებს ყურად არ იღებენ, შესაძლოა, დასავლეთის მიმართ მათი ნდობა საგრძნობლად შეირყეს.

თურქეთი ევროკავშირისათვის დიდ თავსატეხს წარმოადგენს. ქვეყანა საკმაოდ ღარიბია, თუმცა თავისი მოსახლეობის სიდიდის წყალობით (ევროკავშირის ამჟამინდელ წევრთაგან, მოსახლეობის რაოდენობით, თურქეთს მხოლოდ გერმანია აღემატება), გაფართოებულ ევროკავშირში მნიშვნელოვანი ადგილის დაკავება შეუძლია. ადამიანის უფლებების დაცვა თურქეთში სამაგალითო არ გახლავთ, სამხედროები კი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში თავიანთი გავლენის გავრცელებას განაგრძობენ. უმნიშვნელოვანესი რამ კი ის არის, რომ თურქეთი უმეტესწილად მუსულმანური ქვეყანაა, განსხვავებით ევროკავშირში შემავალი, უმეტესწილად ქრისტიანული მოსახლეობის მქონე ქვეყნებისაგან.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირისათვის უდიდეს ღირებულებას სწორედ თურქეთის ეს თავისებურება წარმოადგენს. მუსლიმური სახელმწიფოს როლში თურქეთს შეუძლია ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან სასარგებლო კავშირების დამყარება და ამას ევროკავშირის ყველა დანარჩენ წევრ-ქვეყნებზე უკეთ მოახერხებს. ევროკავშირში თურქეთის მიღებით დადასტურდება, რომ ისლამისა და დემოკრატიის პრინციპების გაერთიანებით მდგრადი განვითარების მიღწევა და სტაბილურობის დამყარება იქნება შესაძლებელი. ევროპის მხრიდან ამგვარი სვლა არა მარტო სხვა მუსლიმურ ქვეყნებთან ურთიერთობების დარეგულირებას შეუწყობდა ხელს, არამედ თავად ევროპის მუსლიმურ მოსახლეობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგავრებაშიც დიდ წვლილს შეიტანდა.

თურქეთის პოტენციური როლი კიდევ ერთხელ იქნა ხაზგასმული, როდესაც ივნისში ქვეყნის ტერიტორიაზე ორი მასშტაბური ხასიათის შეხვედრა გაიმართა: ნატო-ს სამიტი და საგარეო საქმეთა მინისტრთა ისლამური კონფერენცია. თურქეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ორივე ზემოაღნიშნული ორგანიზაციის წევრია. მეტიც, ისლამური კონფერენციის გენერალურ მდივნად წელს თურქეთის წარმომადგენელი აირჩიეს.

თურქები ღიად აცხადებენ, რომ ევროკავშირის წევრობა მათი საგარეო პოლიტიკის ყველაზე პრიორიტეტულ მიზანს წარმოადგენს. უკანასკნელ წლებში თურქეთში მთავრობა არაერთგზის შეიცვალა, თუმცა თითოეული მათგანი ატარებდა რეფორმებს, რომლებიც სპეციალურად იყო მიმართული ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ევროკავშირის წევრობის კრიტერიუმებთან მიახლოებაზე. არცთუ დიდი ხნის წინ, ხელისუფლებამ პატიმრობიდან გაათავისუფლა ოთხი გამოჩენილი ქურთი პოლიტიკური მოღვაწე, ხოლო ახალი ამბების სახელმწიფო სამსახურმა პირველად დაიწყო მაუწყებლობა ქურთულ ენაზე. ეს ყველაფერი ხორციელდებოდა გასულ წლებში სამხედროთა მხრიდან ჩვეული ჩარევის გარეშე. თავისუფლების სახლის (Freedom House) ყოველწლიურ მიმოხილვაში, რომელიც მსოფლიოს ქვეყნებში პოლიტიკური უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების დაცვას ეძღვნება, თურქეთში ამ მხრივ, მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებაზეა საუბარი. თურქეთმა ევროკავშირის წევრობის ოფიციალური კანდიდატის სტატუსი 1999 წელს მიიღო.

მას შემდეგ, რაც თურქეთი კანდიდატი გახდა, ევროკავშირი გაწევრიანების თაობაზე კონკრეტული მოლაპარაკებების დაწყების თარიღს მუდმივად ცვლიდა. უკანასკნელ დროს, კავშირის ზოგიერთი წევრი, კერძოდ კი საფრანგეთი, გამოვიდა განცხადებებით, რომლებიც ევროგაერთიანებაში თურქეთის წვერობის პერსპექტივებს ეჭვის ქვეშ აყენებდა. მიმდინარე წლის აპრილში, საფრანგეთის პარლამენტის წინაშე გამოსვლისას, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიშელ ბარნიემ დეპუტატებს მიმართა, რომ უახლოეს მომავალში თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებაზე უარი ეთქვათ, რადგან, მისივე განცხადებით, ანკარა წევრობის კრიტერიუმებს არ პასუხობს. ამგვარი განცხადებები ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ევროკავშირის ზოგიერთი წევრი, უბრალოდ, მიზეზს ეძებს, რათა თურქეთს უარი ეთქვას.

სტამბულში ნატო-ს სამიტის დაწყების წინ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ევროკავშირს მიმართა, რომ თურქეთის მიღება დაეჩქარებინათ. მისივე სიტყვებით, "თურქეთის ევროკავშირში შესვლა დაადასტურებდა, რომ ევროკავშირი მხოლოდ ერთი რელიგიის ექსკლუზიურ კლუბს არ წარმოადგენს და "ცივილიზაციების შეჯახება" ისტორიის წარმავალ მითად დარჩება". ბუშის მიმართვას საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის მხრიდან მყისიერი კრიტიკა მოჰყვა. მან განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებს ევროკავშირის გადაწყვეტილებების მიღების შიდა პროცესში ჩარევის უფლება არ აქვთ.

ევროკავშირმა თურქეთის მიღების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყების თარიღის დანიშვნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიმდინარე წლის დეკემბრამდე უნდა მიიღოს. თუ თარიღი დასახელებული არ იქნა, ამან შესაძლოა გამოიწვიოს ის, რომ თურქეთის დემოკრატიული რეფორმებისადმი სწრაფვა შენელდეს და მნიშვნელოვანი შანსი იქნეს ხელიდან გაშვებული. ევროკავშირმა თურქეთს, დისტანცირების ნაცვლად, უნდა წაუყენოს გარკვევით ჩამოყალიბებული, მკაფიო პირობები, რომელთა შესრულებაც აუცლებელია ევროგაერთიანებაში გასაწევრიანებლად. ეს არა მარტო გაამყარებდა თურქეთის პოზიციებს დასავლეთის ქვეყნების თანამეგობრობაში, არამედ ისლამური სამყაროსა და მისი ინტერესების აღიარების დადასტურებაც იქნებოდა.

იმავდროულად, ევროკავშირმა არ უნდა დაუშვას რაიმე გამონაკლისი, თუ თურქეთი ვერ შეასრულებს მის მიმართ წაყენებულ ყველა აუცილებელ მოთხოვნას. თურქეთის მთავრობა ვალდებულია, გაატაროს შემდეგი მნიშვნელოვანი დემოკრატიული რეფორმები: ქურთული უმცირესობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სრული სამოქალაქო უფლებებით; პატიმართა წამება მთლიანად უნდა აღმოიფხვრას; სამხედროებს საბოლოოდ უნდა ჩამოერთვათ განსაკუთრებული სტატუსი, რაც მათ პოლიტიკურ ცხოვრებაზე გავლენის შესაძლებლობას აძლევს.

ევროკავშირმა არაერთხელ დაამტკიცა, რომ შეუძლია არადემოკრატიული უახლესი წარსულის მქონე ქვეყნებში დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება. ამგვარი პოლიტიკით შესაძლებელი იქნებოდა, უფრო დიდი წარმატების მოპოვება თურქეთში, რომელიც, ყოფილი კომუნისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით, დიდი ხნის მანძილზე მერყეობდა ავტორიტარულ რეჟიმსა და დემოკრატიული რეფორმებისაკენ მიმართულ კურსს შორის.

ორი სიტყვით

რუსეთი. რუსეთში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯეკ სთრო, რომელიც რუს კოლეგა სერგეი ლავროვსა და უშიშროების საბჭოს მდივანს იგორ ივანოვს შეხვდა. მოლაპარაკებების ძირითადი თემები ოფიციალურად რეგიონული კონფლიქტები, ერაყსა და ავღანეთში არსებული მდგომარეობა და ირანის "ბირთვული დოსიე" იყო. ბრიტანელი მაღალჩინოსნის განცხადებით, ერაყთან დაკავშირებით მოსკოვსა და ლონდონს შორის უთანხმოება ჯერ კიდევ არსებობს. მოლაპარაკებების შემდეგ რუს ჟურნალისტებთან საუბარში, ბირთვული იარაღის თემის გარდა, სთრო ბორის ბერეზოვსკისა და აჰმედ ზაკაევის საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ მათი გადაცემა რუსეთის ხელისუფლებისთვის არავითარ შემთხვევაში არ მოხდება. "ასეთ საკითხებს ჩვენთან, ისევე როგორც ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში, რომლებიც ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის შესაბამისად მოქმედებენ, სასამართლო ინსტანციები წყვეტენ," - განაცხადა ბრიტანეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა. **გაზეტა.რუ**

■ ■ ■

ისრაელი. ისრაელში დაფიქსირდა რიხტერის შკალით 5 ბალიანი მიწისძვრა, რომლის ეპიცენტრი მკვდარი ზღვის ჩრდილოეთით იყო. უმნიშვნელო ბიძგებს ჰქონდა ადგილი იერუსალიმსა და მდ. იორდანის ველზე. წინასწარი მონაცემებით, მიწისძვრას მსხვერპლი და ზარალი არ მოჰყოლია. **გაზეტა.რუ**

IREX

საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX)

მედია ინოვაციების პროგრამა აცხადებს კონკურსს სოციალური საკითხების გაშუქებაში

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული IREX-ის მედია ინოვაციების პროგრამის კონკურსი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ქართული მედიის მიერ აქტუალური სოციალური საკითხების უფრო ღრმად, მრავალმხრივად და სისტემატიურად გაშუქებას.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია წარმოდგენილი მასალები ეხებოდეს შემდეგი საკითხების სოციალურ შედეგებს: გარემოს დაცვა, ჯანმრთელობის დაცვა, მიგრაცია, სიღარიბე, დანაშაულება, განათლება, გენდერი და ახალგაზრდობა.

კონკურსი ჩატარდება ექვს კატეგორიაში ცალ-ცალკე: 1) სტატიების სერია; 2) კარიკატურების სერია; 3) ფოტოების სერია; 4) სატელევიზიო პროგრამების სერია; 5) სატელევიზიო ანიმაციათა სერია; 6) რადიო პროგრამების სერია. თითოეულ კატეგორიაში პირველ ადგილზე გასული ორგანიზაცია მიიღებს ფულად ჯილდოს მინიმუმ 4,000 აშშ დოლარის ოდენობით; მეორე ადგილზე გასული ორგანიზაციისათვის ფულადი ჯილდო შეადგენს მინიმუმ 3,000 აშშ დოლარს; თითოეულ კატეგორიაში მესამე ადგილზე გასული ორგანიზაცია კი მინიმუმ 2,000 აშშ დოლარს მიიღებს.

საკონკურსოდ მიიღება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც გამოქვეყნდა/გადაიცა 2004 წლის 1 ივლისის შემდეგ და არა უგვიანეს 2005 წლის 1 თებერვლისა.

განაცხადის სრული პაკეტის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ დაუკავშირდეთ IREX-ის ტრენინგის პროგრამის ხელმძღვანელს, ქეთი ჭუმბურიძეს: kchumburidze@irex-online.ge ან ესტუმროთ IREX-ის მედია ინოვაციების პროგრამის ვებ-გვერდს: www.irex.ge

ღვთისმშობლის კვართი საფრთხეშია

15 ივლისს დადიანების სასახლეში ლაქერნობის დღესასწაულს აღნიშნავენ. ამ დღეს დადიანების სასახლიდან ეკლესიაში მარიამ ღვთისმშობლის კვართს გადააბრძანებენ. ეს ერთადერთი დღეა წელიწადში, როდესაც მორწმუნეებს კვართზე მთხვევის შესაძლებლობა ეძლევათ. როგორც გაირკვა, მუზეუმის ხელმძღვანელობას კვართი მთელი წლის განმავლობაში გაზეთში სახელდახელოდ აქვს გადახვეული და არასასურველ პირობებში ინახავს. ამ და კიდევ სხვა უამრავი მიზეზის გამო, გუშინ პრინცი და პრინცესა მიურატები მუზეუმის ხელმძღვანელობის გადადგომას ითხოვდნენ. ისინი დადიანების სასხლეში ძვირფასი ნივთებისა და ექსპონატების განადგურებაზე საუბრობენ.

თამარ დვალი

გასულ წელს დადიანების სასახლეთა გადარჩენის ფონდის თავმჯდომარის გიორგი კალანდიასა და ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის დირექტორის გონელი არახამიას შორის დაწყებული დავა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში კალანდიას სასარგებლოდ დასრულდა. კალანდია მუზეუმის დირექტორს დადიანების სასახლიდან ძვირფასეულობის დაკარგვისა და ექსპონატების მოუვლელობის გამო ადანაშაულებდა. მისივე განცხადებით, რადგანაც სასახლეში უსაფრთხოების სათანადო ნორმები არ იყო დაცული, 1991 წელს მძარცველებმა საგამოფენო დარბაზიდან ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის უნიკალური სერვიზი გაიტანეს, რაც დღემდე არაა ნაპოვნი. ამავე წელს არახამიამ შესაბამის უწყებებთან შეუთანხმებლად თვითნებურად გადააკეთა ნიკო დადიანის სასახლის ტრიუმფული შესასვლელი, რითაც დამახინჯდა სასახლის უნიკალური ინტერიერი. მუზეუმის სახვითი ხელოვნების ფონდში გაფუჭდა და დაიმტვრა რესტავრირებული ფრიდრიხ კრიუგერის, პიერ ბლანშარისა და ვასილ ტიმის უნიკალური ნამუშევრები. ამ და კიდევ სხვა უამრავ ბრალდებას უყენებდა გიორგი კალანდია მუზეუმის დირექტორს. თუმცა, გენადი არახამია კვლავ თავის თანამდებობაზე დარჩა. გუშინ მუზეუმის დირექტორისა და თანამშრომლების წინააღმდეგ სამეფო გვარის წარმომადგენლებიც გამოვიდნენ.

ალენ მიურატი, რომელიც სალომე დადიანისა და აშენ მიურატის შთამომავალია, პარიზში გაიზარდა. მისმა წინაპრებმა ზუგდიდი 1919 წელს დატოვეს. ალენი თავის მეუღლესთან ერთად ამჟამად თბილისში, ზანდუკელის ქუჩაზე ცხოვრობს. დადიანების შთამომავალი სასახლეში არსებული მდგომარეობით აღშფოთებულია. **"მუზეუმის მოვლას სპეციალური განათლება სჭირდება. სასახლეში მომსახურე პერსონალს არავინ ასწავლის, თუ როგორ უნდა მოექცნენ ექსპონატებს. ამ მუზეუმში ბევრი სიმდიდრეა, რომელიც არ ჩანს, მაგრამ შენახულია. რატომღაც, თანამშრომლები თავს უფლებას აძლევენ, მათ დაქვემდებარებაში არსებული ექსპონატები გაყიდონ, რის გამოც, უამრავი ექსპონატი დაიკარგა. უძვირფასესი ფარდაგი, რომელიც სასახლეში ინახებოდა, ერთმა თანამშრომელმა გაერო-ს წარმომადგენელს შესთავაზა. დადიანების სურათები და საფრანგეთიდან ჩამოტანილი 200 წლის წინათ გამოცემული წიგნები თაგვების საჭმელად არის მიგდებული. მუზეუმის დირექციას მარიამ ღვთისმშობლის კვართი გაზეთში სახელდახელოდ აქვს გადახვეული და საშინელ პირობებში ინახავს"**, - აღნიშნეს პრინცმა და პრინცესა მიურატებმა, რომლებიც ხელისუფლებისაგან მეტ ყურადღებას ითხოვენ.

ალენის მეუღლე, ვერონიკა დე შაბო ტრამკური - პრინცესა მიურატისა პროფესიით ისტორიკოსია. იგი აკადემიკოსია და საფრანგეთის ერთ-ერთ ქალაქში მუზეუმებს ხელმძღვანელობს. როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, - კარგი სპეციალისტები გვჭირდებაო, - ქალბატონმა ვერონიკამ პრეზიდენტს მზადყოფნა აღუთქვა. **"მე საფრანგეთში რამდენიმე მუზეუმს ვხელმძღვანელობ და ვიცი, როგორი მოვლა სჭირდებათ ექსპონატებს. პრეზიდენტთან პირად საუბარში განვაცხადე, რომ მზად ვარ, საქართველოს სამსახურში ჩავდგე და ჩემი ცოდნა სხვებსაც გავუზიარო. თუმცა, არავინ შემომხმიანებია. ვღიზიანდები, როდესაც ვხედავ, რა პირობებში ინახება დადიანების სიმდიდრე. თავად სასახლე დანგრევის პირასაა მისული. კონკრეტულად, ვერავის დავადანაშაულებ. თუმცა, ხელმძღვანელი პირების შეცვლა რომ აუცილებელია, ეს ცხადია. დადიანების ხმალი, რომელიც ნაპოლეონმა აჩუქა მიურატებს, სახელმწიფო მუზეუმში გადაიტანეს და მას ნაპოლეონის ხმალი დააწერეს. საცავში შენახული ექსპონატები აუცილებლად უნდა გამოიფინოს, რადგან ძალიან ცუდ პირობებში ინახება. სანამ ამ ხალხის ხელში იქნება მუზეუმი, მისი მოვლით არავინ დაინტერესდება. სამი-ოთხი წლის წინათ საფრანგეთის საელჩომ სასახლის გადახურვისათვის ფული გამოყო, მაგრამ ეს ფული სადღაც გაქრა"**, - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ვერონიკა დე შაბო ტრამკურიმ, პრინცესა მიურატისამ.

სანამ დადიანების სასახლეში ლაქერნობის დღესასწაული დადგება, დადიანების შთამომავლები ხელისუფლებას ექსპონატების გადარჩენას კიდევ ერთხელ სთხოვენ.

ს.ს. "თელასი" აცხადებს ტენდერს საკაბელო ხოკერების მოწოდებაზე:

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ საქონელი უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება

შეუძლიათ 2004 წლის 13 ივლისამდე; მისამართი:

თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება.

ტელ: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 16 ივლისი.

ს.ს. "თელასი" აცხადებს ტენდერს მრიცხველების კარადების მოწოდებაზე:

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ საქონელი უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება

შეუძლიათ 2004 წლის 12 ივლისამდე; მისამართი:

თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება.

ტელ: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 14 ივლისი.

პასუხი არ ისმის...

დალი კუპრავა

მეორე დღეა, საბერძნეთის საელჩოსთან ერთი მუჭა ქართველობა იკრიბება და პასუხს ითხოვს კითხვაზე : ვინ არის პასუხისმგებელი ჯვრის მონასტერში ჩადენილ ვანდალურ აქტზე? გუშინდელ თავშეყრას "მუქარის" სურნელი დაჰკრავდა: ტროას ცხენის ალუზიური სიმბოლო - რუსთაველის თეატრის კავკასიური ცარცის წრიდან გადმოსული ცხენი. "რა ვართ ეს ქართველები, ყველა ერი ჩვენს სიკეთეს რატომ იბრალებს", - შეიცხადეს კანტი-კუნტა ქართველებმა გურამ შამანიდის პროვოკაციული ტირადა, - ეს ჩვენი აშენებულია, ის ჩვენი აშენებულია და მე, ბერძენმა, თან სოლოლაკელმა ბოდიში რატომ მოგიხადოთ, უბანში გავარჩიოთ საქმეო.

ცხენზე კი ხან რატი ამაღლობელი და ხან დათო ტურაშვილი ამხედრდებოდნენ.

მარიკა ამერველაშვილის ფოტო

რაზმაძის ქუჩაზე, საბერძნეთის საელჩოსთან მოწყობილი გუშინდელი აქცია კვლავ ჯვრის მონასტერში ვიღაცის მიერ დატრიალებული ვანდალური საქციელის წინააღმდეგ იყო მიმართული.

"ვინ აგებს პასუხს"; "დავიბრუნოთ ჩვენი სიწმინდეები"... ეს ლოზუნგები საზოგადოებასთან ერთად საელჩოს წინ მდგარ "კავკასიურ" ცხენზე იყო აკრული.

ცხენზე კი ხან რატი ამაღლობელი და ხან დათო ტურაშვილი ამხედრდებოდნენ.

თავიდან, მართლაც, აქცია იყო; საელჩოს თანამშრომლებიც ღიმილით ჩამოჰყურებდნენ ფანჯრებიდან; ეტყობა, მკვდარი საათი ჰქონდათ და გარეთ არ გამოდიოდნენ. შემდეგ კი ატმოსფერულმა და ემოციურმა სიცხემ თავისი ქნა და საელჩოდან პირად საქმეზე შესული ექიმი შამანიდის, ნებსით თუ უნებლიედ, პროვოკაციულმა გამოსვლამ საზოგადოება გაანერვიულა. ის ოლიმპოდან ჩამოსულივით ეახლა ქართველებს და თავის თავზე აიღო ვერდიქტის გამოტანა და საზოგადოებასთან ხანგრძლივი და ნერვიული კამათის შემდეგ განაცხადა, რომ ბერძენი ხალხი არაფერ შუაშია და, საერთოდ, მას ჯანმრთელობა არ უწყობს ხელს, თორემ დაუმტკიცებდა ქართველებს, რომ, ბერძნები რომ არა, რა კულტურა და ისტორია ექნებოდათ. ამიტომ, ბერძენი ხალხის სახელით, ის ბოდიშს არ მოიხდიდა ამ ფაქტის გამო (ვინ სთხოვა, რო?!). რაზმაძის ქუჩელებმა სოლოლაკისკენ გზა დაულოცეს და მერე დიდხანს იმეორებდნენ, - უბნურ ვარიანტში ის კაცი საცემი იყოო.

რაც შეეხება ოფიციალურ ნაწილს, საელჩოში შესულმა დათო ტურაშვილმა, ლაშა ბუღაძემ და ზურა შარიამ ამბავი გამოიტანეს : ელჩის მოვალეობის შემსრულებლის ბატონ დიმიტრიოს ტრანოსის პასუხი ტელევიზია "მზესთვის" მიცემულ გუშინდელ ინტერვიუსთან დაკავშირებით. "მზე" უკვე ჩასული თუ წასული იყო, მაგრამ, ბატონი ტრანოსის განცხადებით, გავიგეთ, რომ "წმინდა ჯვრის მონასტერი ეკუთვნის იერუსალიმის უძველეს საპატრიარქოს და საბერძნეთის მთავრობას არ შეუძლია, ჩაერიოს საპატრიარქოს საქმეებში. თუმცა, თუ მას მიმართავენ მოთხოვნით, მზად არის თავისი წვლილი შეიტანოს".

თუ არაოფიციალურ ქაღალდზე ამობეჭდილი განცხადება ბატონი დიმიტროსის მიერ საერთაშორისო კანონებით მიღებულად ჩაითვლება, მაშინ ის გვამცნობს, რომ "საბერძნეთის მხარე ნათლად გმობს კულტურის ძეგლების წინააღმდეგ მიმართულ ყველანაირ საქციელს და ქმედებას, სადაც უნდა იყოს ის ჩადენილი და სადაც უნდა მდებარეობდნენ ეს ძეგლები". იქვე აღნიშნულია, რომ ბერძნული სიწმინდეები და

უძვირფასესი ძეგლებიც ბევრჯერ გამხდარა ძალადობის საგანი და განადგურებულა.

ლაშა ბუღაძისა არ იყოს, - იქ საბერძნეთის დროშაა აღმართული და კანადის საელჩოს ხომ არ მოვთხოვთ პასუხსო. საელჩოში ამ შეკითხვაზე კორექტული პასუხი გასცეს: საბერძნეთის დროშა მართლმადიდებლური ქრისტიანობის დამაბალანსებელიაო; ანუ ბალანსისთვის ქართული, რუსული, ან უკრაინული დროშა არ გამოდგებაო.

რატომ?

აი, კიდევ ერთი შეკითხვა მომავალი აქციის ლოზუნგისთვის.

დღეს აქცია გაიმართება საქართველოს საპატრიარქოსთან და, უეჭველია, რომ ძირითადი მოთხოვნა იქნება "დავიბრუნოთ ჩვენი სიწმინდეები". ამისთვის კი საზოგადოება საპატრიარქოდან ეფექტურ ქმედებებს ელის.

რადიაქტიული საფრთხე?!

თამარ ლებანიძე ოსეთში ურანს ეძებს

ურანი - მენდელეევის პერიოდული სისტემის 92-ე ელემენტი; რადიაქტიული ნივთიერება; ძირითადად, გამოიყენება სამხედრო დანიშნულების მიზნით; მეტწილად ატომურ და ბირთვულ იარაღში; აქვს დასხივების უნარი, რაც ადამიანის ჯანმრთელობაზე მძიმე გავლენას ახდენს; ხშირ შემთხვევაში, დასხივება სასიკვდილო შედეგით სრულდება.

ოთარ ძირია

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ოსეთიდან შემაშფოთებელ ინფორმაციას იღებს: თუთია-სპილენძის საბადოს ტერიტორიაზე, კვაისში, ორიოდ დღის წინათ მონადირეებმა აქტიური მოძრაობა შენიშნეს. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ აღნიშნული ტერიტორია გამოყენებულ იქნა რადიაქტიული ნარჩენის ნაგავსაყრელად. კონკრეტულად, საუბარი ეხება ურანს, რომელიც ძალზედ სახიფათოა.

ნებისმიერ ქვეყანაში ასეთ შემთხვევაში განგაშს ატეხდნენ. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ოსეთში ჩასვლას დღეს გეგმავს. **"დილით ადგილისკენ გაემართება სპეციალისტთა ჯგუფი; გაკეთდება სინჯები ნიადაგზე, ჰაერსა და წყალზე. ამ ეტაპზე განგაშის ატეხვა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, ვინაიდან ინფორმაცია გადამოწმებული არ არის. თუმცა, ალბათობა იმისა, რომ უკონტროლო ზონაში ურანის ნაგავსაყრელს მივაკვლიოთ, ძლიან მაღალია. ამიტომაც, ჩავთვალეთ საზოგადოების ინფორმირება საჭიროდ"**, - აცხადებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი თამარ ლებანიძე.

მართალია, ოფიციალურად არ ამბობენ, მაგრამ პირად საუბრებში სამინისტროში ეჭვი არ ეპარებათ, რომ ინფორმაცია უტყუარია და ამის რამდენიმე არგუმენტი არსებობს. ინფორმაცია ვრცელდება სამი სხვადასხვა გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ და ამაზევე საუბრობენ რაჭის მკვიდრი მონადირეები. არგუმენტად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ სამხრეთ ოსეთში სუსტად, მაგრამ მის მეზობელ ჩეჩნეთში სამხედრო მოქმედებები, დიდი ხანია, მიმდინარეობს. შესაბამისად, სავსებით შესაძლოა, გამოყენებული იარაღის ნარჩენი - რადიაქტიული ნარჩენი, სწორედ ამ ტერიტორიაზე შეეტანათ. ამას თავისი დამოუკიდებელი არგუმენტიც აქვს - ტყვია ანეიტრალებს ურანის რადიაციის გავრცელებას, თუმცა - არა სრულად და არა მუდმივად.

მინისტრი ლებანიძე პოლიტიკურ ჭრილში ამ საკითხის განხილვას არც გეგმავს, თუმცა, სავსებით შესაძლებელია, აქ სწორედ პოლიტიკური ინტერესები იდოს. სამხრეთ ოსები საქართველოში დაბრუნებას ლამობენ, ეს კი ბევრს არ აძლევს ხელს ან ეშინიათ და დროულად ცდილობენ, ნაგავი უკონტროლო ადგილას გადაყარონ.

როგორ ხდება ამ ტიპის ნარჩენის მოცილება და როგორია საერთაშორისო გამოცდილება?

"1989 წელს მიღებულ იქნა კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებისა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ - ე.წ. ბაზელის კონვენცია. მისი მიზანია, სახიფათო ნარჩენების მართვა და მისი წარმოქმნის მინიმუმამდე დაყვანა. კონვენცია ძალაში შევიდა 1992 წელს და დღეისათვის მას 159-მა ქვეყანამ მოაწერა ხელი. პარალელურად, მოქმედებს სტოკჰოლმის კონვეცია მდგრად ორგანულ დამაბინძურებლებზე (მოდ), რომელიც ძალაში 2001 წელს შევიდა და დღემდე მას 200-მდე სახელმწიფომ მოაწერა ხელი. კონვენცია მოდ-ების მართვას, გაუვნებლობას და განადგურებას ისახვას მიზნად", - აცხადებს გაერო-ს, სტოკჰოლმის კონვენციის პროექტის იურისტი მაია ბითაძე.

პრაქტიკაში კი ეს კონვენციები კრძალავს ნებისმიერი სახის სახიფათო ნარჩენის თუ დამაბინძურებლის გადაზიდვას სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. ასეთი რამის განსახორციელებლად საჭიროა, პირველ რიგში, იმ ქვეყნის თანხმობა, სადაც ნარჩენი შედის. სხვათა შორის, ასეთი შეთანხმებები ევროპის მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც არსებობს, მაგრამ, ჩვენგან განსხვავებით, იქ სპეციალური ნაგავსაყრელებიც არის და ნარჩენების შენახვა არანაირ ზიანს არ აყენებს გარემოსა და ადამიანს. რადიაქტიული ნარჩენების ნაგავსაყრელის მშენებლობაზე საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო ჯერ კიდევ იმ დროიდან საუბრობს, როცა საქართველოში სტრონციულის ექვსი წყარო იპოვეს და ეპიცენტრის სიახლოვეს განთავსებულ დასახლებულ პუნქტებში ხალხმა უმძიმესი დასხივება მიიღო. თუმცა, სახელმწიფომ ამისთვის ჯერ ვერ მოიცალა. არადა, საერთაშორისო მხარდაჭერა არსებობს. მსოფლიოს ატომური ენერგეტიკის სააგენტოსთან მინისტრი ლებანიძეც თანამშრომლობს და, მისივე თქმით, ორგანიზაცია ნებისმიერ დროს ამოუდგება ქვეყანას მხარში.

ამ დრომდე ლებანიძეს ის აქვს გასარკვევი, მართლაც დაყარეს თუ არა კვაისში ურანი. **"თუ, ღმერთმა ნუ ქნას, ეს ინფორმაცია დადასტურდა, საჭირო გახდება ოპერატიული და გადაუდებელი ზომები, სპეციალური რეიდები და მაქსიმალური შრომა საფრთხის ასაცილებლად. სამინისტრო მზად არის, მთავარია სახელმწიფოს მხარდაჭერა. რაც შეეხება ოსურ მხარეს, ჩვენ გვქონდა მათთან საუბარი და შესვლის არანაირ პრობლემა არ გვექნება"**, - აცხადებს მინისტრი ლებანიძე, რომელიც საბოლოო განცხადებას ინფორმაციის უტყუარობის შესახებ ამ საღამოს გააკეთებს. მანამდე კი იმაზე ვისაუბროთ, რა არის ურანი და რამდენად საშიშია ის?

"ურანის არსებობის შესახებ პირველი ინფორმაცია 1789 წლიდან არსებობს - როცა გერმანელმა მეცნიერმა კლაპროტმა აღმოაჩინა ახალი ელემენტი "ურანი". თუმცა, ეს მხოლოდ ურანის ოქსიდი გახლდათ. სუფთა ურანი 1841 წელს ფრანგმა ქიმიკოსმა პელოგომ მიიღო მეტალური სახით. ურანი მოვერცხლისფრო, თეთრი მბზინავი მეტალია და მისი ლღვობა 1134 გრადუსზეა შესაძლებელი. დედამიწის ქერქში ურანის შემცველობა შეადგენს 2.5 X 10-4 პროცენტს. ბუნებაში ის ორი იზოტოპის სახით არსებობს - U238 და U235. პირველი მდგრადია და მთლიანი მასის 99.28 პროცენტს შეადგენს, ხოლო მეორე - რადიაქტიული ურანი - 0.71 პროცენტს. სწორედ U235 გახლავთ ის, რასაც სამხედრო დანიშნულებისთვის იყენებენ. სწორედ ეს არის რადიოაქტიული ელემენტი. ბირთვის გახლეჩის პროცესში გამოიყოფა ორი-სამი ნეიტრონი, რომელსაც დიდი რაოდენობით თავისუფალი ენერგია მოჰყვება. მათ დამოუკიდებლად შესწევთ ბირთვთან დაჯახების უნარი და, შედეგად, ახალი ნეიტრონების წარმოქმნა; ანუ საქმე გვაქვს ჯაჭვურ პროცესთან, რომლის შეჩერებაც ძალიან რთულია. ის გამოყოფს უზარმაზარ ენერგიას და სწორედ ამის შედეგად ხდება აფეთქება. ამავდროულად, ურანს აქვს დასხივების ძალიან დიდი უნარი - მისი საკმაოდ მცირე რაოდენობაც კი ადამიანისათვის სასიკვდილოა. ამდენად, როცა ვსაუბრობთ ნარჩენებზე, ერთი მხრივ, საქმე გვაქვს რადიაციულ საფრთხესთან, მეორე მხრივ კი - იმ უწყვეტ პროცესთან, რომელიც, თავისდაუნებურად, მიმდინარეობს (ნარჩენებშიც კი - ო.ქ.) და მისი შეჩერება შეუძლებელია, თუ ის ელემენტი არ მოთავსდა სპეციალურ ნაგავსაყრელში, შესაბამისი ნორმებისა და წესების დაცვით. ამდენად, თუ თქვენს მიერ ხსენებული ფაქტი, მართლაც, დადასტურდა, ის ძალიან საშიშია", - აცხადებს ქიმიკოსი მარიკა ჩხაიძე.

საჭირო ინიციატივა

"მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ბაღი," "არტოს ბაღი," "გოფილექტის ბაღი," "დედაენის პარკი," "9 მარტის პარკი," "ორბელიანების სკვერი," "გორკის პარკი," "მთაწმინდის კულტურისა და დასვენების პარკი," "გამარჯვების პარკი," "კომუნარების ბაღი," "ბოტანიკური ანუ სამეფო ბაღი" - ეს გახლავთ თბილისში არსებული ძეგლის სტატუსის მქონე ბაღ-პარკები, რომელთაც დღეს სასწრაფო რეაბილიტაცია ესაჭიროებათ.

ნინო ბერელიძე

კიდევ ერთი - პროფესორ-დენდროლოგ სოლომონ ქურდიანის სახელობის "სამეცნიერო-საცდელი პარკი," რომელიც ვაკის №152 საბაშვო ბაგა-ბაღის ტერიტორიაზე მდებარეობს, ქალაქიის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო პროგრამის ფარგლებში, გასუფთავდა და დეკორატიულად მოეწყო. პროექტს ახალგაზრდა არქიტექტორთა, მიწის მესაკუთრეთა ასოციაციები და ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი ახორციელებდნენ.

"ეს პარკი, მართლაც, ძალიან მნიშვნელოვანია ქალაქისთვის. სოლომონ ქურდიანს ამ ბაღში გამოყვანილი ჰქონდა უამრავი უნიკალური ჯიშის ხე, რომელიც 37 წლიდან დღემდე საშინლად ნადგურდებოდა. აქ უკანონოდ შენდებოდა მაღალსართულიანი საცხოვრებელი სახლები და უმოწყალოდ ბინძურდებოდა გარემო. ახალგაზრდა არქიტექტორთა ასოციაციამ, თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურის ქალაქგეგმარების განყოფილებამ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნატიფი ხელოვნების კოლეჯის მოსწავლეებთან ერთად შექმნეს მუშა ჯგუფი და სულ რაღაც 10 დღეში დეკორატიულად გაალამაზეს და მოხატეს ეს პარკი. ეს არის ქალაქის მასშტაბით ჩასატარებელი სამუშაოების მცირე ნაწილი. მომავალში ვაკის პარკში გვაქვს დაგეგმილი ანალოგიური აქცია", - განაცხადა ახალგაზრდა არქიტექტორთა ასოციაციის თავმჯდომარემ მაია ქურიძემ.

თბილისის მერიის კეთილმოწყობისა და გამწვანების სამმართველოს მთავარი დეკორატორის შალვა ისაკაძის თქმით, დაწყებული საქველმოქმედო აქციები ხელს შეუწყობს ძეგლად გამოცხადებული ბაღ-სკვერების ტერიტორიაზე ნეგატიური მოვლენების შეჩერებას. ამ პროცესში მომავალში ახალგაზრდა სპეციალისტები და სტუდენტები ჩაებმებიან. მათ საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების რეალიზების საშუალება მიეცემათ. პარალელურად, ქალაქის ბიუჯეტში დაიზოგება დიდი რაოდენობით თანხა. "სამეცნიერო-საცდელი პარკის" მოხატვაში მონაწილე ნატიფი ხელოვნების კოლეჯის მოსწავლეები სიამოვნებით იხსენებენ მუშაობის პროცესს: **"ჩვენს სასწავლებელში გამოცხადდა ნახატების კონკურსი, რომელშიც ათამდე ბავშვმა გავიმარჯვეთ და მოვხატეთ ბაღის კედლები. დიდი სიამოვნება იყო ერთად მუშაობის პროცესი და, თუ ისევ მიგვიწვევენ მორიგ აქციაზე, მზად ვართ, ცხელი ზაფხული თბილისში გავატაროთ".**

"სამართალდამცველთა ქმედებები არაადეკვატურია," - აცხადებს ომბუდსმენობის კანდიდატი

ხათუნა ჯანგირაშვილი

"თავისუფლების ინსტიტუტი" კახეთში კრიმინალების თარეშზე და ადგილობრივი ხელისუფლების, სამართალდამცველების უმოქმედობაზე, რეგიონში ადამიანის უფლებების და თავისუფალი სიტყვის შეზღუდვაზე ალაპარაკდა. "სამართლებრივ სახელმწიფოში "თავისუფლების ინსტიტუტი" კი არ უნდა იყოს ადამიანის დაცვის გარანტი, ამ გარანტიას ხელისუფლება და პროკურატურა უნდა იძლეოდეს," - აცხადებს "თავისუფლების ინსტიტუტის წევრი, პრეზიდენტის მიერ სახალხო დამცველის კანდიდატურად დასახელებული სოზარ სუბელიანი.

"თავისუფლების ინსტიტუტი" კი არ უნდა იყოს ადამიანის დაცვის გარანტი, ამ გარანტიას ხელისუფლება და პროკურატურა უნდა იძლეოდეს," - აცხადებს "თავისუფლების ინსტიტუტის წევრი, პრეზიდენტის მიერ სახალხო დამცველის კანდიდატურად დასახელებული სოზარ სუბელიანი.

იაირი ლოგაროფინის ფოტო

სოზარ სუბელიანმა და "კმარას" წარმომადგენელმა თეა თუთბერიძემ გუშინ კიდევ ერთხელ შეახსენეს ხელისუფლებას, რომ ქვეყანაში **"კრიმინალური ავტორიტეტებისა და მათი უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების თარეში გრძელდება, მათი ქმედებების აღსაკვეთად სამართალდამცველთა ქმედებები კი არაადეკვატურია".**

"თავისუფლების ინსტიტუტის" ოფისს, გუშინ, სწორედ ერთ-ერთი ცნობილი "კრიმინალური ავტორიტეტის", კახეთის "ფეოდალის" სახელით ცნობილი ლუკა რამაზაშვილისგან დატერორებული ზურაბ ქუმსიაშვილი სტუმრობდა, რომელიც წლების განმავლობაში თელავის დამოუკიდებელი ტელეკომპანია "თანამგზავრის" დამფუძნებელი გახლდათ და რომელიც, ოთხი თვის წინ, საკუთარი ტელეკომპანიიდან ადგილობრივმა კრიმინალმა ლუკა რამაზაშვილმა გამოაძევა. ზურაბ ქუმსიაშვილი აცხადებს, რომ მისი ოჯახი, უკვე ოთხი თვეა, მუდმივი ტერორისა და ზეწოლის პირობებში ცხოვრობს.

"იძულებული გავხდი, თელავი ოჯახიანად დამეტოვებინა და თბილისში გადმოვხვეწილიყავი. რამაზაშვილი თავის კრიმინალურ დაჯგუფებასთან ერთად სამუშაო კაბინეტში შემომივარდა, მომაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და ანგარიშსწორების მუქარით ტელეკომპანიიდან გამაძევეს. იმავე ჯგუფმა სასწრაფოდ მოიწვია დამფუძნებელთა კრება და ჩემს პოსტზე ლუკა რამაზაშვილის მიერ დასახელებული კანდიდატურა - ენრი კობახიძე აირჩია. რამაზაშვილის კრიმინალური დაჯგუფება ტელეკომპანიაში ჩემი კუთვნილი 40-პროცენტიანი წილის დასაკუთრებას ცდილობს. ტელევიზიიდან უკვე გატანილია მთელი ფინანსური დოკუმენტაცია. ტელეკომპანიის თანამშრომლები, რომლებიც მხარს მე მიჭერდნენ, სამსახურიდან დაითხოვეს," - აცხადებს დაზარალებული ზურაბ ქუმსიაშვილი.

როგორც ქუმსიაშვილი განმარტავს, ამ ფაქტთან დაკავშირებით მან კახეთის ხელისუფლებას მიმართა, სასარჩელო განცხადება პროკურატურაშიც შეიტანა, თუმცა სამართალდამცველებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ამასთან დაკავშირებით არანაირ რეაგირებას ამ დრომდე ადგილი არ ჰქონია.

"ჩვენ არ გვაინტერესებს ტელეკომპანიის მეწილეთა დავა. ჩვენი აღშფოთების მიზეზი ისაა, რომ დამოუკიდებელ ტელეკომპანიაზე ზეწოლას ახდენს "ავტორიტეტი კრიმინალი", რომელიც ახალი ხელისუფლების პირობებში სახელმწიფო სტრუქტურის - ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარედ დაინიშნა. ეს სერიოზული, შემაშფოთებელი ტენდენციაა, რომელიც აუცილებლად ცუდ შედეგებს გამოიღებს. ყველაზე მეტად აღმაშფოთებელი ფაქტი კი ის გახლავთ, რომ რეგიონში კრიმინალური დაჯგუფების მიერ თავისუფალ მედიაზე ზეწოლა, ადამიანის უფლებების შელახვა ხელისუფლებისა და სამართალდამცველი სტრუქტურების მხრიდან რეაგირების გარეშე რჩება," - აცხადებენ "თავისუფლების ინსტიტუტისა" და "კმარას" წევრები.

სოზარ სუბელიანის განმარტებით, ლუკა რამაზაშვილი საკმაოდ ცნობილი და საშიში კრიმინალური ავტორიტეტია, რომელიც ძველი ხელისუფლების პერიოდში მხარდაჭერით სარგებლობდა.

სოზარ სუბელიანის თქმით, როგორც ცნობილია, ლუკა რამაზაშვილის თანხმობის გარეშე, გარკვეულ საკითხებს დამოუკიდებლად თავად მედიკო მეზვრიშვილიც ვერ წყვეტდა. ის პოპულარობით სარგებლობდა პანკისის ხეობასთან დაკავშირებულ მოვლენებში, რაც ხეობაში ნარკოტიკებისა და ადამიანების გატაცებების კონტროლთან არის დაკავშირებული.

ერთი სიტყვით, "თავისუფლების ინსტიტუტი" პროტესტს გამოთქვამს კახეთის რეგიონში კრიმინალური დაჯგუფებების მიერ თავისუფალ მედიაზე ზეწოლის, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამართალდამცველი სტრუქტურების უმოქმედობასთან დაკავშირებით.

"მოვითხოვთ, სამართალდამცავმა ორგანოებმა სასწრაფოდ აღძრან საქმე, სრულად და მიუკერძოებლად გამოიძიონ ცნობილი კრიმინალისა და მისი დაჯგუფების მიერ დამოუკიდებელი ტელეკომპანიისა და მისი პრეზიდენტის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები. ხელისუფლებამ ადეკვატური ღონისძიებები გაატაროს რეგიონში ტელეკომპანიებისა და სიტყვის თავისუფლების დასაცავად და სასწრაფოდ აღკვეთოს შეიარაღებული კრიმინალის თარეში, რომელიც ამჟამად თანამდებობაზეა", - აცხადებს სოზარ სუბელიანი.

"მოსახლეობას თავაზიანი პოლიციელები ეყოლება," - პირობას დებს შს მინისტრი

რამდენიმე დღეში, მოსახლეობა ქვეყნის ცენტრალურ მაგისტრალებსა და რამდენიმე დიდ ქალაქში სახეშეცვლილ პოლიციელებს იხილავს. შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დაპირებული საპატრულო სამსახური 11 ივლისიდან ამოქმედდება. მართალია, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს თავიდან ისევ ძველი ავტომანქანებითა და ძველი ფორმებით მოუწევთ ქუჩებში მოძრაობა, თუმცა მათ ახალ მანქანებსა და ახალ ფორმას, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი ამბობს, ჩქარა შეაშველებენ. საპატრულო პოლიციის თანამშრომელთათვის სპეციალური ფორმები იკერება. **"ამ ერთი თვის განმავლობაში პოლიციას ძველ სამოსში გამოწყობილს ვიხილავთ, მაგრამ ის გაცილებით უფრო თავაზიანი იქნება,"** - პირობას დებს შინაგან საქმეთა მინისტრი.

კრიმინალის და დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად, მოსახლეობის დასახმარებლად სამ დღეში საპატრულო პოლიციის ის თანამშრომლები გამოვლენ ქუჩებში, რომლებმაც გამოცდები წარმატებით ჩააბარეს და ამჟამად პოლიციის აკადემიაში გადამზადების კურსს გადიან. ირაკლი ოქრუაშვილი საპატრულო პოლიციაში მუშაობის დაწყების მსურველებს კიდევ ორკვირიან ვადას აძლევს და ამ სამსახურში პატიოსან, შრომისმოყვარე და ენერგიულ ადამიანებს იწვევს.

"უახლოეს მომავალში შს სამინისტრო მობილურ სტრუქტურად გარდაიქმნება, გაუქმდება სამინისტროსთან არსებული ბევრი სტრუქტურული ერთეული, რომელიც არაფრის მაქნისია," - აცხადებს ირაკლი ოქრუაშვილი. მინისტრმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმის პროგრამა წარადგინა, რომლის მიხედვითაც ეკოპოლიციის, საგზაო პოლიციის, სატრანსპორტო პოლიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოების გაუქმება იგეგმება. ამ სამმართველოების ფუნქციებს სამინისტროს რაიონული რგოლები შეითავსებენ. გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმის პროგრამის მიხედვით, სამინისტროს დაქვემდებარებიდან გამოდის დაცვის პოლიცია, რომელიც ცალკე საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბდება და შემოსავლები მისივე საქმიანობიდან ექნება.

შინაგან საქმეთა მინისტრი საპატრულო პოლიციის გამოჩენისთანავე თანამშრომელთა 26 პროცენტით შემცირებას გეგმავს. 53 ათასი პოლიციელიდან, მათ შორის, შინაგანი ჯარის, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის და სხვა უწყებების თანამშრომლებიდან სამინისტროში მხოლოდ 39 ათასი თანამშრომელი დარჩება. საერთო ჯამში, შსს-ს 28 ათასი პოლიციელი ეყოლება.

"საქართველო საბჭოთა მილიციელის ტრადიციებს წერტილს უსვამს. საზოგადოებას ახალი პოლიცია ეყოლება, რომელიც საზოგადოების დაცვაზე იქნება ორიენტირებული," - ასე შეფასდა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ წარდგენილი რეფორმის პროექტი.

24 საათი

"კონტრაბანდისტ მებაჟეებთან" ბრძოლა დაწყებულია

მიუხედავად მაღალი ტრიბუნებიდან კონტრაბანდისტებთან ბრძოლაზე გაკეთებული მოწოდებებისა, საქართველო დღემდე კონტრაბანდის ჭაობშია ჩაფლული და ამ მხრივ, ფაქტობრივად, პასუხიც არავისთვის მოუთხოვიათ.

თამარ კაკიტაძე

"ბოლო რამდენიმე თვეში საბაჟო წესების დარღვევის ფაქტზე სისხლის სამართლის რამდენიმე საქმე აღიძრა. წინა წლებში კი მსგავს შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია," - განაცხადა გუშინ სპეციალურად საბაჟოს თემისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე გენერალური პროკურორის მოადგილემ კახა კობერიძემ.

"ქვეყანაში ისე მოიკიდა ფეხი კონტრაბანდამ, რომ ისინიც კი, ვინც ამ დანაშაულს უნდა ებრძოდნენ, ხშირ შემთხვევაში თავად არიან მასში ჩართულნი," - ამბობს კახა კობერიძე და ამის დასამტკიცებლად რამდენიმე დღის წინ ლაგოდეხის საბაჟო გამშვებ პუნქტზე გამოვლენილ ფაქტებს ასახელებს.

გენერალური პროკურორის მოადგილის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა აღნიშნულ საბაჟოზე პროდუქტებით დატვირთული ავტომობილი დააკავეს, რომელსაც საქართველოში განუბაჟებელი ტვირთი შემოჰქონდა, მაგრმ ამაზე მებაჟეებს არანაირი რეაგირება არ მოუხდენიათ. თუმცა, ეს დიდი პრობლემის მცირე ნაწილია.

ის, რომ ლაგოდეხის საბაჟო გამშვები პუნქტი კონტრაბანდისტებისთვის პრობლემას არ წარმოადგენს, ზოგადად ყოველთვის ცნობილი იყო, ამჯერად კი გენერალური პროკურორის მოადგილემ გავრცელებული აზრი ოფიციალური ციფრებით დაადასტურა.

"ჩვენს მიერ გადამოწმდა აღნიშნულ გამშვებ პუნქტში საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლების და მებაჟეების მიერ რეგისტრირებული მანქანების მონაცემები. აღმოჩნდა, რომ გადამოწმებულ პერიოდში მესაზღვრეებს დაფიქსირებული ჰქონდათ პროდუქტით დატვირთული 100 მანქანა, ხოლო მებაჟეების ჟურნალში რეგისტრირებული იყო მხოლოდ ხუთი ავტომობილი," - განაცხადა კახა კობერიძემ და დასკვნების გაკეთება საზოგადოებას მიანდო. თუმცა, საკუთარი პოზიცია უკვე დაფიქსირებული აქვს თავად გენერალურ პროკურატურასაც. გენპროკურორის მოადგილის ინფორმაციით, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და კონკრეტული დამნაშავეებიც გამოკვეთილია. სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით ბრალდებულია ლაგოდეხის საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსი ინსპექტორი კახა ბიბილეიშვილი, რომელიც დაკავებულია და დანაშაულის საბოლოოდ დამტკიცების შემთხვევაში, მას სამიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. ანალოგიური პასუხისმგებლობა ემუქრება ლაგოდეხის საბაჟოს უფროსს ზაზა გოგოლაძესაც, რომელიც ამჟამად მიმალვაშია და მის დასაკავებლად ოპერატიული ღონისძიებები უკვე დაწყებულია.

"დასახელებული პიროვნებების ბედს გაიზიარებენ სხვა თანამდებობის პირებიც, რომლებიც საბაჟო წესების დარღვევაში იქნებიან მხილებულნი. ჩვენ კონტრაბანდისტებთან შერიგებას და მათ დანდობას არ ვაპირებთ," - ასეთია გენერალური პროკურორის მოადგილის პოზიცია.

დასაკავებელი ეჭვმიტანილი სპეცრაზმელებს მოკლული დახვდათ

გუშინ, გამთენიისას კახეთის სამხარეო პოლიციამ რეგიონში ფართომასშტაბიანი სპეცოპერაცია განახორციელა. მოვლენების ეპიცენტრს გურჯაანის რაიონის ორი სოფელი, ველისციხე და შაშიაანი წარმოადგენდა. სპეცოპერაციის შედეგად ძალოვანებმა სხვადასხვა დანაშაულისთვის მხილებული შვიდი პიროვნება დააკავეს. ამ ყველაფერს წინ სოფელ ველისციხეში იოსებ მათიაშვილის მკვლელობა უძღოდა.

ზვიად რუაძე
კახეთიდან

საგარეჯოსგან განსხვავებით, გურჯაანში გუშინ ძალოვნებს ნამდვილად გაუმართლათ. დაგეგმილი რვა სპეცოპერაციიდან შვიდი წარმატებით დასრულდა. ერთი კი, როგორც ძალოვნებმა განგვიცხადეს, "დამნაშავის ნახირში წასვლის გამო ჩავარდა". მიუხედავად ამისა, კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსი თეიმურაზ ანჯაფარიძე კმაყოფილი იყო და სპეცოპერაციაში მონაწილეებს მადლობას უხდიდა. **"ჩვენ ასეთ მეთოდებს იმიტომ მივმართეთ, რომ რაიონის პოლიციის ახალი ხელმძღვანელობისთვის დამნაშავეებთან ბრძოლა გაგვეადვილებინა, რადგან გურჯაანი, კრიმინალური თვალსაზრისით, ყველაზე რთული რაიონია. ექსპერიმენტმა კი გაამართლა,"** - განაცხადა თეიმურაზ ანჯაფარიძემ.

სპეცოპერაცია დილის 6 საათზე დაიწყო. სტარტი კი ამ ფართომასშტაბიანმა ღონისძიებამ ყვარლის რაიონიდან აიღო. საქმისადმი ასეთი მიდგომა რეგიონის პოლიციის შეფმა ასე განმარტა: **"ჩვენ საქმეს შორიდან იმიტომ მივუდექით, რომ ანალოგიური ღონისძიება ამ რაიონში ამ ცოტა ხნის წინ უნდა ჩაგვეტარებინა, მაგრამ ინფორმაციამ გაჟონა".** როგორც უკვე აღვნიშნეთ, სპეცოპერაცია წარმატებით დასრულდა. თავდაპირველად, დამნაშავეების დაკავება მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა, ინციდენტმა კი თავი სოფელ ველისციხეში იჩინა. 32 წლის იოსებ მათიაშვილის ასაყვანად მის საცხოვრებელ ბინაში შესულ სპეცრაზმელებს იგი მოკლული დახვდათ. გარდაცვლილის ოჯახის აღელვებულმა წევრებმა ძალოვანი უწყების თანამშრომლები ეზოდან საოჯახო ნივთების სროლით გააძევეს. უნდა აღინიშნოს, რომ იოსებ მათიაშვილი გუშინწინ საღამოს, ურთიერთშელაპარაკების დროს თანასოფლელმა შალვა ნესუაშვილმა მოკლა. რაც შეეხება განხორციელებულ სპეცოპერაციას, სამხარეო პოლიციის უფროსმა თეიმურაზ ანჯაფარიძემ დადებითად შეაფასა. მისი თქმით, კახეთში კრიმინალური სიტუაციის გასაუმჯობესებლად ანალოგიური სპეცოპერაციები კვლავ განხორციელდება.

დაკავებული შვიდი ეჭვმიტანილი, რომელთაც საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას პოლიციელებმა ცეცხლსასროლი იარაღი, ხელყუმბარები და ნარკოტიკული საშუალებები აღმოუჩინეს, გურჯაანის პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფებიან.

სპეცოპერაციას კახეთის გუბერნატორის მოადგილე დავით ადეიშვილი ესწრებოდა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკონკურსო საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის ბრძანება N1 (05.07.2004)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დამტკიცების შესახებ

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 86-ე მუხლის მე-4 პუნქტის, "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემისა და მისი სტრუქტურული ერთეულების საჯარო მოხელეთა და მოსამსახურეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 11 მაისის N43 ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, "ა. დიდებულიძის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ" საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელწიფო სამსახურის ბიუროს უფროსის 2004 წლის 11 მაისის N245 ბრძანების და საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის - ბ-ნი ირაკლი ტუღუშის 15.06.2004 წლის მომართვის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან შეთანხმებით,

ვბრძანებ:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრებად დაინიშნონ:

1. ბელა წიფურია - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, მინისტრის მოადგილე;
2. ალექსანდრე ლომაია - წევრი, მინისტრი;
3. თემურ სამადაშვილი - წევრი, მინისტრის მოადგილე;
4. გიგი თევზაძე - წევრი, საქართველოს განათლების რეფორმის პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორი;
5. ლევან ცინცაძე - წევრი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი;
6. ია კუტალაძე - წევრი, სპეციალისტი;
7. თამარ გაგოშიძე - წევრი, სპეციალისტი;
8. დავით პაიჭაძე - წევრი, სპეციალისტი;
9. მანანა კობახიძე - წევრი, საქართველოს განათლების მუშაკთა პროფესიული კავშირის წარმომადგენელი.

2. კომისიის წევრებს გაწეული სამუშაო არ აუნაზღაურდეთ.

კომისიის თავმჯდომარე, მინისტრის პირველი მოადგილე ალექსანდრე დიდებულიძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვაკანტურ თანამდებობებზე დასანიშნ პირთა შერჩევისა და რეზერვის ფორმირების კონკურსის განრიგი

ტესტირების დღე	დეპარტამენტი	ტესტირების დრო	შესვენება
12 ივლისი	იურიდიული დეპარტამენტი	10:00 - 16:00	12:30 -13:00
13 ივლისი	ფინანსური დეპარტამენტი	10:00 - 16:00	12:30 -13:00
14 ივლისი	კომუნიკაციების დეპარტამენტი (I ნაწილი)	10:00 - 16:00	12:30 -13:00
15 ივლისი	კომუნიკაციების დეპარტამენტი (II ნაწილი)	10:00 - 16:00	12:30 -13:00
16 ივლისი	• ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი • ფიქრების და პროფესიული პასუხისმგებლობის დეპარტამენტი • პოლიტიკის და სტრატეგიის დეპარტამენტი • იმპლიმენტაციის სამსახური	10:00 - 16:00	12:30 -13:00
17 ივლისი	ბიუჯეტზე ზრუნვის დეპარტამენტი (I ნაწილი)	10:00 - 16:00	12:30 -13:00
18 ივლისი	ბიუჯეტზე ზრუნვის დეპარტამენტი (II ნაწილი)	10:00 - 16:00	12:30 -13:00
19 ივლისი	• საერთაშორისო ინტეგრაციის დეპარტამენტი • ეკონომიკური ანალიზი	10:00 - 16:00	12:30 -13:00
20 ივლისი	საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტი	10:00 - 16:00	12:30 -13:00
21 ივლისი	კანცელარია	10:00 - 16:00	12:30 -13:00
22 ივლისი	ლიცენზირებისა და აკრედიტაციის დეპარტამენტი	10:00 - 16:00	12:30 -13:00

კონკურსანტების საყურადღებოდ:

საქართველოს კანონმდებლობის ცოდნასთან დაკავშირებული ტესტები და მათზე პასუხები განთავსებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე.: www.mes.gov.ge

კონკურსზე დაშვებულ პირთა სია და უნარჩევების ტესტების ნიმუშები გამოქვეყნებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფოიეში. მის: დიმიტრი უზნაძის 52

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს. ტელ: 95 77 12

ორი სიტყვით

თბილისი. ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოხურეიდან გუშინ, დაუდგენელმა პირებმა აფხაზური მილიციის ყოფილი თანამშრომელი ნური სალია ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცეს. სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, 1992-1993 წლებში აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ ნური სალია გალის რაიონის აფხაზური ადმინისტრაციის მილიციის უფროსად მუშაობდა. იმავე წყაროს ინფორმაციით, მილიციის ყოფილი თანამშრომელი სალია, რომელიც ოჩამჩირეში ცხოვრობდა, რუსეთში მისი ვაჟის წარმატებული ბიზნესის ხარჯზე, ფინანსურ პრობლემებს არ განიცდიდა და ნათესავებსაც ეხმარებოდა. დაზუსტებული მონაცემებით, ნური სალიას გამტაცებლები ყოფილი მილიციელის მძევლობიდან გათავისუფლებაში რუსეთში მოღვაწე მისი ვაჟისგან საკმაოდ სოლიდურ თანხას მოითხოვენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ახალციხე. გუშინ ახალციხის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ღონისძიების შედეგად, ქალაქ ახალციხეში მცხოვრები ოთხი პირი დააკავეს, რომლებმაც რამდენიმე დღის წინ, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს საფინანსო პოლიციის უფროსის მოადგილე ზაზა ტაბატაძე დაუნდობლად სცემეს. დაკავებულების მიმართ საოლქო პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე 353-ე მუხლის თანახმად არის აღძრული. ეჭვმიტანილებს ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. რუსთაველ თეა მურადაშვილ-ლაფერაშვილს საბერძნეთში სამუშაოდ წასასვლელად გვარის გადაკეთება და ბერძნული გვარის მიღება დასჭირდა. შესაბამის "მომსახურებას" მას ვაკე-საბურთალოს პოლიციის ყოფილი თანამშრომელი კახა ტარტარაშვილი დაჰპირდა და ამისთვის 1050 დოლარი გამოართვა. მართალია, გვარის გადაკეთება მან ვერ შეძლო და ეს ქალბატონიც საბერძნეთში ქართული გვარ-სახელით გაემგზავრა, მაგრამ ყოფილ პოლიციელს ფულის დაუბრუნებლობის გამო ფინანსურ პოლიციაში აქვს საქმე. ტარტარაშვილი ფულის აღების ფაქტს უარყოფს, თუმცა მოწმეები საპირისპიროს ამტკიცებენ. **მედია-ნიუსი**

სად ვართ? საით მივდივართ? როგორ ვიაროთ?

საუბარი საქართველოს სტრატეგიული აზროვნების პრობლემებზე

საქართველო ისტორიული გამოწვევის წინაშე დგას: ქვეყანამ უნდა გარდაქმნას განვლილი ათწლეულის განმავლობაში ჩამოყალიბებული მანკიერი სახელმწიფო სისტემა და შექმნას თანამედროვე განვითარებულ მსოფლიოსთან სრულფასოვანი და ღირსეული ინტეგრაციის პირობები. სისტემური გარდაქმნის ის გზა, რომელიც საქართველოს გასავლელი აქვს, არის არა ბუნებრივი ევოლუციური გარდაქმნის, არამედ ძლიერი პოლიტიკური ნებით მიზანმიმართული საზოგადოებრივი მშენებლობის პროცესი. ამ სოციალური ინჟინერიის მეთოდოლოგიური სიმწყობრე საბოლოო შედეგის ხარისხის განმსაზღვრელი ხდება. შესაბამისად, ქვეყნის სამომავლო განვითარების ბედი არსებითად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რაოდენ აქვს ხელისუფლებას ამ მეთოდოლოგიით ნაკარნახევ პოლიტიკურ აუცილებლობათა ამოკითხვის და მათი განხორციელების უნარი.

ნიკო მელიქაძე
სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრი

1 ვარდების რევოლუციით საქართველოს მოსახლეობამ მკაფიოდ განაცხადა, რომ მისთვის მიუღებელია ის ხელისუფლება, რომელმაც მას ცხოვრების უღირსი პირობები და განვითარების უპერსპექტივობის განცდა შეუქმნა. რევოლუციის ლიდერებმა მოახერხეს უკმაყოფილო ხალხის მობილიზაცია ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის შესაცვლელად. ყველასათვის ცხადია, რომ ქვეყანაში ცხოვრების სრულიად ახალი პირობების შექმნისათვის ეს ჯერ მხოლოდ ერთ-ერთი აუცილებელი, მაგრამ სრულიად არასაკმარისი პირობაა; ხოლო შემდეგი ნაბიჯი საქართველოს ხელისუფლების უკვე მთელი სისტემის რადიკალური რეფორმა უნდა გახდეს. საქართველო, რომელმაც უღირსი საზოგადოებრივი ყოფა არ მიიღო, განვითარებულმა მსოფლიომ თავის ცივილიზაციურ ნათესავად შეიცნო და მისი დახმარების მზაობა გამოხატა. ამ შესაძლებლობათა სრულფასოვანი გამოყენება არის დიდი გამოწვევა და ისტორიული შანსი ქვეყნისათვის, რომელიც თანამედროვე განვითარებულ სამყაროსკენ მიისწრაფვის. უნდა დავარწმუნოთ საკუთარი თავიც და სხვებიც, რომ გაგვაჩნია ძველი მანკიერი სისტემის გარდაქმნის ნება, ძალა და უნარი, რაც ჩვენ მისწრაფებათა რეალობად გადაქცევის აუცილებელი პირობაა.

ფართო საზოგადოებრივი აზრი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისევე მის გარეთ, საქართველოს სახელმწიფო მშენებლობის მთავარ წინაღობად ძველ ხელისუფლებაში ღრმად ფესვგამდგარ კორუფციას მიიჩნევდა. საქართველოს ახალმა ხელმძღვანელობამაც ხელისუფლების სისტემის ზნეობრივი გაჯანსაღების ამოცანა სახელმწიფო პოლიტიკის ფოკუსში მოაქცია. ეჭვი არ არის, კორუფცია ხელისუფლების უმწვავესი პრობლემაა. მაგრამ, ამავე დროს მნიშვნელოვანია, რომ კორუფცია სახელმწიფოს არაჯანსაღი პოლიტიკის ძირითად მიზეზად კი არა, არამედ მნიშვნელოვანწილად ამ პოლიტიკის მეთოდოლოგიური დარღვევების შედეგადაც იქნას გააზრებული.

სამწუხაროდ, სახელმწიფო პოლიტიკის მეთოდოლოგიური დეფექტები დღემდე საზოგადოების კრიტიკული განსჯის მიღმა რჩება. ჩვენ ჯერ კიდევ მსჯელობის საგნადაც არ გაგვიხდია ამ პოლიტიკის გააზრების უკვე ტრადიციად ქცეული ფორმები, მათი გადაწყვეტის დამკვიდრებული მიდგომები და პოლიტიკური ტექნოლოგიები. რამდენად ითვალისწინებს ის პოლიტიკა, რომელიც ხშირად ბუნებრივად და უეჭველად გვეჩვენება, საზოგადოებრივი სისტემის რადიკალური გარდაქმნის პრობლემათა სიღრმისეულ ბუნებას? რაოდენ ეფექტურია სახელმწიფოში პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების სისტემა? საკმარისია კი პოლიტიკური სისტემის კომპეტენცია მის წინაშე მდგარ ამოცანათა გადაწყვეტისათვის? - ამ შეკითხვათა საჯარო და კრიტიკული განხილვის გარეშე საქართველო ისტორიულ გამოწვევას ადეკვატურად ვერ უპასუხებს. ასეთ შემთხვევაში კი, განვითარებულ სამყაროსაკენ მსწრაფი ქვეყანა, უკვე სამუდამოდ, ამ სამყაროს მხოლოდ პერიფერიად დარჩება.

2 **სად ვართ?**

სუვერენული სახელმწიფოს მშენებლობის ძირითად მიზნად საქართველომ ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული დემოკრატიული პოლიტიკური წყობა და საბაზრო ეკონომიკა დაისახა. ეს არჩევანი ქვეყანაში ღრმა ფიქრის შედეგი არ ყოფილა; არც იმაზე გვიფიქრია ბევრი, თუ როგორ მოხდება ამგვარი სისტემის მშენებლობა. მოვიდნენ და გვირჩიეს; ჩვენც უყოყმანოდ დავეთანხმეთ! ამ მშენებლობის ტექნოლოგიური სქემა (უნივერსალური ყოველი ქვეყნისათვის) რთულად არ გამოიყურებოდა: პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლებანი; მაკროპოლიტიკური ინსტრუმენტებით აღჭურვილი "ცოტა ხელისუფლება"; ეკონომიკური ზრდა, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის ცენტრალური ამოცანა, რომელმაც თანდათანობით საზოგადოებრივი სისტემის სხვა სფეროებიც უნდა მოიცვას; ხოლო უკვე ქვედა, ანუ ცხოვრების ყოფით დონეზე მოქმედ ადამიანთა კერძო ინტერესები, სპონტანური თვითორგანიზაციის პროცესში, გახდება ეფექტური სტრუქტურების შემქმნელი. საყურადღებოა, რომ საზოგადოებრივი გარდაქმნის ეს პრინციპები მსოფლიოს უმძლავრეს ფინანსურ ინსტიტუტთა პოლიტიკური შეთანხმებით და არა ღრმა მეცნიერული განსჯის შედეგად დადგინდა.

დღევანდელი გადმოსახედიდან საკვირველადაც კი ჩანს, თუ თავიდანვე რატომ არ მიექცა ყურადღება იმ გარემოებას, რომ თანამედროვე მსოფლიოს უდიდესი ნაწილი დღეს დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში ცხოვრობს, რომელთაგან უმრავლესობა უაღრესად ღარიბია. ე.ი. თავისთავად დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკა, როგორც ზოგადი ფორმა, კეთილდღეობის არავითარ გარანტიას არ ქმნის; კიდევ რაღაც დამატებითი პირობაა საჭირო, რათა ადამიანთა კერძო ინტერესებმა, თვითორგანიზაციის პროცესში, საზოგადეობრივად ეფექტური სტრუქტურების ჩამოყალიბება უზრუნველყოს. დღეს უკვე კარგად ვიცით, რომ ამ გარემოებათა არ გათვალისწინება არის ახალი საზოგადოების შენების ძირითადი მეთოდოლოგიური დეფექტი; ვიცით, რომ იმ კულტურულ გარემოში, სადაც დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკა ისტორიულად არ განვითარდა, სპონტანური თვითორგანიზაციის მექანიზმი სასურველი სისტემის შემქმნელი არ არის, ხოლო მართვის მაკროპოლიტიკური ინსტრუმენტები არაეფექტურია; ვიცით, რომ თვითორგანიზაციის პროცესის ეფექტურობისათვის ხელისუფლების მხრიდან ქვედა დონისაკენ მიზანმიმართული ძალისხმევაა საჭირო; ვიცით, რომ ამას უკვე "ცოტა ხელისუფლება" აღარ ეყოფა. მაგრამ, ათი წლის წინათ, ყოველივე ეს, მსოფლიოში ჯერ კიდევ ფართოდ გაგებული არ იყო.

რა მივიღეთ? ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ თავისუფლებათა ახალ გარემოში, რომელშიც კერძო ინტერესები პრაქტიკულად ვერაფრით ვერ შეიზღუდა, **ძველმა აზროვნებამ ააგო არა მხოლოდ ის, რაც მისთვის (ე.ი. კერძო ინტერესებს) ხელსაყრელი იყო, არამედ დიდ წილად ისიც, რაც იცოდა და რაც ამის შედეგად გამოუვიდა.** სახელმწიფო - მაღალი ზნეობრივი თვითშეგნების იდეალური ადემიანებისაგან არ იგება; სახელმწიფო, ძირითადად, იმ ადამიანებისაგან შედგება, რომელთაც საზოგადოებრივ ღირებულებებთან ერთად კერძო ინტერესები და ადამიანური სისუსტეებიც გააჩნიათ. პოლიტიკური ხელოვნების ფუნდამენტური ამოცანაა - ააგოს ინსტიტუციური სისტემა, რომლის "უხილავი ხელი" ზნეობრივ ქცევას ასტიმულირებს, ხოლო უზნეოს - დათრგუნავს. სახელმწიფო მშენებლობის გაბატონებულმა მეთოდოლოგიამ ამგვარი სისტემის აგება იმ სპონტანურ მექანიზმებს დააკისრა, რომელთაც საამისო პოტენციალი ობიექტურად არ გააჩნდა; მცდარი აღმოჩნდა იმ პოლიტიკის საფუძველი, რომელმაც კერძო ინტერესების გააქტივებასთან ერთად საზოგადოებრივ ინტერესთა შესაბამისი მადისციპლინირებელი მექანიზმები ვერ აამოქმედა. ჩამოყალიბდა თვითკმარი, არაეფექტური და კორუმპირებული სახელმწიფო სისტემა, რომელსაც თანამედროვე განვითარების პოტენციალი არ გააჩნია. აქ, ყურადღებას ვამახვილებ შემდეგზე: **არაეფექტური და უზნეო სახელმწიფო სისტემა შესაძლოა არა მხოლოდ უზნეო პოლიტიკის, არამედ ასევე, მეთოდოლოგიურად მცდარი პოლიტიკის შედეგიც იყოს.**

დიდი შეცდომა იქნებოდა, თუ ეს მოსაზრება გაგებული იქნება, როგორც ძველი ხელისუფლების რამდენადმე რეაბილიტაციის მცდელობა. ძველი ხელისუფლება უზნეო და არაკომპეტენტური იყო და ამას ვერავითარი რეაბილიტაცია ვერ უშველის! მაგრამ ამ ხელისუფლების ზნეობრივი მიუღებლობის ტალღაზე სახიფათოა იმ ობიექტური გარემოების გაუცნობიერება, რომელმაც არაეფექტური და მახინჯი სახელმწიფო სისტემის მშენებლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. ანუ, ბოროტების უკან არა მხოლოდ ეშმაკი დგას; ბოროტების არა ნაკლებ სახიფათო წყაროა - არაკომპეტენტურობა; განა გასაკვირი იქნება, თუ კეთილი ზრახვებით, მაგრამ მცდარი გაგებებით აღჭურვილ ადამიანებს მშენებარე გზა ჯოჯოხეთისკენ წაუვათ?

ძირითადი გაკვეთილი, რომელიც აქედან არის გამოსატანი, ასეთია: სახელმწიფო მშენებლობის შედეგი აღმშენებლობის პოლიტიკის მეთოდოლოგიური პრინციპების მიმართ უაღრესად მგრძნობიარეა; ანუ, **პოლიტიკური აზროვნების (კერძოდ, სტრატეგიული აზროვნების) ხარისხი აღმშენებლობის შედეგის ხარისხის ძირითადი განმსაზღვრელია**.

3 **საით მივდივართ?**

საქართველოს სახელმწიფო მშენებლობის უმნიშვნელოვანესი მომენტი იყო ქვეყნის განვითარების მიზნის უფრო კონკრეტული ფორმით დასახვა; ქვეყანამ მიზნად დაისახა: ევროატლანტიკურ სივრცეში საქართველოს სრულფასოვანი და ღირსეული ინტეგრაცია; ანუ, განვითარებული მსოფლიოს ღირებულებების, ნორმებისა და ცხოვრების სტანდარტების სრულად დამკვიდრება და, შესაბამისად, ამ მსოფლიოსთან სრულფასოვანი კულტურული ინტეგრაცია. აქ უკვე გაცილებით მეტი გარკვეულობაა იმაში, თუ დემოკრეტიული სისტემისა და საბაზრო ეკონომიკის როგორი თვისობრივი მოდელი არის მიზნად დასახული.

ქვეყნის განვითარების დონე - საზოგადოებრივი ცნობიერების მდგომარეობით არის განპირობებული, რომელიც ცხოვრების შესაბამის წესშია დამკვიდრებული. განვითარება არის ბუნებრივი ცხოვრების წესის პოლიტიკური ნებით ინტენსიფიცირებული რეჟიმი, როდესაც ყოველი ადამიანი აკეთებს იმაზე მეტს, ვიდრე ეს მისი ყოფითი ქცევის ბუნებრივ ჩვევებშია გამაგრებული. ასეთი რამ კი მხოლოდ კეთილი ნებით ვერ შესრულდება; ამისათვის, თანამედროვე განვითარებულმა მსოფლიომ სათანადო ინსტიტუციური გარემო შექმნა, რომელშიც ინტენსიფიცირებული ცხოვრების წესი აუცილებლობად გადაიქცა. საქართველოს სწორედ ასეთი სისტემა აქვს ასაგები; მაგრამ ამგვარი მშენებლობა ცარიელ ადგილზე არ ხდება; იგი ძველი სისტემის რადიკალური გარდაქმნის ფორმით უნდა განხორციელდეს.

ხელისუფლება, რომელიც სერიოზულად ფიქრობს მის მიერ განცხადებული მიზნისაკენ სვლას, ვეღარ უნდა დაკმაყოფილდეს იმით, რომ პატიოსნად და ბეჯითად განახორციელოს მხოლოდ ის, რაც თავად იცის და რაც გამოუვა. ეს საკმარისი ვეღარ იქნება! გასაკეთებელია ის, რაც გარდაქმნის ობიექტის ბუნებიდან, ასევე, მისთვის დასახული მიზნიდან უკვე ლოგიკური აუცილებლობით გამომდინარეობს და რასაც გარდაქმნის მეთოდოლოგიური პრინციპები მოითხოვს; მთავარია, რომ ხელისუფლებას ამ აუცილებლობათა ამოკითხვის კომპეტენცია და მისი განხორციელების ნება გააჩნდეს.

4 როგორია გარდაქმნის პოლიტიკის ის აუცილებლობები, რომელთა შესრულება-არშესრულების თავისუფლება ხელისუფლებას არ გააჩნია, თუკი არ სურს სისტემის არაეფექტურობისა და საზოგადოების უღირსი ცხოვრების მახეში კვლავ გამომწყვდეული აღმოჩნდეს? საქართველოს სახელმწიფო სისტემა ჯერ კიდევ იმ მრავალრიცხოვან ფორმალურ და არაფორმალურ ურთიერთობებს ეფუძნება, რომლებიც წარსულის არაჯანსაღი ინტერესების დომინირებით ჩამოყალიბდა; ისინი საზოგადოებრივი ორგანიზმის ყველა სფეროში და ყველა დონეზე - შესაბამისი ინსტიტუციური წყობით, მისი ნორმებითა და წესებით - არიან გამაგრებულნი. არსებული სახელმწიფო ინსტიტუტები არა მხოლოდ სუსტი და არაეფექტურია, არამედ მათ ფუნქციონირებას ცოტა რამ აქვს საერთო იმასთან, რისთვისაც ისინი მოწოდებულნი არიან; პრინციპულია იმის გაცნობიერება, რომ არსებული სისტემის ფარგლებში ქვეყნის ვერც ერთი სიღრმისეული პრობლემის გადაწყვეტა ვერ მოხერხდება; ანუ, მთელი სისტემის გარდაქმნის გარეშე მის ცალკეულ რგოლთა სრულყოფა არა მხოლოდ უაზრო, არამედ სახიფათოც კი არის, რადგან ამას არსებული უზნეობის მხოლოდ ტექნიკური დახვეწა და, შესაბამისად, პოლიტიკური გაძლიერება მოჰყვება. სახელმწიფო სისტემის გარდაქმნა კი, ამ სისტემის ძირეულ ინსტიტუტთა წყობისა და ფუნქციონირების წესის თვისობრივ შეცვლას გულისხმობს; ეს, გარდუვალად, სისტემის სტაბილობის ინტერესებთან მოდის წინააღმდეგობაში; სისტემაც, ცხადია, თავის მხრივ, ენერგიულად ეწინააღმდეგება მასში არსებითი ცვლილების ყოველ მცდელობას. ამდენად, **ძლიერი პოლიტიკური ნება და მეთოლოგიური კომპეტენცია არის ის აუცილებელი პირობა, რომელსაც სისტემური გარდაქმნის წარმმართველი ხელისუფლება უეჭველად უნდა აკმაყოფილებდეს.**

ტრადიციული ხედვა საზოგადოებრივი განვითარების საფუძვლად ქვეყნის ეკონომიკის ზრდას მიიჩნევს. უდავოა, რომ ეკონომიკური განვითარება საზოგადოებრივი განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა; მაგრამ, დღეს უკვე კარგად არის გაგებული, რომ, თავის მხრივ, საზოგადოებრივი განვითარების გარეშე ეკონომიკური ზრდა ასევე შეუძლებელია. **ლოგიკური ურთიერთგაპირობების ამ წრეს დასაწყისი არ გააჩნია! ამგვარ ლოგიკურ წრეში შეღწევა - ყოფითი აზროვნებისათვის გადაულახავი პრობლემაა.** სისტემური გარდაქმნის პრობლემათა ინტელექტუალური სირთულე სწორედ ამაშია - არაპროფესიონალურ და ყოფით ინტუიციასთან ისინი წინააღმდეგობაში მოდიან. სისტემური გარდაქმნა ვერ განხორციელედება სისტემის ინსტიტუტთა ცალ-ცალკე და თანმიმდევრული (ე.ი. ნაწილებიდან მთელისაკენ, ან "ქვემოდან ზევით") რეფორმირებით; მეთოდოლოგიის ფუნდამენტური მოთხოვნაა, რომ სისტემის ყველა ძირეული ინსტიტუტი მხოლოდ ერთდროულად და ურთიერთშეთანხმებით გარდაიქმნას. იმავე მოთხოვნით, ამ პროცესში თავად სისტემა "ზემოდან ქვემოთ", ანუ, ზოგადიდან კონკრეტულისაკენ (ან, მთელიდან ნაწილისაკენ) უნდა იქნას გააზრებული; ეს საფუძველი პირობაა იმისათვის, რომ სისტემის უკვე რეალურად აგებისას შესაძლებელი გახდეს მისი ყველა ნაწილის შინაგანად არაწინააღმდეგობრივი, ე.ი. სიცოცხლისუნარიანი ფორმით, ინტეგრირება. ეს ზოგადი პირობა საქართველოში რეგულარულად იგნორირებულია; მაგალითად, მეთოდოლოგიურად მცდარია, ე.ი. არაეფექტურია საგადასახადო კოდექსის არსებითი შეცვლის მცდელობა, როდესაც ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა (რომლის ნაწილს საგადასახადო პოლიტიკა წარმოადგენს) ჯერ გააზრებულიც კი არ არის; მცდარია, ე.ი. არაეფექტურია ქვეყნის განათლების სისტემის, ან მეცნიერებათა აკადემიის რეფორმის წამოწყება, როდესაც ეს სისტემები ქვეყნის განვითარების შესაბამისი პრიორიტეტების კონტექსტისაგან სრული მოწყვეტით იაზრება; მცდარია, ე.ი. არაეფექტურია საკუთრივ ეკონომიკური სისტემის ფარგლებში რომელიმე ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტის ძიება, ისევე, როგორც სოციალური სისტემის ფარგლებში - სოციალური პრობლემისა, ან პოლიტიკური სისტემის შიგნით - პოლიტიკური პრობლემისა; ქვეყნის სისტემური გარდაქმნის სპეციფიკა ის არის, რომ პრაქტიკულად ყოველი მისი არსებითი პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ ერთიანი სახელმწიფო სისტემის ფარგლებში უნდა იქნას მოძიებული. **აუცილებელია, რომ სისტემური გარდაქმნის პროცესში მყოფი ქვეყნის ხელისუფლებას სახელმწიფო სისტემის ერთიანი ხედვა და შესაბამისი პოლიტიკის დამუშავების უნარი გააჩნდეს.**

5 **როგორ ვიაროთ?**

სახელმწიფო მშენებლობისა და საზოგადოებრივი განვითარების მიზნის დასახვით ხელისუფლების ძირითადი პოლიტიკური არჩევანი უკვე გაკეთებულია; აქედან, შემდგომ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა დიდი ნაწილი უკვე ლოგიკური აუცილებლობით განისაზღვრება. აქ საუბარია არა იმაზე, რაც ქვეყანაში აუცილებლობით უნდა აიგოს; საუბარია პოლიტიკური აზროვნების იმ აუცილებელ ფორმებზე, რომლებშიც მომავალი მოქმედება უნდა იქნას გააზრებული. ამ მომენტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან **აზროვნების ხარისხი მთლიანად განსაზღვრავს იმის ხარისხს, რაც აშენდება**.

პოლიტიკური აზროვნების ამგვარ საფუძველ ფორმას **სტრატეგია** წარმოადგენს. ეს არის სისტემის მიზანმიმართულ განვითარებაზე რაციონალური ფიქრის ის დისციპლინა, რომელიც ამ პროცესში ჩართულ მრავალრიცხოვან ადამიანთა აქტიობის ორგანიზაციის საფუძველია. სტრატეგიის ფუნდამენტური ფუნქციაა ქვეყნის განვითარებაში მონაწილეთა ერთიანი გაგების ჩამოყალიბება და მათი აქტივობის საერთო, კონსტრუქციული შინაარსით დატვირთვა; სტრატეგია - ამ პროცესში გაგებათა კომუნიკაციის ის საფუძველი პირობაა, რომლის გარეშე, ქვეყანა, სახელმწიფო მთელის მოწყობის შესახებ წარმოდგენათა კაკაფონიაში მოექცევა; იგი, დამოუკიდებლად წარმართულ ყველა მრავალრიცხოვან აქტივობათა კოორდინაციის, ისევე როგორც, ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებული ახალი სისტემის ყოველ ნაწილში ამ სისტემის (როგორც ერთიანი და განუყოფელი მთელის) ინტერესების ადეკვატური ასახვის საფუძველი პირობაა. სტრატეგია - საზოგადოების მობილიზაციის ის საფუძველია, რომლის გარეშე სისტემური გარდაქმნა შეუძლებელია.

სტრატეგია არის სახელმწიფოს სულიერი და პოლიტიკური თავისუფლების, ანუ მისი სუვერენიტეტის უპირველესი გამოხატულება. ქვეყანა სუვერენულია არა იმით, რომ მის ტერიტორიაზე სხვა ქვეყნების სამხედრო ბაზები განლაგებული არ არის, ან, რომ მისი ენერგეტიკული რესურსები სხვათა მფლობელობაში არ არის; ქვეყნის სუვერენიტეტი იწყება იმ მომენტიდან, როდესაც ქვეყანას გააჩნია საკუთარი მომავლის საკუთარი ხედვა და სახელმწიფო სისტემის საბაზისო ინსტიტუტებში, ასევე, ერთიან სახელმწიფო პოლიტიკაში მისი საკუთრივად ასახვის უნარი - ანუ, როდესაც ქვეყანას საკუთარი განვითარების სტრატეგიის დამუშავების უნარი გააჩნია; ანუ უნარი, განსაზღვროს სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტები და მათი განხორციელებისათვის აუცილებელი სტიმულები; ჩამოაყალიბოს გარდამავალ პროცესში სტაბილობის უზრუნველყოფის პოლიტიკა; უზრუნველყოს ქვედა დონეზე მოქმედი იმ ეფექტური სტრუქტურების ფორმირება, რომელთაც თვითორგანიზაცია ვერ აყალბებს; და მრავალი სხვა.

საქართველოს ხელისუფლებას ამგვარი სტრატეგია დღეს არ გააჩნია; თავად პრობლემაც კი, როგორც ეტყობა, ჯერ გაცნობიერებული არ არის. იმედი, რომ სტრატეგიის გარეშეც "მაინც გავალთ ფონს", ყოფითი აზროვნების მორიგი მეთოდოლოგიური ილუზიაა. კორუფციამ დაგვანახა, თუ რაოდენ რთულია ქვეყანაში მეთოდოლოგიურად მცდარი პოლიტიკით წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტა. ქვეყნის განვითარების სტრატეგიის გარეშე სახელმწიფოს ცალკეულ სფეროებისა და ინსტიტუტების რეფორმირების მცდელობა ხელისუფლების მორიგი მეთოდოლოგიური შეცდომაა; მათ შორის, სტრატეგიის გარეშე ხელისუფლება კერძო ინტერესთა მადისციპლინირებელი საჯარო პოლიტიკის გატარებას ვერ შეძლებს (ამის შედეგად, მაგალითად: საზოგადოებისათვის თვალსაჩინო ყველა დიდი კორუფციონერი ალაგმული იქნება, მაგრამ ქვეყანაში კორუფცია კვლავ იბოგინებს).

საყოველთაოდ უნდა იქნას გაგებული, რომ საქართველოში განვითარების პრობლემათა მარტივი გადაწყვეტების დრო დასრულებულია (თუკი განვითარებულ მსოფლიოსთან ინტეგრაცია საქართველოს რეალური მიზანია). როდესაც სახელმწიფო პოლიტიკის ხარისხი დაბალია (ე.ი. ქვეყანაში პოლიტიკური აზროვნების კულტურაა დაბალი), ქვეყანა შეიძლება ისტორიული განვითარების ჩიხში აღმოჩნდეს მომწყვდეული; იქიდან გამოსასვლელად კი, ქვეყანას უდიდესი სულიერი დაძაბვა და პოლიტიკური ძალისხმევა დასჭირდება.

ნომრის სტუმარი

ეკუმენური მოძრაობა და მართლმადიდებელი ეკლესია

ლევან აბაშიძე

ლევან აბაშიძე: ბატონო ლემოპოულოს, თქვენ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს (ემს) წარმოადგენთ, რომელიც ეკუმენური მოძრაობის უმთავრესი საერთაშორისო ორგანიზაციაა. საქართველოში კი წლების განმავლობაში ეკუმენური მოძრაობის დემონიზაცია ხდება. ზოგიერთი ცდილობს წარმოადგინოს ეკუმენიზმი (ჩვენთან ჩვეულებრივ ლაპარაკობენ ეკუმენიზმზე და არა ეკუმენურ მოძრაობაზე) როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის მტერი და ანტიქრისტეს რელიგიაც კი.

ჩემი აზრით, ბევრმა არაფერი იცის ეკუმენური მოძრაობის შესახებ, გარდა მოარული მითებისა. ამიტომ ჩემი პირველი შეკითხვა უბრალოა: რა არის ეკუმენიზმი და ეკუმენური მოძრაობა?

გეორგოს ლემოპოულოსი: ტერმინი ეკუმენიზმი იხმარება, მაგრამ მართლმადიდებელ თეოლოგთა უმრავლესობა მას თავს არიდებს. ისინი ეკუმენურ მოძრაობაზე ლაპარაკობენ და არა ეკუმენიზმზე, ვინაიდან ამ უკანასკნელმა, შესაძლოა, შექმნას შთაბეჭდილება ფორმალური, ოფიციალური იდეოლოგიისა.

ეკუმენური მოძრაობა არის ქრისტიანთა, დაყოფილ ქრისტიანთა მზადყოფნა, იღვაწონ ერთობის აღსადგენად. ამ პერსპექტივიდან თუ შევხედავთ, ერთობისათვის მუშაობა სრულიად ბუნებრივია. ყოველ საღვთისმსახურო ქმედებაში, დაწყებული ჟამნობიდან დამთავრებული წირვით, ჩვენ ვლოცულობთ ქრისტიანთა ერთობისთვის. ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობა არის ჩვენი საღვთისმსახურო ლოცვის გაგრძელება. ეს ერთი პასუხია.

მეორე პასუხი შემდეგია: თუ გადავხედავთ ქრისტეს ეკლესიის ისტორიას, ვერ ვიპოვით ისეთ მომენტს, როდესაც გაყოფილი ქრისტიანები არ ეძებდნენ გზებს გაერთიანებისკენ. რამდენჯერ დავრჩენილვართ იმედგაცრუებულნი ჩვენს ურთიერთობებში რომთან? რამდენჯერ ვყოფილვართ იმედგაცრუებულნი და იმედდაკარგულნი ძველი განხეთქილების შედეგად, რომელსაც მონოფიზიტურ განხეთქილებას ვუწოდებთ? მაგრამ ეკლესიის მამები წლების და საუკუნეების მანძილზე ისევ და ისევ ცდილობდნენ, მოენახათ გზა ერთობისაკენ. ეს არის ჩვენი თეოლოგიის უმთავრესი დებულება. ამიტომ, ერთობისთვის ღვაწლი არის ტრადიციის გაგრძელება და წარსულიდან ბუნებრივად გამომდინარე პროცესი.

ამავე დროს, დღევანდელი მდგომარეობა განსხვავებულია, რაც ამ მცდელობებს უფრო აძნელებს და ართულებს. თუ უწინ მხოლოდ ორმხრივი დიალოგი მიმდინარეობდა, დღეს ქრისტიანები - კათოლიკები, მართლმადიდებლები, პროტესტანტები, ანგლიკანები - ერთად შრომობენ ერთობისათვის. და ერთად შრომისათვის მზადყოფნა არ შემოიფარგლება მხოლოდ საღვთისმეტყველო დიალოგით, არამედ ასევე გულისხმობს ერთობლივ მოწმობას ჩვენი საზოგადოების წინაშე. ადამიანთათვის ძალიან ბევრს ნიშნავს, ესმოდეთ ქრისტიანთა ერთიანი, განუყოფელი ხმა, მიიღონ გაერთიანებული დახმარება ქრისტიანებისგან. დღეს ადამიანთა ყოველ ცალკეულ საზოგადოებაში არის მოთხოვნილება სახარების სიტყვისა, მოთხოვნილება ეკლესიის მაკურნებელი მყოფობისა.

ეს არის ის უმარტივესი მოკლე შეჯამება, რომელიც შემიძლია ეკუმენური მოძრაობის შესახებ გავაკეთო, და მართალი გითხრათ, ეს არც ისე ადვილი საქმეა.

რაც შეეხება მართლმადიდებელთა მონაწილეობას (მე ვგულისხმობ დღეს არსებულ ყველა მართლმადიდებელ ეკლესიას), უპირველესად უნდა გვახსოვდეს, რომ XX საუკუნის დასაწყისიდან ყველა მათგანმა გამოხატა თავისი მზადყოფნა ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობისთვის. ამავე დროს, მონაწილეობა არასოდეს ყოფილა ადვილი. მრავალჯერ იყო გამოთქმული პროტესტი და უკმაყოფილება. მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, ვინაიდან ეს გვაჩვენებს, თუ როგორი სერიოზულობით და პასუხისმგებლობით უდგება მართლმადიდებელი ეკლესია ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობას და რამდენად ფრთხილად შედის ურთიერთობაში სხვა ეკლესიებთან.

მე საქმე მქონდა ბევრ ეკლესიოლოგიურ განცხადებასთან, და მე არ შემხვედრია არც ერთი ოფიციალური განცხადება არც ერთი მართლმადიდებელი ეკლესიისა, რომელშიც მისი ეკლესიოლოგიური იდენტურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დამდგარიყო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მე არ შემხვედრია განცხადება, სადაც ეჭვი იქნებოდა გამოთქმული, რომ მართლმადიდებელი ეკლესია არის ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია. მაგრამ,ამავე დროს, მართლმადიდებელი ეკლესიები გრძნობენ საჭიროებას, დასვან კითხვა: როგორ უნდა მოვექცე მე სხვა ქრისტიანებს და სხვა ეკლესიებს, რომლებთანაც უნდა ავაწყო გარკვეული ურთიერთობა და თანაცხოვრების გარკვეული ფორმა? შედეგად ჩვენ გვაქვს ურთიერთობის ის ფორმები, რომლებიც წლების მანძილზე შემუშავდა სხვა ეკლესიებთან ერთად.

- თქვენ ისაუბრეთ ქრისტიანულ ერთობაზე. ჩემს მიერ ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო საქართველოში თქვენ ბევრი არ დაგეთანხმებათ. მე დაგისვამთ კითხვას, რომელსაც ეს ადამიანები დასვამდნენ იმისათვის, რომ გვქონდეს მათთან დიალოგი და არა მონოლოგი: რა იცით რომ ის გარეშენი, რომლებიც თავს ქრისტიანებს უწოდებენ, მართლაც, ქრისტიანები არიან და არა მწვალებლები ან წარმართები? მათ ხომ არავინ უშლის, მოვიდნენ მართლმადიდებელ ეკლესიაში თუ ჭეშმარიტი ქრისტიანობა სურთ? ეს იქნებოდა ჭეშმარიტი ქრისტიანული ერთობა. რა საჭიროა ეკუმენურ მოძრაობაში ჩვენი მონაწილეობა, რითაც, ფაქტობრივად, ვაღიარებთ მათ ქრისტიანობას და მათ "ეკლესიებს"?

- თუ ჩვენ მკაცრად ვუდგებით სხვებს, მოდით, ასევე მკაცრად მივუდგეთ საკუთარ თავსაც, და დავსვათ კითხვა: არის კი ყველა ის, ვინც თავს მართლმადიდებელს უწოდებს, მართლაც მართლმადიდებელი? მე მგონი, სანამ სხვის განსჯას დავიწყებთ, სწორედ ეს შეკითხვა უნდა დავსვათ და ჩავუღრმავდეთ იმას, თუ რას ნიშნავს "მართლმადიდებელი". ამას სახარება გვასწავლის, ჩვენ თავს მივხედოთ, სანამ სხვის განკითხვას დავიწყებთ.

არის სხვა საკითხი, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ჩვენ ყველანი ვცხოვრობთ სეკულარიზებულ (საერო) მსოფლიოში - მსოფლიოში, სადაც აღარ არის რწმენა, სადაც ყველაფერი კითხვის ნიშნის ქვეშ არის დაყენებული, სადაც ყოველ ნაბიჯზე დემონური და სატანური ძალები გვხვდება მრავალი ფორმით. როდესაც ამ სამყაროში მე მხვდება ადამიანი, რომელიც აღიარებს იესო ქრისტეს თავის მაცხოვრად, ვეკითხები ჩემს თავს: როგორ მივუდგე მას? სხვა რომ არაფერი ვთქვა, პირადად ჩემთვის ეს პიროვნება ქრისტიანია. ვიცი, რომ ჩვენ განსხვავებები გვაქვს, ვიცი, რომ უამრავი რამ უნდა გავაკეთოთ ამ განსხვავებათა გადასალახავად, მაგრამ მე არ შემიძლია ვთქვა, რომ ის არ არის ქრისტიანი, მე არ შემიძლია პატივი არ ვცე მის მოწმობას, მე არ შემიძლია უგულებელვყო მისი აღიარება. მრავალი წელია ევროპაში ვცხოვრობ, მყავს მეგობრები, რომლებიც არიან კათოლიკეები, პროტესტანტები, რომლებთანაც ერთად ვსწავლობდი. ხშირად მათი ქცევა, მათი ქრისტიანული დახმარება მოყვასისადმი მაიძულებდა მეფიქრა ჩემს თავზე, და ხშირად მახსენდებოდა კეთილი სამარიტელის იგავი.

ასე რომ, მე ვიცი, რომ საკითხი არ არის ადვილი. მაგრამ, მარტივი გადაწყვეტა - არაქრისტიანად გამოვაცხადოთ ყველა, ვინც მართლმადიდებელი ეკლესიის გარეთაა, ანდა გავავლოთ ხაზი, რომლის ერთ მხარეს მართლმადიდებლები არიან და მეორე მხარეს ყველა ერეტიკოსია - არ არის გამოსავალი.

- როგორც თქვენ თქვით, ეკუმენური მოძრაობის უმთავრესი ამოცანა იყო ერთობისაკენ გზების ძიება. ეს იმას ნიშნავს, რომ იყო იმედი ერთობის აღდგენისა, რომ ეს ერთობა შესაძლებელია. რა იქნება ეკლესია, თუ ჩვენ მივაღწევთ ერთობას სხვა კონფესიასთან? იქნება ეს მართლმადიდებელი ეკლესია? სხვა სიტყვებით: ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ისინი მართლმადიდებლები არიან, თუ პირიქით, ეს იქნება რაღაც სინკრეტიზმი, რომელშიც ჩვენ დავკარგავთ მართლმადიდებლობას?

- რაც მე წამიკითხავს და გამიგია სხვადასხვა ეროვნების და ქვეყნის თანამედროვე მართლმადიდებელი ღვთისმეტყველებისგან, არის ის, რომ თუ ერთობა ოდესმე განხორციელდა (და თუ ეს მოხდება ღვთის კურთხევით), ეს მოხდება ძველი, განუყოფელი ეკლესიის ტრადიციის საფუძველზე. ამიტომ მართლმადიდებელი ეკლესიისგან არ ისმის მოწოდება, "მოდით, დაგვიბრუნდით ჩვენ", რაც აღბათ ზოგიერთისთვის ამპარტავნულად გაიაზრებდა, არამედ ისმის: "დაუბრუნდეთ განუყოფელი ეკლესიის, მოციქულთა ტრდიციას." რასაკვირველია, როგორც მართლმადიდებლებს, ჩვენ გვჯერა და დარწმუნებულნი ვართ, რომ სწორედ ჩვენ ვაგრძელებთ ამ ტრადიციას. და ჩვენ ეს უნდა დავამტკიცოთ. დიალოგი და ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობა ჩვენთვის ერთ-ერთი საშუალებაა, რომ ვაჩვენოთ, შევეცადოთ, დავარწმუნოთ ჩვენი დები და ძმები, რომ ეს არის სწორი გზა. ეს არის მართლმადიდებელთა მონაწილეობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი.

მე კიდევ ერთ კომენტარს გავაკეთებდი. რასაკვირველია, ჩვენი მართლმადიდებლური რწმენის შენარჩუნება უაღრესად აღელვებს ადამიანებს, და არც ერთმა ჩვენთაგანმა არაფერი არ უნდა დავთმოთ. მაგრამ ,აქ დიდი სიფრთხილე გვმართებს, ვინაიდან უნდა ვიცოდეთ, რა არის მართლმადიდებლობა? არის მართლმადიდებლობა ის, რასაც ერთი ავტოკეფალური ეკლესია გამოაცხადებს? თუ მართლმადიდებლობა ის არის, რასაც ყოველთვის ვამბობდით: კონსენსუს პატრუმ (ეკლესიის მამათა თანხმობა). ჩვენ არ ვიმოწმებთ ერთ წმინდა მამას, ჩვენ ვიმოწმებთ მთელ ტრადიციას! ამ პრინციპის მსგავსად, დღეს წარმოშობილ საკითხებთან მიმართებაში, ჩვენ არ უნდა დავიმოწმოთ ერთი ავტოკეფალური ეკლესია ან ერთი პიროვნება, არამედ მთელი მართლმადიდებელი ერთობა: ანტიოქიიდან ამერიკამდე, აფრიკიდან რუსეთამდე, ფინეთიდან იაპონიამდე, ინდოეთიდან ალასკამდე. მათი ცხოვრება და მათი აზრი ამა თუ იმ საკითხზე აუცილებლად გასათვალისწინებელია.

საქართველოს საზოგადოების და ეკლესიის მიმართ ჩემი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, მიუხედავად ჩემი მცდელობისა, ჩავწვდე თქვენი ქვეყნის თავისებურებებს, ჩემი აზრით, ჩვენმა ქართველმა დებმა და ძმებმა უნდა გაიხედონ საქართველოს ეკლესიის საზღვრებს გარეთაც და დაინტერესდნენ, რა ხდება სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებში, როგორიც არის ,მაგალითად, მართლმადიდებელი ეკლესია სირიაში, რომელსაც უწევს არსებობა სრულიად სხვა გარემოში, ისლამურ და არც თუ თავისუფალ ქვეყანაში, ან რა მდგომარეობაა დასავლეთ ევროპის მართლმადიდებელ ეკლესიებში, სადაც მართლმადიდებლები ბუნებრივად თანამშრომლობენ კათოლიკეებთან და პროტესტანტებთან.

გეორგ ლემოპოულოსი - ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილე. გასულ კვირას ის ორი დღით ეწვია საქართველოს და შეხვდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს.

- კიდევ ერთხელ დავუბრუნდები ერთობის საკითხს. ეს საკითხი ისევ აქტუალურია, თუ მართლმადიდებელ ეკლესიას იმდენად დაშორდნენ პროტესტანტული და ანგლიკანური ეკლესიები ბოლო ათწლეულებში, რომ ერთობისა აღარავის სჯერა და ეკუმენური მოძრაობა მთლიანად გადაერთო ერთობლივ სოციალური პროგრამების განხორციელებაზე?

- მართალია, ფიქრი საეკლესიო ერთობაზე შეუძლებლად გვეჩვენება, როდესაც განყოფა ასე ღრმაა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ჩვენ მზად ვართ, ვიმუშაოთ ქრისტიანთა ერთობისთვის, ამას ვაკეთებთ არა იმიტომ, რომ უბრალოდ ასე მოვისურვეთ, არამედ იმიტომ, რომ ეს არის მცნება, ბრძანება, რომელიც თვით ქრისტემ მოგვცა: "რაითა ყოველნი ერთ იყოს". ამიტომ, ჩვენ ვმუშაობთ იმისთვის, რომ აღვასრულოთ ღვთის ნება. აუცილებლად უნდა გვესმოდეს ჩვენი შეზღუდულობები და ღმერთს უნდა მივანდოთ ამ საქმის საბოლოო განხორციელება. ვიცით, რომ თუ ერთ მშვენიერ დღეს ეკლესიის ერთობა განხორციელდება, ეს იქნება ღმერთის კურთხევა და მადლი. ამავე დროს, ვცდილობთ, შესაძლებლობის მაქსიმუმი გავაკეთოთ. გვინდა, ამ საქმეს მცდელობა არ დავაკლოთ, კიდევ ერთხელ ჩავერთოთ სულიერ ბრძოლაში.

იმისათვის, რომ უფრო კონკრეტული ვიყო, გეტყვით, რომ არის ეკლესიები, არის გაერთიანებები და არის სწავლებები, რომლებიც შორს დგანან სამოციქულო ტრადიციისაგან და ამით ქმნიან დამატებით სიძნელეებს. ქრისტიანთა შორის არის შეგრძნება, რომ დიალოგის არსებობის 40 თუ 50 წლის შემდეგ გარკვეული დაქანცულობაა, იმიტომ, რომ თეოლოგიურ დიალოგში კონკრეტული შედეგები არ მიღწეულა. ამიტომ ბევრი ქრისტიანი ამბობს, მოდით, იმის მაგივრად რომ ვიპაექროთ თეოლოგიურ და ეკლესიოლოგიურ საკითხებზე, შევიკრიბოთ ერთად, დავამწმოთ ქრისტე ამ მსოფლიოში. ჩვენ არ ვამახვილებთ ყურადღებას, ვინ ვართ, მართლმადიდებელი, კათოლიკე თუ ლუთერანი, ჩვენ ერთად, ქრისტეს სახელით ვმკურნალობთ დაჭრილს, ვაპურებთ მშიერს, ვუვლით ბავშვებს, რომლებიც ძალიან ხშირად მძიმე მდგომარეობაში ხვდებიან, ვიბრძვით ძალადობის წინააღმდეგ, ვცდილობთ ვებრძოლოთ ნარკოტიკებს და ვიხსნათ მათგან მომავალი თაობა. ყოველივე ეს ჩვენ შეგვიძლია ერთად გავაკეთოთ.

> **თუ ჩვენ მზად ვართ, ვიმუშაოთ ქრისტიანთა ერთობისთვის, ამას ვაკეთებთ არა იმიტომ, რომ, უბრალოდ, ასე მოვისურვეთ, არამედ იმიტომ, რომ ეს არის მცნება, ბრძანება, რომელიც თვით ქრისტემ მოგვცა.**

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს სწორედ საერთო ქრისტიანული მოწმობაა. სწორედ ქრისტიანობიდან მომდინარეობს სიცოცხლისადმი პატივისცემა. ეს ისაა, რაშიც ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ჩვენ საერთო ფესვები გვაქვს. ერთ გზაზე სვლისას ჩვენ ვაცნობიერებთ მოყვასის რწმენას, ტანჯული ქრისტე ადასტურებს ჩვენს სიახლოვეს, რომ ჩვენ ერთ ოჯახს ვეკუთვნით. და ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

თქვენ იცით, რომ დღეისათვის ბევრი სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურა მუშაობს სოციალურ და საქველმოქმედო სფეროში. ისინი პრაქტიკულად იგივე სამუშაოს ასრულებენ. მაგრამ ,ჩემი აზრით, არის ხარისხობრივი განსხვავება. მართალი რომ ვთქვათ, ის, რაც ეკლესიებს შეუძლიათ გასცენ, არის მხოლოდ მცირე ნაწილი იმისა, რასაც სახელმწიფოები გასცემენ, მაგრამ ამ მცირეს სხვა ძალა და სხვა სულიერი შიგთავსი აქვს და ადამიანებს სჭირდებათ ეს სულიერი მხარდაჭერა.

- საკითხი, რომელიც დიდ ვნებათაღელვას იწვევს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში, არის ის პრაქტიკა, რომელსაც მიაწერენ ეკუმენურ მაძრაობას, რომელიც ეხება ერთობლივ ლოცვას და ერთობლივ ზიარებას. გთხოვთ, ეს ორი პრაქტიკა ცალ-ცალკე განიხილოთ. საკითხი ყველაზე ხშირად განიხილება საეკლესიო კანონების ჭრილში: ირღვევა თუ არა ეკლესიის კანონები და არის თუ არა ეს მართლმადიდებლობის ღალატი? გთხოვთ, განგვიმარტოთ, როგორ პრაქტიკას აქვს სინამდვილეში ადგილი და როგორ შეაფასებდით მას?

- ჩვენ ნათლად უნდა განვაცხადოთ: მართლმადიდებელმა ეკლესიებმა და მართლმადიდებელმა თეოლოგებმა ნათლად უარყვეს თანაზიარება სხვა კონფესიის წარმომადგენლებთან. ამასთან დაკავშირებით არის ნათელი თეოლოგიური პოზიცია. და როდესაც ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილე მართლმადიდებელი ეკლესია ან მართლმადიდებელი თეოლოგი საუბრობს ერთობლივ ლოცვაზე, არასოდეს იგულისხმება ევქარისტიული ღვთისმსახურება, ანუ წირვა.

ახლა განვიხილოთ ლოცვები, რომლებიც არის ღვთის შეწევნის თხოვნა იმ ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომელიც აღსავსეა სიძნელეებით და საქმეებით. და აქ ორი ძალიან უბრალო შეკითხვა ჩნდება.

როდესაც ჩვენ ვიკრიბებით, როგორც ქრისტიანები, რომლებიც ვსაუბრობთ ერთმანეთთან, ვმუშაობთ ერთად, მსოფლიოში ერთად ვავრცელებთ ქრისტიანულ მოწმობას, შეიძლება ეს ვაკეთოთ ისე, რომ არ დავიწყოთ ლოცვით? აქ ერთობლივი ლოცვა აუცილებელია.

და მეორე, თუ ჩვენ, ქრისტიანები ჩვენს გზას ვადგავართ და საპირისპირო მხარეს მიდივართ, მაშინ, რასაკვირველია, ლოცვა ერთად შეუძლებელია. მაგრამ, როდესაც ჩვენ მზადყოფნას გამოვთქვამთ, და სერიოზულად ჩავერთვებით ჩვენი ერთობისთვის მუშაობაში, ჩვენ ვცვლით ისტორიის მიმართულებას და დანაწევრებული ერთობებისგან ვხდებით ისეთ ერთობებად, რომლებიც ეძებენ გაერთიანებას. როგორ ვაკეთოთ ეს ლოცვის გარეშე? ასე რომ, ერთობლივი ლოცვის იმპერატივი ბუნებრივად და ნორმალურად ჩნდება.

მე არ მინდა, რომ ჩვენ ზედმეტად ავჩქარდეთ, მე არ მინდა გავამარტივო საგანი. ყოველივე ეს არ არის ადვილი, მაგრამ მე მგონი ,ჩვენ ამ საკითხებს ვერ ავარიდებთ თავს.

- ჩემი აზრით, დღეს საქართველოში სურათს ხშირად უმართებულოდ ამარტივებენ. თითქოს ან სრული ერთობაა ან სრული განხეთქილება. ანუ თუ ჩვენ ერთობა არა გვაქვს რომელიმე ეკლესიასთან, ის აუცილებლად სრულიად მწვალებლურად უნდა შევრაცხოთ. მაგრამ, ეს ხომ არ არის სწორი. ისტორიიდან ვიცით, რომ ხშირად განცალკევებულ მხარეებს შორის არ იყო სრული ეკლესიური ერთობა, მაგრამ ამავე დროს, ისინი არ მიიჩნევდნენ ერთმანეთს მწვალებლებად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის მდგომარეობა, რომელიც თქვენ აგვიწერეთ, არ არის XX საუკუნის ეკუმენური მოძრაობის გამონგონება. მეთანხმებით ამაში?

- მე საქართველოს ისტორია არ ვიცი, მაგრამ მაგალითად, საბერძნეთში იყო, როგორც იცით, მარკოზ ეფესელი - ეფესოს ეპისკოპოსი. ის მნიშვნელოვანი ფიგურაა, ვინაიდან მან უარყო მრავალი პოლიტიკური ზეწოლა და არ ნასულა კომპრომისზე რწმენის საკითხში. და ამიტომ წმიდა მარკოს ეფესელის პიროვნებას ხშირად ვიხსენებთ. მაგრამ ხშირად გვავიწყდება, რომ სანამ მარკოს ეფესელი თავის საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა, ის წავიდა ფლორენციაში, სადაც ფლორენციის საეკლესიო კრებაზე კათოლიკე პარტნიორებს მოლაპარაკების მაგიდასთან შეხვდა. ის კრების მონაწილე იყო და სიტყვითაც გამოდიოდა, რაც დოკუმენტირებულია. ის უდიდესი პატივისცემით და გაგებით უდგება კათოლიკეებს და არ ეპყრობა მათ, როგორც მწვალებლებს. ის არ მოიკვეთდა დიალოგის შესაძლებლობას და ბოლო მომენტამდე სწამდა, რომ არის შანსი, შესაძლებელია მოხდეს ჭეშმარიტი, ჭეშმარიტებაზე დაფუძნებული ერთობის აღდგენა. მაგრამ როდესაც ეს მომენტი დადგა, მან თქვა "არა".

და მართმადიდებლობის ისტორია და სულიერება გვასწავლის, რომ მსგავსი მოგზაურობები და მცდელობები შემდგომ აონლეულებშიც და საუკუნეებშიც ხდებოდა. ეს არ არის ადვილი, ეცადო შეხვდე შენს დას ან ძმას, რომელთანაც დიდი ხნის წინ განყვიტე კავშირი.

- რა შეგიძლიათ გვითხრათ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოზე (ემს) და ევროპის ეკლესიათა კონფერენციაზე (ეეკ), რომლებიც ეკუმენური მოძრაობის აღიარებული ცენტრებია. რა პრობლემები, ამოცანები და მიზნები აქვთ მათ დღეს?

- ისევ სიძნელეებიდან დავიწყებ, რომ არ დაგრჩეთ შთაბეჭდილება, რომ ადვილი გადაწყვეტილებებისკენ მაქვს სწრაფვა. თვით არსებობა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსი მიუთითებს რაღაც არანორმალურზე, მიუთითებს სიძნელეზე. იმიტომ, რომ აქ ჩვენ ვახსენებთ ეკლესიებს, მაშინ როდესაც ქრისტეს ეკლესია, ჩვენი რწმენიდან გამომდინარე, ერთი უნდა იყოს. საბჭოში იმ ეკლესიების ერთად ყოფნა, რომლებიც დაყოფილნი არიან, თითქმის შეუძლებელი ამოცანაა. ასე რომ, ემს და ეეკ მუშაობენ თითქმის შეუძლებელის სფეროში, ასევე, მე ვიტყოდი, სიძნელისა და შინაგანი ნინაღმდეგობრიობის სფეროში. მართლმადიდებელი ეკლესიები, სანამ ისინი გაერთიანდებოდნენ ემს-ში, მოითხოვდნენ მისი ბუნებისა და ხასიათის ძალიან ფრთხილ განსაზღვრებას. და ჩემი აზრით, სწორედ მართმადიდებელი თეოლოგების ინტუიციით ჩამოყალიბდა სათაური: "ეკლესია, ეკლესიები და ეკლესიათა მსოფლიო საბჭო" (ტორონტოს დეკლარაციის სათაური).

დღეისათვის ემს უნიკალური მსოფლიო ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს ეკლესიებს: მართლმადიდებელს, ანგლიკანურს, ძველ კათოლიკურს, ლუთერანულს, რეფორმირებულს და სხვ. კათოლიკური ეკლესია გარკვეული მიზეზების გამო არ არის განევრიანებული, თუმცა მრავალ პროგრამაში მჭიდროდ თანამშრომლობს ემს-თან.

ამიტომ, მე არ ვცდილობ ემს-ის აბსულუტიზირებას, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს ჩვენ ალტერნატივა არა გვაქვს.

ამავე დროს, უნდა ითქვას, რომ ემს თვითონ ეძებს რეორგანიზაციის გზებს, და მზად არის, ცვლილებები გაატაროს, იმისათვის, რომ უფრო უკეთ შეესაბამებოდეს ეკლესიათა მოთხოვნილებებს და მათ დღევანდელ რეალიებს.

ყოველივე ეს ეეკ-ზეც ითქმის. ამავე დროს, თუ ეეკ-ს თავისებურებაზე ვლაპარაკობთ, ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ: ევროპის ხალხებს და ერებს სურთ, ჰქონდეთ სხვადასხვა ტიპის ერთობა: პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და ასევე ***სულიერი*** ერთობა. აქ ეკლესიათა როლი უაღრესად მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ხდება. ჩემი აზრით, ჩვენთვის დიდი გამოწვევა იქნება, თუ ევროპა გაერთიანდება პოლიტიკური და ეკონომიკური ნიშნით და ამის პარალელურად არაფერი მოხდება ქრისტიანულ პერსპექტივაში. ქრისტიანულ ეკლესიებს - კათოლიკეს, მართლმადიდებელს, პროტესტანტულს, აქვთ ვალდებულება სერიოზულად აღიქვან ეს და თავისი წვლილის შეტანა შესთავაზონ საზოგადოებას, იმისათვის, რომ ევროპის გაერთიანებას სულიერი საფუძველი ჰქონდეს.

- ეს შეკითხვა შეიძლება კურიოზულად მოგეჩვენოთ, მაგრამ ჩვენში მუსირებს აზრი, რომ ეკუმენური მოძრაობა ჯადოქრებთან და წარმართებთან ერთობლივ ლოცვასა და ღვთისმსახურებას გულისხმობს. რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს?

- მე მინდა უკიდურესად იმფორმატიული ვიყო. მე 30 წელია მონაწილეობას ვიღებ ეკუმენურ მოძრაობის სხვადასხვა საფეხურზე და დონეზე. მე არც გამიგონია და არც შევსწრებივარ ერთობლივ ლოცვებს არაქრისტიანებთან. ისე რომ, მე მეტად კრიტიკული ვარ ყოველგვარ ინსინუაციების მიმართ, თითქოს ეკუმენურ მოძრაობა მართავს ერთობლივ ლოცვებს ინდუისტებთან, შამანებთან თუ სხვა. მე არ ვამბობ, რომ ასეთი რამ არ ხდება. არის ეკლესიები, რომლებიც ინდივიდუალურად, შესაძლოა, ატარებენ ამგვარ ლოცვებს არაქრისტიანებთან, მაგრამ ეს კონკრეტულად უნდა განვიხილოთ, სანამ ემს-ს დავადანაშაულებთ.

შესაძლოა, იგულისხმება ცერემონიები და რიტუალები, რომლებიც ეკლესიის ლოცვა-კურთხევით მიმდინარეობს და რომელშიც წარმართული რიტუალის ელემენტები გამოიყენება. ესეც კონკრეტული განხილვის საგანია. თავისთავად, ქრისტიანულ რიტუალში წარმართული კონოტაცია, შესაძლოა, სრულიად მისაღები იყოს. ამას გვასწავლის ეკლესიის ისტორია. მართლმადიდებლური საგალობლები სავსეა წარმართული კონოტაციით, თუნდაც ზობის ჰიმნები გავიხსენოთ, სადაც ქრისტეს მზეს ვადარებთ.

- რა შეგიძლიათ თქვათ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ? კერძოდ, მისი ურთიერთობა სხვა ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიებთან და ეკუმენურ მოძრაობასთან? როგორ ჩანს ეს ჟენევიდან?

- უწინარეს ყოვლისა უნდა ვთქვა, რომ დიდად ვწუხვარ იმის გამო, რომ საქართველოს ეკლესიამ, ბულგარეთის ეკლესიასთან ერთად დატოვა ემს და ეეკ. მე ამ მწუხარებას გამოვთქვამ არა ემს-ს გამო, არამედ ბევრად უფრო მართლმადიდებელთა ერთობისა და თანამშრომლობის გამო. მას შემდეგ, რაც ალბანეთის მართლმადიდებელი ეკლესია გახდა ემს-ს წევრი, ჩვენ უნიკალური მოვლენა ვიზეიმეთ, როდესაც უკლებლივ ყველა მართლმადიდებელი ეკლესია ამ ორგანიზაციის წევრი გახდა. ეს მნიშვნელოვანი იყო როგორც მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, ასევე ემს-თვის. მართლმადიდებელი ეკლესიები მოითხოვდნენ ემს-ს რეფორმირებას და ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ მართლმადიდებელთა ერთობლივი წევრობა. ამის დასტურია თესალონიკის ცნობილი შეხვედრა. მაგრამ, სამწუხაროდ, ორმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ დატოვა ემს და ამით აღნიშნული ერთობა დაირღვა.

მე ძლიერ ვწუხვარ ამის გამო, ვინაიდან ჩვენ, მართლმადიდებლებს, გვჭირდება საქართველოს და ბულგარეთის ეკლესიების ხმა. ეხ ხმა უფრო სკეპტიკური და კრიტიკული იქნებოდა ეკუმენური მოძრაობის მიმართ, და უფრო კონსერვატული სხვა მართლმადიდებელ ეკლესიების ხმასთან შედარებით, მაგრამ ჩვენთვის ეს ხმა აუცილებელია, ვინაიდან მათ გარეშე მართლმადიდებლობის მოწმობა სრული არაა. არმონაწილეობა არა მგონია, სწორი იყოს. ფრანგებს აქვთ გამოთქმა: "დაუსწრებლობა ყოველთვის შეცდომაა". მე მგონი, ეს ერთ-ერთი მიზეზია, რომელიც უბიძგებს მართლმადიდებელ ეკლესიებს ამ მოძრაობაში მონაწილეობის მისაღებად და ამიტომ, მე თავს უფლებას მივცემ, მოვუწოდო საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, რომ მან იზრუნოს არა მარტო საქართველოს საზოგადოებისთვის, არამედ მის საზღვრებს მიღმა. იფიქროს მის მისიაზე საერთო მართლმადიდებლურ ოჯახში, სადაც საქართველოს თავისი მისია აკისრია.

- დიდი მადლობა საუბრისთვის. ბოლოს, ხომ არ გსურთ გაზეთის ფურცლებზე მიმართოთ ქართველ მკითხველს, ქრისტესმიერ დებს და ძმებს?

- მე მინდა ,უბრალოდ, გამოვხატო ის სიხარული, რომელსაც მანიჭებს საქართველოში ყოფნა. ეს ის ქვეყანაა, სადაც ყოველთვის ისე ვგრძნობ თავს, როგორც საკუთარ სახლში. შეიძლება იმიტომ, რომ მე მართლმადიდებელი ვარ. შეიძლება იმიტომ, რომ მე მეზობელი თურქეთიდან ვარ. შეიძლება იმიტომ, რომ მე აქ ბევრი მეგობარი მყავს. არ ვიცი. ფაქტია, რომ აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ.

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან თანამშრომლობის ამ ახალი პერიოდის გამო, იმ სიგნალების გამო, რომელიც ჩვენ აქ მივიღეთ, დაწყებული მისი უწმინდესობისგან, რომ სასურველია ურთიერთობის გარკვეული ფორმის აღდგენა, იმედი მესახება, რომ კიდევ მრავალჯერ მოვინახულებ თქვენს ქვეყანას.

ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲔᲑᲘ

დიდი საკონცერტო დარბაზი
კონსტანტინე პევზნერის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო
დას: 18:00 სთ.

კონსერვატორიის დიდი დარბაზი
პაოლო ბარბაჩინის (ტენორი, იტალია) და ნინო მაჩაიძის (სოპრანო) კონცერტი
დას: 19:00 სთ.

ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

გოეთეს ინსტიტუტი
კინოს მეგობართა კლუბი
ოთარ იოსელიანის ფილმების რეტროსპექტივა
(ფრანგული პერიოდი)
“ყაჩაღები, თავი VII”
დას: 17:00 სთ.

"ამირანი"
“ცუდი აღზრდა”

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲔᲑᲘ

დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალი
საქართველოს სამუზეუმო კოლექციები მცხეთაში
თიანეთის მხარეთმცოდნეობითი მუზეუმის გამოფენა

"ძველი გალერეა"
გუგა კოტეტიშვილის ნამუშევართა გამოფენა

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
გიგიშა პაჭკორიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (კერამიკა)

TMS
გოგი ჩაგელიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

ბავშვთა ნახატების გალერეა
"ხელოვნება და ბავშვები"

"ორიენტი"
ამერიკელი მხატვრის ჰენრი უერდემანის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

სურათების ეროვნული გალერეა
გამოფენა "ერთიანი საქართველოსთვის"

"ქარვასლა"
“საქართველო - ხელოვანთა ქვეყანა”

"ჰობი"
თანამედროვე მხატვრების ნამუშევრების გამოფენა "ჩვენი პალიტრა"

ᲞᲠᲔᲖᲔᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘ

კლუბი “ნოა ნოა”
გია სალაღიშვილის ალბომის პრეზენტაცია
დას: 18:00 სთ

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ

გამოვიდა ჟურნალ “რელიგიის” (N4-5-6) ახალი, გაერთიანებული ნომერი, რომელიც მთლიანად ეთმობა მთავარი რედაქტორის, ვიქტორ რცხილაძის მძაფრ, პოლემიკურ ნაშრომს “საქართველოს ისტორიის ზოგიერთი კრიზისული მომენტის ინტერპრეტირების ცდა ქრისტიანული მსოფლმხედველობის გათვალისწინებით”. ნაწარმოები ფართოდ მიმოიხილავს ღვთისმეტყველურ პოზიციებს ცოდვასა და მადლზე, ასევე XX საუკუნის ცნობილ თეოლოგთა და ფილოსოფოსთა ნააზრევს (რ. ოტო, რ. გუარდინი, კ. რანერი) და ყოველივე ეს ავტორს ეხმარება (ისევე, როგორც მკითხველს) საქართველოს წარსულისა და მისი აწმყოს უკეთ გაგებაში. ნაშრომი შეიცავს სამ დიდ თავს: “შესავალი ანუ თეისტური პროლეგომენია”, “ცოდვა”, “ორი საქართველო”. მინაწერიდან ვგებულობთ, რომ “გაგრძელება იქნება”. ტექსტს ახლავს “რეზიუმე” გერმანულ ენაზე.

“ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲜᲣᲐᲠᲘ”

ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲙᲘᲙᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

“გიორგობისთვემ” დიდი პოლემიკა გამოიწვია

ფილმში სიუჟეტი ვითარდება № 49-ე კასრის გარშემო, სადაც გაფუჭებული, უხარისხო ღვინო ასხია, ამ დროს კი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავი ახლოვდებოდა

გოეთეს ინსტიტუტში, კინოს მეგობართა კლუბში, დაპირებული რეტროსპექტივა - ოთარ იოსელიანის ფილმების ჩვენება გრძელდება.

კინოს მეგობართა კლუბს - ახალ კლუბს, რომელმაც რამოდენიმე კვირის წინ მოაწყო პრეზენტაცია გოეთეს ინსტიტუტში, ჯერ კიდევ უამრავი გეგმა აქვს განსახორციელებელი - დაარსოს კინობიბლიოთეკა, შექმნას კინომუზეუმი, იარსებოს კინოჟურნალმა... ძირითადი მიზანი, მაინც ის არის, რომ შექმნას სინემატეკა, ადგილი, დახურული კლუბი, სადაც განევრიანებულ მაყურებელს, საინტერესო რეტროსპექტივებს, ცალკეულ, ნაკლებად ნაცნობ, ან საერთოდაც უცნობ ფილმებს, რომლებიც ქმნიდნენ კინოს ისტორიას, შესთავაზებენ. ადგილი, სადაც ბურბუშელებით და კოკა-კოლით, გასართობი სანახაობა ნამდვილად არ დაგხვდებათ.

მაყურებელს, კლუბის პირველი რეტროსპექტივა - ოთარ იოსელიანის ფილმები შესთავაზეს. რეტროსპექტივა, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო სამ ნაწილად დაიყო, იოსელიანის ქართული პერიოდის ფილმების ჩვენებით დაიწყო. დღესდღეობით გრძელდება ფრანგული პერიოდის ფილმებით, და როგორც ორგანიზატორებმა განაცხადეს სექტემბერში დასრულდება.

ის, რომ კლუბი იოსელიანის ფილმებით გაიხსნა, არ არის შემთხვევითი. როგორც კლუბის ხელმძღვანელმა, მარინა კერესელიძემ აღნიშნა, ასეთი ტიპის კლუბის შექმნის იდეაც, ბატონი ოთარისგან წამოვიდა, რომელიც ყოველთვის აღტაცებით ჰყვებოდა ფრანგულ სინემატეკაზე, მის ტრადიციაზე. რეჟისორის იუბილე (მას ზამთარში, 2 თებერვალს 70 წელი შეუსრულდა) ბევრ ქვეყანაში აღინიშნა. ყოველ შემთხვევაში, ყველგან, გარდა სამშობლოსი, საქართველოსი. მოსკოვი - კინოდარბაზებში თუ ტელევიზიით ნრგ- ს მიერ მოწყობილი რეტროსპექტივა, რეჟისორზე რუსეთის ტელეარხის “კულტურას” მიერ შექმნილი დოკუმენტური ფილმი; საფრანგეთი - იოსელიანის ფილმების რეტროსპექტივა. ასე რომ დაგვიანებით, მაგრამ მაინც, საქართველოში ეს რეტროსპექტივა მის საიუბილეო თარიღს მიუძღვნეს.

ქართული პერიოდის ფილმები, სინტერესო იყო იმით, რომ კიდევ ერთხელ შევძელით გვეხილა ეკრანზე ლაკონური, შავ-თეთრი, დოკუმენტური კინოს ესთეთიკას მიახლოებული უბრწყინვალესი მხატვრული ფილმები: “გიორგობისთვე” (1967 წელი) - ფილმი, რომელიც უამრავი პრიზით დაჯილდოვდა, და რეჟისორისთვის ყველაზე მძიმე და მტკივნეული გამოხმაურება ჰპოვა საქართველოში; “იყო შაშვი მგალობელი” (1971 წ.) - ამ ფილმის ნახვის შემდეგ, კანის ფესტივალზე, იტალიელი კინომცოდნე უგო კაზირაგი წერდა - “მადლობა ამ ფესტივალს, რომელმაც ასეთი რეჟისორი აღმოგვაჩენინაო”; “პასტორალი” (1976 წ.) - რომლის შემდეგაც ფრანგულმა პრესამ მას “ქართველი რენუარი” უწოდა. “თუ, რუსული კინოს (ყველა ფილმი, რუსეთის სახელით გადიოდა) აღორძინებაზეა ლაპარაკი, მაშინ ეს დიდ მოსკოვში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ მის პერიფერიაში, საქართველოში” - წერდა ფრანგული ჟურნალი Cinema”.

ამ პოპულარული ფილმების გარდა, ნაჩვენები იყო მხატვრული “აპრილი” (1962 წ.) და დოკუმენტური “თუჯი” (1964 წ.), რომელიც არა მარტო ფართო მაყურებლისთვის, ბევრი კინემატოგრაფისტისთვისაც კი უცნობია. “თუჯი” ეს არის რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშები, ცეცხლი, გავარვარებული ფოლადი... 20 წუთიანი დოკუმენტური ფილმი, რომლის შექმნამდეც რეჟისორი ორი თვე მუშაობდა ქარხანაში ისე, რომ არავისთვის გაუმხელია თავისი ვინაობა. **“დღეს 1963 წლის 24 მაისია. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მივდივარ სამუშაოდ. სცენარისთვის მასალა უნდა შევაგროვო"** - წერდა იოსელიანი “რუსთავის დღიურში” რომელიც რამოდენიმე ხნის შემდეგ გამოქვეყნდა ჟურნალ “ცისკარში”. **"ხშირ-ხშირად მეკითხებიან, ხომ არ დაიღალეო. მეც მხნედ ვიღიმები: აქაო და დაღლა რას მიქვიაო, გულში კი იმას ვამბობდი: “დავიღალე კი არა, მგონი ვკვდები”.**

“აპრილი” - ფილმი-ზღაპარი იმაზე, თუ როგორ იძალებიან ხოლმე საგნები ჩვენს ყოფაში, თრგუნავენ ნამდვილ სილამაზეს, სუფთა, ადამიანურ გრძნობებს. ნათია ამირეჯიბმა თავის წერილს ფილმზე “პასტორალი”, დოსტოევსკის სიტყვები წაუმძღვარა - И достигли того, что вещи накопили больше, а радости стало меньше. ეს სიტყვები ამ ფილმზეც შეიძლება გამოვიყენოთ. ფილმში ონკანში წყლის ხმის მაგივრად, მუსიკის ჰანგები ისმის და როცა ახალგაზრდები ერთმანეთში საუბრობენ, ჩიტების ჟღურტული... ბოლოს კი ნივთებით და მატერიით “დამძიმებულნი” რაღაც გაურკვეველ ენაზე იწყებენ საუბარს, ონკანშიც მუსიკის მაგივრად წყლის ბუყბუყი ისმის... და აი, თავისუფლდებიან ამ ზედმეტი ტვირთისგან და ფანჯრიდან ყრიან სკამებს, კარადას... თითქოს არაფერი ისეთი, რასაც ფილმის აკრძალვა შეეძლო, მაგრამ ფილმი აკრძალეს და ბოლოს კი საერთოდ გაქრა ფილმოთეკიდან. კინოს მეგობართა კლუბში ნაჩვენები ფილმის ასლი კი, ფრანგული სინემათეკიდანაა აღებული. ამ ფილმის აკრძალვაზე მოგვიანებით, ათი წლის შემდეგ დაიბეჭდა **აკაკი ბაქრაძის** წერილი, სათაურით “როგორ დაიკარგა აპრილი”: “ეს ფილმი, ერთ დიდად საპასუხისმგებლო პირს უჩვენეს. მან სევდიანი სახითა და დარდიანი თვალებით უყურა ფილმს და თქვა: ამ კინოსურათის ჩვენება არ შეიძლება. იგი მიმართულია ავეჯის შეძენის წინააღმდეგ. როგორ შეიძლება გადავყაროთ სკამები, მაშინ რაზე უნდა დავსხდეთ? თუ ადამიანები ბევრ ავეჯს ყიდულობენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი კარგად ცხოვრობენ. კარგ ცხოვრებას კი რა სჯობს?. ფილმში მხოლოდ ის დავინახე, რომ ავეჯს ყრიან, ეს კი ანტისაზოგადოებრივი საქციელია, რადგან ამით გამოხატულია ავეჯის ფაბრიკის მუშების შრომისადმი უპატივცმლობა. ჩვენ არავის მივცემთ უფლებას, რომ პატივი არ სცეს შრომას”. განა “აპრილი” შრომის ნაყოფი არ იყო? -კითხულობს ავტორი. ამდაგვარი აბსურდული აზრი, მრავალი გამოთქმულა იოსელიანის ფილმებზე, მაშინ როცა რეჟისორი საბჭოთა სივრცეში ქმნიდა ფილმებს. მრავალი წინაღობა და ხელშეშლა, ღანძღვა და საჩივრები რეჟისორის სახელზე რომელიც იგზავნებოდა პრესის, ცეკასა და “ქართულ-ფილმში”, მთელი ის ჩოჩქოლი, და დაძაბულობა დღეს ისტორიას ჩაბარდა; სქელ წიგნად აკინძული დევს, დამტვერილ თაროზე, მის გადაფურცვლისას და პათეთიური ტექსტების გადაკითხვისას, იოსელიანის “მავნეობა”, “ბრმა, მცდარი იდეოლოგია” და “საზოგადოებისთვის საშიშროება” კი დღეს მხოლოდ ღიმილს ბადებს. არ ვიცი სხვა დრო და სხვა ხელისუფლება რომ ყოფილიყო რას დაწერდა იგივე ხალხი, რომელთა უმრავლესობა არამარტო სხვადასხვა რაიონების მუშათა კლასი, და ქარხნების კოლექტივები იყო, არამედ პროფესორ-მასწავლებლები, პრესის რედაქტორები... ეს ყველაფერი კი, განსაკუთრებული სიმძაფრით ერთი ფილმის “გიორგობისთვის” გარშემო გამძაფრდა. ფილმმა, რომელმაც დიდი პოლემიკა გამოიწვია. დევნილი ფილმი, რომელსაც არა მარტო ოფიციალური ცენზურა, არამედ საზოგადოების დიდი ნაწილიც ავიწროებდა. ეს ხდებოდა აქ, ამ დროს კი დასავლურ პრესაში სულ სხვა სათაურები ჩნდებოდა - “გასაოცრად ნამდვილი ფილმი”, “ქართული კინოს დიდი წარმატება”...

“ეს პირველი შემთხვევაა, როცა კანის კინოფესტივალის კრიტიკის კვირეულმა, საბჭოთა ფილმი აირჩია - წერდა Cahier du cinema - თუმცა ქართველები რატომღაც განრისხებულები არიან და ფილმში ავტორის სითავხედის გარდა, სხვა ვერაფერი დაინახეს. განიხილავენ რა ფილმს, როგორც საქართველოს მიმართ მიყენებულ შეურაცხყოფას”.

“ჩვენ ვერ ვნახავთ “პასტორალს” მოსკოველი ჩინოვნიკის სიშტერის გამო. რა ვუყოთ საბჭოთა ბიუროკრატებს, ამ ყაჩაღებს, რომელთაც აღიზიანებთ ნამდვილი, კარგი კინო, მნიშვნელოვანი კინო" - წერდა 1979 წელს Nouvel observateur, როდესაც ოთხი წლის გაჯანჯლების შემდეგ ფილმი ძლივს ჩავიდა პარიზში. იმ პრობლემებზე რომელთაც ხელოვნურად ქმნიდა რუსეთი, ფრანგული პრესა რამოდენიმე მიზეზს ასახელებდა. “შეიძლება საქმე ის არის, რომ ჩინოვნიკები ფულს ითხოვენ, ისე, როგორც ეს ტარკოვსკის “სარკეზე” გააკეთეს, იქნებ იმიტომ რომ, რეჟისორი ქართველია? ან საერთოდაც არც არაფერი მიზეზი არსებობს” - წერს ფრანგი ჟურნალისტი მიშელ კურნო და მაგალითად “გიორგობისთვე” მოჰყავდა, როცა საექსპორტო ვიზა სპეციალურად ჯანჯლდებოდა: “მახსოვს, ჩემმა მეგობარმა ამიხსნა ამის მიზეზი. საქმე ის იყო, რომ ფილმში სიუჟეტი ვითარდება № 49-ე კასრის გარშემო, სადაც გაფუჭებული, უხარისხო ღვინო ასხია, ამ დროს კი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავი ახლოვდებოდა, რომლსაც დიდი რუსეთი ზარ-ზეიმით აღნიშნავს, და თურმე ჩვენმა “ჭკვიანმა” რუსმა, იფიქრა, იფიქრა და დაფიქრდა: ზედმეტად ახლოს ხომ არ იყო ციფრები 49 და 50? რას უნდა ნიშნავდეს ნეტა?” გადაწყდა, ოთარ იოსელიანის რეტროსპექტივაზე, რომელიც შაილოში და პომპიდუს ცენტრში გამართესფრანგებმა, ფილმი “პასტორალი” არ იყო ნაჩვენები.

"ჩემს ფილმებს საკმაოდ ცივად იღებენ. და საერთოდაც ძალიან დავიღალე, მე არ ვიღებ ყველასთვის. არამედ ვუძღვნი მათ, ვისთანაც შემიძლია წყნარად ვიბაასო, ჩხუბისა და კამათის გარეშე” - ამბობდა ერთ-ერთ ინტერვიუში რეჟისორი, რომელმაც ისარგებლა საფრანგეთიდან მოწვევით და 80-იან წლებში დატოვა საქართველო.

მას შემდეგ უკვე 20 წელზე მეტი გავიდა და იოსელიანი აგრძელებს ფილმების გადაღებას, ოღონდ საფრანგეთში. ცხრა სრულმეტრაჟიანი ფილმი, რამოდენიმე დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი. “ყაჩაღები თავი VII” ჯერჯერობით ერთადერთი ფილმი, რომელიც საქართველოდან წასვლის შემდეგ, 1995 წელს გადაიღო ქართულ მასალაზე. ფილმი, ძალადობაზე, ბოროტებაზე და ტირანიაზე, დღეს იქნება ნაჩვენები გოეთეს ინსტიტუტში.

ბევრი კინოხელოვანისთვის, იოსელიანი - ეს ქართული პერიოდია, ფრანგული კი არის ისევ ის თემები, ოღონდ უფრო განზოგადებულად. 40 წელი, ოთარ იოსელიანის უცვლელი ესთეთიკა, სტილი, შეხედულებები... ჯიბის წიგნაკში ნაპოვნი მსახიობები, უფრო სწორად ტიპაჟები, არავითარი ეკრანიზაცია, მინიმუმამდე დაყვანილი დიალოგები და გადასაღებ მოედანზე ერთი პატარა სასტვენი - ასეთია “ცოცხალ კლასიკოსი”, თავისი “თითქმის მუნჯი, მაგრამ ძლიერ ჟღერადი ფილმებით”.

უჩინარი რეალობა იხილო

თეა ჯაიჭაძე

თბილისური ივლისის სიცხით გათანგულებს კვირა საღამოს მაინც ბევრს გაგვიწია გულმა ერეკლეს ქუჩაზე, თუ ძალიან ხმამაღალი ნათქვამი არ გამოვა, ჩვენებურ "მონმარტრზე". მის ასეთად დამკვიდრებას თურმე უკვე 18 წელია ცდილობს იმდღევანდელი გამოფენა-აქციის მასპინძელი, ამ ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი გალერეის დიასახლისი ლიკა კვესელავა, რომელსაც ჯერ კიდევ "პერესტროიკის" პერიოდში გაუხსნია აქ კოპერატივი "მონმარტრი", საბჭოთა რეჟიმისგან საფრანგეთში გაქცეული ძმის მონატრებით. ძველი თბილისის ამ პატარა ქუჩაზე ქ-ნი ლიკასი და მრავალ სხვათა ძალისხმევით ყოველთვის, განსაკუთრებით კი ზაფხულის დღეებში რაღაც ხდება, ხან საინტერესოც, როგორც მაგალითად რამდენიმე დღის წინ. მაშინ გუგა კოტეტიშვილი შემოქმედის ჯადოსნური ხელით იქვე, ჩვენს თვალწინ, პირდაპირ ქუჩაში აკეთებდა თუმცა კი იმჯერად ცოტა გახელოსნურებულ, მაგრამ მისეული, უკვე ფართოდ სახელგანთქმული დიზაინით ბეჭედდასმულ ავეჯს.

თბილისში ინფორმაცია ჯერაც ძირითადად ზეპირსიტყვიერად ვრცელდება და ხშირად წესიერად არ იცი ხოლმე, სად მიდიხარ. სამაგიეროდ, ნამდვილად იცი მთავარი - ნაცნობ-მეგობრებს შეხვდები, პირს ხილით გაისველებ, ჭიქა ღვინოს მოწრუპავ და მერე იქნებ რაიმე შენთვის ახალი და საინტერესოც იხილო. საინტერესოს, პრინციპში, ამჯერად თავიდანვე ველოდით, რადგან "ლიკას გალერაში", კვირა საღამოს, საკმაოდ მცირერიცხოვან ქართველ კონცეპტუალისტთაგან ერთ-ერთი და გამორჩეულიც მათ შორის, არაორდინარულობით ცნობილი მამუკა ჯაფარიძე გვეპატიჟებოდა; აი, რის სანახავად, ეს არავინ იცოდა.

როგორც კი შევედი მომცრო დარბაზში, რომელსაც რამდენიმე უშველებელი ფანჯარა აქვს, იმხელა, კარი გეგონება და ყველა ცნობისმოყვარისთვის თავის "(გულ)გახსნილობას" ამ გზითაც აცხადებს, ერთდროულად სიმსუბუქის, სისუფთავის, სიგრილის(!), გარეგნული სიმშვიდისა და შინაგანი ეიფორიულობის, საბოლოო ჯამში, ნაზი და სასიამოვნო განცდა დამეუფლა. ერთიმეორის გვერდით, მცირე ინტერვალებით - კედლის თეთრი, ვერტიკალური ზოლებით, ერთი კომპოზიციიდან მეორეზე რიტმულ გადასვლას რომ უზრუნველყოფდნენ, ლურჯ ფონზე თეთრ გამოსახულებიანი ქსოვილის მოზრდილი ნაჭრები იყო ჭერიდან იატაკამდე ჩამოშვებული, ფარდასავით. თუმცა დაკვირვებისას შეიძლებოდა ერთმანეთისგან რამდენადმე განსხვავებული კომპოზიციის გარჩევა, ყოველი მათგანი, ერთსა და იმავე ტექნიკაში, საერთო განწყობით შესრულებული, ურთიერთს საოცრად ავსებდა და ერთ დიდ მთლიანობას ქმნიდა. ამ მთლიანობის ნაწილი იყო თავად ავტორიც, რომელსაც იმავე ტექნიკით მოხატული პერანგი ემოსა და ნამუშევრის წინ რომ ჩაივლიდა, ერწყმოდა მას, მასში უჩინარდებოდა. საუბარიც ამ "ერთ დიდ მთლიან" "სურათზე" უფროა გამართლებული, ვიდრე თითოულზე ცალცალკე, რომელთა სხვადასხვა ავტორი წარწერითაც კი არ მიუთითებიათ, არამედ საერთო სახელით გაუერთიანებიათ თავადვე: "ლურჯი ჩრდილების კოლექციონერები".

ვინ არიან ისინი? ერთმანეთისთვის, ალბად, მეგობრები. ერთად მორიგი (ან იქნებ, ამ შემადგენლობით - პირველი? ნამდვილად არ ვიცი, ხელოვანთა სამყაროში ასეც შეიძლება მოხდეს) თავყრილობისას მამუკა ჯაფარიძეს ხმამაღლა განუცხადებია რამდენიმე წლის ნაფიქრი იდეის შესახებ და მერე დროც აღარ დაუკარგავთ, სამ დღეში გაუმზადებიათ ყველაფერი. თუმცა დამთვალიერებლებისთვის აქ გამართული ექსპოზიცია ერთმნიშვნელოვნად კონცეფციის ავტორის, მამუკას მორიგ არტ-სანახაობად იქნა აღქმული, ამ აქციაში მის გარდა მონაწილეობას სხვებიც იღებდნენ: ამჟამად ამერიკაში მცხოვრები ირმა ლეჟავა, ორი სტუდენტი, რომლებიც გვარის გარეშე, მხოლოდ სახელითა და მეტსახელით ცდილობენ დაიმკვიდრონ ადგილი თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში - წო და რუსო, ბუდაპეშტში მოღვაწე თაკო ბარნოვა და გუგა კოტეტიშვილი, აქციას სპონტანურად რომ შეერთებია უკანასკნელ წუთს, იმდენად ბოლოს, რომ ერთი ბეწო აფიშაზე (ასე პირობითად თუ დაარქმევდი ქაღალდის პატარა ნაგლეჯებს, სულ ორი თუ სამი, ისიც მხოლოდ გალერეას შესასვლელთან რომ იყო გაკრული), მისი გვარი ვერც მოხვდა.

რა იყო ის იდეა, ამ შემთხვევაში პრაქტიკულად მთლიანად ტექნიკაზე რომ დავიდა, რამაც სხვადასხვა თაობის ასე რიგად განსხვავებული ხელოვანნი გააერთაინა? ყველას, ყოველ შსემთხვევაში, ექსპერიმენტების მოყვარულ, შემოქმედ ადამიანს დააინტერესებდა მოესინჯა უზარმაზარი სურათის დაბეჭდვა, თანაც არა ქაღალდზე, არამედ ქსოვილზე, არა ბნელ ოთახში, არამედ პირდაპირ ქუჩაში, არა გამოსახულებისა, არამედ - მისი ჩრდილის; ისინი ხომ ასეც წარმოგვიდგნენ, ჩრდილთა შემგროვებლებად.

ტექნოლოგიას, სიმართლე გითხრათ, ბოლომდე ვერ ჩავწვდი, ერთი გავიგე, რომ აქ ფოტოგრაფიის მთავარი პრინციპია გამოყენებული, დასხივებით გამოსახულების ანაბეჭდის სიბრტყეზე დატანისა. თუ სწორედ დავიმახსოვრე, პროცესს ციანო-ფერი ჰქვია, მასში ქიმიური ნივთიერების, ციანიდის გამოყენების გამო, რის შედეგადაც გამოსახულების ფონი სწორედ მის ფერს იღებს. ჩვენთვის ერთი დღით შემოთავაზებული საინტერესო ექსპოზიციის იდეის ავტორს თავად ინდოეთში უნახავს ამ ტექნიკით შექმნილი ნამუშევრები. ეგზოტიკურ ქვეყანაში უგზო-უკვლოდ ხეტიალისას მამუკა მისთვის უჩვეულო სცენას გადასწყდომია: სიცხით გაბეზრებული და მზის მწველ სხივებს ვეება ხეების ჩრდილში შეფარებული რამდენიმე კაცი ერთ პატარა მაგიდასთან დღისით, მზისით (!) ფოტოებს ბეჭდავდა! მრავალფეროვანი შემოქმედებით გამორჩეულ ქართველ მხატვარს იქვე, იმათგან უყიდია ცოტაოდენი "ჯადოსნური" ფხვნილი და მაშინათვე მიუცია ფანტაზიისთვის ახალი მიმართულებით გაშლის საშუალება, რომელიც დღეს უკვე ზღაპართან, სიზმრთან, თუ თვით ცისფერ ოცნებასთან შეხების განცდით ბოლომდე გაჯერებულ უშველებელ კომპოზიციებად იქცა. ეს განწყობა ამ ფარდებივით ჭერიდან იატაკამდე დაშვებული უზარმაზარი ფანჯრებიდან ქუჩაზეც იღვრებოდა დარბაზში აყღერებულ მუსიკასთან ერთად. მაგრამ რატომ მხოლოდ ერთი საღამოს მანძილზე? ბანალურ მიზეზებს ვერავინ გაურბის: ხანგრძლივი ექსპოზიციის მოსაწყობად საჭიროა ფული (რომელიც არასდროს არ არის!), მეგობართა კეთილგანწყობით კი, სივრცეს უფასოდ რომ გითმობენ, დიდხანს ვერ ისაგებლებ. თუმცა არა მგონია, მამუკას ეს დიდად ედარდებოდეს; პირიქით, პატარა ინტრიგასაც ხედავს: ვისაც აინტერესებს, ნახოს აქ და ეხლა, ხვალ კი სხვას შემოგთავაზებენ.

მამუკასი და მისი მეგობრებისთვის ასახვის ობიექტი სწორედ ამ ჩვენი და ჩვენი გარემომცველი საგნების ერთგული ჩრდილების "დაჭერა-შეგროვება" გახდა.

თეა ჯაიჭაძის ფოტო

და რას გვთავაზობდნენ იმ საღამოს "ლიკას გალერეაში"? რა იქცა ამჯერად შემოქმედთა ინტერესის საგანად? რაღაც ისეთი, რაც თან ეფემერულია და თან ძალიან რეალური. ანარეკლები? - არა, ის რომ გაჩნდეს პრიალა ზედაპირია აუცილებელი, ანაბეჭდები? - არა, მათ მისაღებად ხანგრძლივი პროცესი გჭირდება, აჩრდილები? - არა, ისინი მისტიკური სამყაროს ნაწილია და თვალით ხილული პრაქტიკულად არასდროს ხდება; სწორედ ჩრდილები, - რომელიც ყოველთვის ჩვენთანაა, გვერდიდან ერთი ნაბიჯითაც არ გვშორდება, სულ მცირეოდენი განათებაა საჭირო და ფეხდაფეხ აგვედევნება, თუმც კი ჩვენ ყურადღებას თითქმის არასდროს მივაქცევთ, - გახდა დღეს მამუკასი და მისი მეგობრებისთვის ასახვის ობიექტი. სწორედ ამ ჩვენი და ჩვენი გარემომცველი საგნების ერთგული ჩრდილების "დაჭერა-შეგროვება" სცადეს მათ - ხელოვანმა "კოლექციონერებმა". მაგრამ ჩრდილს არც სხეული აქვს, შესაბამისად არც წონა, მოცულობა, ფერი და თუმცა "ჩვენია" და მატერიალურ სამყაროში, ობიქტურ რელობაში დამოუკიდებლად ვერ იარსებებს, სურათზე გადატანილს რაც უნდა, ის შეუძლია "აკეთოს": ისიც, რაც საერთოდ სჩვევია - არიოს ზომა, მასშტაბი, დაბრიცოს ფორმა და ისიც, რაც ჩვენგან თავდაღნეულს ძალუძს - აყირავდეს, თავდაყირა დაეკიდოს, ჰაერში, უფრო სწორედ, უჰაერობაში, უწონადობაში მშვიდად ინარნაროს, ერთმანეთს გადაეხლართოს და რაც მთავარია, გახდეს მნიშვნელოვანი, *იგი* - კიბის, ფოთლის, ჩაიდნის, კოვზის, ან სულაც თოკის (!) ჩრდილი. ისინი შეიძლება გამეორდეს კომპოზიციიდან კომპოზიცაშ. თვალში მომხვდა გუგას აქციაზე შექმნილი ჩარჩოს, სკამის ანაბეჭდი, ყვავილების თაიგულიც კი იმდღევანდელი იყო, ნამდვილად ვიცანი! სიჩქარეში ბევრიც აღარ უძებნით მხატვრებს საგნები, რაც ხელთ მოხვდათ, იმით ისარგებლეს. ან რა საჭირო იყო, თუ ერთი და იგივე ნივთი, სხვადასხვაგვარად გააზრებული სხვადასხვა მხატვრის ტილოზე (ამ შემთხვევაში პირდაპირი მნიშვნელობით ქსოვილს ვგულისხმობ), განსხვავებულ დატვირთვას მიიღებს, განსხვავებულად აღიქმება - ეს ისე, თუ ჩაეძიები, მეორეს მხრივ კი, იმდენად მნიშვნელოვანია თავად მასალა, ტექნიკა და ფერადოვნება, რომ რაც არ უნდა განსხვავებული ობიექტები აეღოთ, შთაბეჭდილებას მაინც ერთსადაიმავეს დატოვებდნე. ამ შთაბეჭდილების შექმნაში უდიდესი დატვირთვა ფერს აქვს, მიზეზი თითქოს მარტივია, - მასალამ იგი თავად "მოიტანა", მაგრამ მხოლოდ ამას დასჯერდებოდა კონცეპტუალისტი ავტორი? იქნებ სწორედ ამიტომაც არჩია ეს მასალა, ლურჯ-ცისფერს, სინაზის, სისუფთავის, ოცნების ფერს რომ გულისხმობდა - ეს კი მის ჩანაფიქრს (რაც უსხეულო ჩრდილის ერთგვარ განსხეულებაში, მისთვის მნიშვნელობის მინიჭებაში, უჩინარის სააშკარაოზე გამოტანაში მდგომარეობდა), ყველაზე უკეთ შეესაბამებოდა და გამოხატავდა? ესეც არ იკმარა და დაუმატა, თუმცა მგონი იქვე, მეყსეულად თავში მოსული აზრი: "თეთრი და ცისფერი საბერძნეთის დროშის ფერებია, დღეს საბერძნეთი ფინალში თამაშობს ჩემპიონატის მასპინძლებთან, მე ხვალ ათენში ვიქნები, თუ საბერძნეთი გაიმარჯვებს, მეც გამარჯვებული დავრჩებიო". ამ ორაზროვანი წინადადების შინაარსი ვერ გავიგე, მაგრამ არც ჩავწვდომივარ, რადგან არ გამოვრიცხე, ექსტრავაგანტულ artist-ს იგი უბრალოდ, უშინაარსოდ წამოესროლა. შოთა რუსთაველის ფრესკის დაზიანების შემზარავი ფაქტის გამო ქართველთა დიდი მხარდაჭერა საბერძნეთს, ალბათ, აღარ ჰქონია და მისმა გამარჯვებამ, - პირველი მართლმადიდებლური ქვეყნის მიერ ჩემპიონობის მოპოვებამ, ვერც სიხარული გამოიწვია დიდად ჩვენში. საბერძნეთთან ერთად "მოგებული" მამუკა ჯაფარიძე კი ათენში გავლით სწორედ გამარჯვების ზეიმის, საერთო სახალხო დღესწაულის დღეს მოხვდა, მისი "მოგებაც" იქნებ ეს იყო.

ახლა იგი ჩრდილო ირლანდიაშია, ერთ ზღვისპირა კოშკში, რომელიც ვინ იცის, მხოლოდ ამჟამინდელ სტუმართა ჩრდილებით კი არ, უწინდელ ბინადართა ნამდვილი აჩრდილებითაცაა სავსე და მუშაობს. რაზე - წასვლამდე მხატვარმა ეს არ იცოდა; ამას გარემო, ახლად მიღებული შთაბეჭდილებები, ხალხი, ვის წრეშიც მოუწევს ყოფნა, მასალა, რომელსაც ალბათ უხვად დაახვედრებდნენ და კიდევ, შინაგანი, მძაფრად განვითარებული ინტუიცია უკარნახებს რა შექმნას და ალბათ კიდევ ერთხელ შეეცდება მოიხელთოს მოუხელთებელი, მნიშვნელობა მიანიჭოს მრავალთა თვალისთვის უმნიშვნელოს, უჩინარს. ხელოვანის ერთ-ერთი უმთავრესი მისიაც ხომ ეს არის, შემოქმედის ფართოდ გახელილი თვალით, გრძნობამოჭარბებული გულით და გაფაქიზებული სულით დანახული, მხატვრულ პრიზმაში გარდატეხილი დაგვანახოს თუნდაც თითქოს ძალიან უმნიშვნელო დეტალებით შემდგარი უჩინარი რეალობა.

ჯაზ-ფესტივალის ექო

48 საათი თბილისში

გთავაზობთ მასალას, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა, თბილისის მერვე ჯაზ-ფესტივალის ერთ-ერთი სტუმარის კრის ბოტის ვებ-საიტზე. წერილში ლაპარაკია იმაზე, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ვარსკვლავზე თბილისში გატარებულმა 48 საათმა.

პირველივე შეკითხვა, რაც ყველას გაუჩნდება: "სადაა თბილისი?". ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად კრისს და მის ბენდსაც კი მოუხდებოდათ გეოგრაფიის გაკვეთილში ვარჯიში. საქართველოს რესპუბლიკა თურქეთის ჩრდილოეთით, შავ ზღვასთან მდებარეობს და ჩრდილოეთით რუსეთი ესაზღვრება.

მოგზაურობა მსოფლიოს ამ კუთხეში არც ისე იოლია. ფრენა კვირაში ოთხჯერ იყო და დიდ პრობლემას წარმოადგენდა, რომ ამ ქვეყანაში შესულიაყავი ან იქიდან გამოსულიყავი. კრისი და მისი ბენდი იქ იმისათვის ჩაფრინდნ, რომ გამოსულიყვნენ თბილისის მერვე საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალზე.

კრისი და ჯონი ლოს ანჯელესიდან გაფრინდნენ ნიუ იორკში, სადაც შეხვდნენ ბილის, ფედერიკოსა და ოზს (რომელიც გიტარაზე ასრულებდა ამ მოგზაურობისას). შემდეგი ეტაპი იყო ფრენა ნიუ იორკიდან ამსტერდამში. ამსტერდამში შვიდსაათიანი ყოფნის შემდეგ, ყველანი ერთმანეთს შევხვდით.

ნაცნობი ღიმილით, მესმის: "მარჯი, როგორ ხარ? რამდენად საშინელი იყო ფრენა? როდის ჩამოხვედით?" კრისი მიახლოვდება მოსასალმებლად და მიყვება იმ შვიდი საათის შესახებ, რომელიც KLM-ის მოსაცდელში გაატარა.

კრისმა თითქმის 24 საათი იმგზავრა. ეს მგზავრობა კიდევ უფრო საშინელი იქნებოდა, რომ არ ჩასძინებოდა და ერთი საათი იოგასთვის არ დაეთმო. მე კი გამიმართლა! რამდენიმე დღით ადრე ლონდონში გავფრინდი და ამიტომ, არ იყო საშიშროება ჩემი ორგანიზმის რიტმი დარღვეულიყო. თბილისში ადგილობრივი დროით ღამის სამის ნახევარზე ჩავფრინდით, რაც თავგადასავლებისთვის მშვენიერი დროა.

დაგვხვდნენ ფურგონებით, საბაჟოზე გავიარეთ იქ, სადაც ძალიან მნიშვნელოვანი პირები გადიან ხოლმე. აეროპორტში საქართველოს ტელევიზიებიდან გადამღები ჯგუფები დაგვხდნენ და კრისმაც აეროპორტში პირველი ინტერვიუ მისცა. შემდეგ წავედით სასტუმროში, სადაც უფრო მეტი გადამღები ჯგუფი დაგვხვდა. კრისმა ყველა მათგანისთვის გამონახა დრო! თუ არ ვცდები, დილის ხუთი საათი იყო, როდესაც კრისისთვის დაღამდა. რასაკვირველია, ეს იყო შეხვედრა როკ-ვარსკვლავებთან. იქ ყოფნისას შევიტყვე, რომ ქართველები მუსიკის დიდი მოყვარულები არიან, ისევე როგორც მეგობრულები და სტუმართმოყვარენი.

ეს მოგზაურობა არავითარ შემთხვევაში არ იყო ბოტისა და მისი ბენდისთვის ტიპიური.

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

კრის ბოტი.

დილა კრისმა პრესკონფერენციით დაიწყო, სადაც მას აჩუქეს დუდუკი (ჩასაბერი საკრავი), გაიარა რეპეტიცია პოპულარულ ქართველ მომღერალთან ნატო მეტონიძესთან (კონცერტზე ერთად შეასრულეს ორი სიმღერა) ერთად და დაესწრო მის პატივსაცემად გამართულ წვეულებას. ამ გულუხვ წვეულებაზე მოგვეცა შესაძლებლობა გაგვესინჯა არაჩვეულებრივი ქართული სამზარეულო. ქართული ღვინისა და კერძების გამო (აღარაფერი რომ არ ვთქვა დახვედრაზე), დღე ყველასთვის განსაკუთრებული გამოვიდა. კრისმა უთხრა ყველას, რომ სურდა დაბრუნებულიყო მათთან!

კონცერტის წინაღამეს ჩვენ ყველანი მიწვეულები ვიყავით ფესტივალის სპონსორთან სახლში. კიდევ უფრო შესანიშნავი სამზარეულო სასიამოვნო მოულოდნელობა იყო კრისისთვის. კონცერტის პრომოუტერებმა წვეულებაზე დაპატიჟეს ჭადრაკის ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, რომელიც მესაყვირე ჭადრაკის მოთამაშეს რამდენიმე მნიშვნელოვანი რჩევა მისცა. კრისი მოგვიანებით ამ შეხვედრას შეადარებს კალათბურთის ხუთი წლის წინანდელ თამაშს მაიკლ ჯორდანთან ერთად.

უკვე 24 საათია თბილისში ვართ და ძალიან ბევრი მოვასწარით ამ ხნის განმავლობაში. კონცერტი მოგვიანებით არის დაგეგმილი და ყველა ისე გამოიყურება, რომ კარგად დაიძინებდა. ვბრუნდებით სასტუმროში და ვგეგმავთ შემდეგ დღეს.

მუსიკოსებმა ითხოვეს დრო ქალაქის დასათვალიერებლად და სამახსოვრო საჩუქრების შესაძენად. შეხვედრის ადგილი და დრო დავთქვით - 4 საათი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

კრისმა ამ საღამოს სიურპრიზები დაგეგმა. კონცერტი გახსნა ძალიან პოპულარული ქართული სიმღერით "ყვითელი ფოთლები" და შეასრულა დუეტი ნატო მეტონიძესთან. მათ ერთად შეასრულეს "აპრილი" და All Would Envy.

კონცერტამდე გვითხრეს, რომ ქართველები დროულად დადიან კონცერტებზე. რაც სიმართლე აღმოჩნდა: შოუს დაწყებისას 2500 ადილი თითქმის სავსე იყო. 90 წუთიანი შოუ ნამდვილად კარგი გამოვიდა; აუდიტორიამაც დააფასა კრისის ნიჭი და თავდადება - დაემყარებინა დარბაზთან კონტაქტი. კრისი იყო პირველი შემსრულებელი, ვისი ხელმონერილი დისკებიც გაიყიდა ფესტივალზე. დარწმუნებული ვარ, კრისი მუსიკის მოყვარულების სასაუბრო თემა დიდი ხნის განმავლობაში დარჩება.

თითქმის შუაღამე იყო. დაიჯერებთ რომ ამ ყველაფრის შემდეგ ჩვენს გასაცილებლად ბანკეტი იყო დაგეგმილი? აეროპორტში ჩვენ დავემშვიდობეთ ჩვენს მასპინძლებს. საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი ცდილობს შეხვდეს კრისს და ეს არის ერთადერთი შესაძლებლობა. ცოტაოდენი წახემსებისა და ღვინის დალევის შემდეგ აეროპორტში წასვლის დრო მოვიდა. ფრენა ამსტერდამში დასაბრუნებლად სამის ნახევარზე იყო დაგეგმილი.

ეს მოგზაურობა არავითარ შემთხვევაში არ იყო ბოტისა და მისი ბენდისთვის ტიპიური. დარწმუნებული ვარ, ამ გასტროლს თბილისში ყველა დაიმახსოვრებს. ეს ისეთი რამ არის, რაც მთელი ცხოვრების განმავლობაში გაგყვება. მინდა დავამატო და განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო სერგი ნაკაიძესა და მის ოჯახს საქართველოში არაჩვეულებრივი სტუმართმოყვარეობისთვის.

ფეხბურთი

ადვოკაატი წავიდა

ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელი დიკ ადვოკაატი თანამდებობიდან გადადგა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ჰოლანდიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატს დაემშვიდობა. ადვოკაატი უკვე მეხუთე მწვრთნელია, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე გუნდის უხეირო თამაშის შემდეგ თანამდებობიდან გადადგა.

პრესკონფერენციაზე, რომელიც ნახევარფინალში ჰოლანდიის ნაკრების დამარცხების შემდეგ გაიმართა, ადვოკაატმა განაცხადა: "თქვენ ინფორმაციას ერთი კვირის შემდეგ მიიღებთ, მაგრამ მე უკვე ვიცი, რაც მელოდება. ჩვენ უაღრესად დისციპლინირებული გუნდი გვყავს, რადგან ნაკრების ირგვლივ ყველა ყველა მოვლენის გათვალისწინებით, ეს არცთუ ისე ადვილი იყო".

ადვოკაატი ჰოლანდიურმა მედიამ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა იმ ტაქტიკისთვის, რომელიც მწვრთნელმა ჩემპიონატზე აირჩია. "უაღრესად იმედგაცრუებული ვარ, მაგრამ მოვლენებს რეალურად უნდა შეხედო, - განაცხადა დიკ ადვოკაატმა, - ცხადია, რომ პირველ ტაიმში პორტუგალიამ გვაჯობა და ჩვენზე ბევრად უკეთესად გამოიყურებოდა. ჩვენ ვერ შევძელით, რგოლებს შორის აუცილებელი კავშირები გაგვემყარებინა".

ადვოკაატის კრიტიკა ჯერ კიდევ ჯგუფურ ტურნირზე ჩეხებთან დამარცხების შემდეგ დაიწყო. მაშინ მან მატჩის შუაში მინდვრიდან გაიყვანა არიენ რობენი, რომელმაც ორი გოლი შექმნა. მის ნაცვლად მინდორზე გამოვიდა დაცვითი ტიპის ნახევარმცველი არონ ბოსველტი. "ამ დროს დაცვაზე ვიყავით კონცენტრირებული და მიმაჩნია, რომ ეს ცვლილება ტაქტიკურად გამართლებული იყო", - მიიჩნევს ვან ნისტელროი და ამით მწვრთნელს უჭერს მხარს. არადა, ამ ცვლილების შემდეგ ჰოლანდიის ნაკრები, რომელიც მატჩს იგებდა, 2:3 დამარცხდა. შეგახსენებთ, რომ ადვოკაატის წინა მონაგარი ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე მეოთხედფინალია, რომელშიც ნარინჯისფერები 1994 წლის აშშ-ის მსოფლიო ჩემპიონატზე გავიდნენ.

"მიუხედავად იმისა, რომ ჰოლანდიის ნაკრები ნახევარფინალში გავიდა, ადვოკაატმა იგრძნო, რომ ვერ შეძლებდა ეროვნულ ნაკრებში შემდგომ მოღვაწეობას და, შესაბამისად, ვერ შეასრულებდა კონტრაქტის პირობებს, რომელიც 2006 წლამდე იყო ძალაში", - ნათქვამია ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ განცხადებაში.

რონალდო საუკეთესო სეზონისთვის ემზადება

გასული სამი კვირის განმავლობაში ფეხბურთის გულშემატკივართა ყურადღება ძირითადად ევროპის ჩემპიონატისკენ იყო მიპყრობილი. ჩვენ მივივიწყეთ არაევროპელი მოთამაშეებიც და საკლუბო ფეხბურთიც. ახლა, როდესაც ევროპის ჩემპიონატი დასრულდა, ძალაუნებურად, ყველას ერთად გაახსენდა "რეალი", ბრაზილია, რონალდო...

რონალდო: "ვოცნებობ, რომ ყოველ კვირას გულშემატკივრებმა დიდი სიამოვნება მიიღონ ჩვენი თამაშით."

საფეხბურთო სამყაროს ყურადღება სულ ახლახან დაწყებულმა "კოპა ამერიკამ" და ევროპის წამყვანი საფეხბურთო კლუბების მომავალი სეზონისთვის მზადებამ მიიპყრო. ბრაზილიის ნაკრები დღეს ჩაატარებს თავის პირველ მატჩს "კოპა ამერიკაზე", მომავალი სეზონისთვის მზადებას შეუდგა მადრიდის "რეალიც". და სად არის ამ დროს რონალდო? მან არც ბრაზილიის ნაკრებში თამაში მოისურვა და არც მადრიდშია. რონალდო ისვენებს. ევროპის ჩემპიონატის დღეებში ის ბრაზილიაში იყო, მოგზაურობდა სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, ახლა კი ევროპაში გაემგზავრა სასეირნოდ.

რონალდოს არც დასვენების პერიოდში ტოვებენ უყურადღებოდ. ერთ-ერთი ესპანელი ჟურნალისტი მას რიო დე ჟანეიროში ეწვია და ინტერვიუ ჩამოართვა.

- რონალდო, თქვენ ცოცხალი ხართ!

- დიახ, მე აქ ვარ, ვისვენებ, სიამოვნებას ვიღებ, სხვა არაფერი ხდება.

- ნუ იტყუებით! როდესაც თქვენ არდადეგებზე ხართ, ბევრად უფრო მეტი რამ ხდება, ვიდრე შუა საფეხბურთო სეზონში.

- (იცინის). არა, არა, არაფერიც არ ხდება. უბრალოდ, მე მაქვს დრო, რომ დავისვენო. მართალია, რამდენიმე სარეკლამო ვალდებულების შესრულება მაინც მიწევს, მაგრამ მაინც ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან მეგობრებთან ურთიერთობის დრო გამომიჩნდა.

- მეგობარი გოგონებიც...

- (იცინის). დიახ, დრო ყველაფრისთვის მყოფნის, ყველაფრისთვის.

- ამბობენ, რომ შეყვარებული ხართ.

- მე? კი. თქვენ?

- ძალიან. მე ჩემს საცოლესთან ერთად ვცხოვრობ. მალე დავქორწინდებით და ქორწილში დაგპატიჟებთ.

- დიდი მადლობა.

- დღე ისე არ გავა, ვინმემ არ მკითხოს: "სად არის რონალდო?" "როგორ არის რონალდო?" როდესაც არდადეგებზე ხართ, ხალხს ემოციური სიცარიელე ეუფლება.

- ჩემგან მოკითხვა გადაეცით მათ (იცინის)... თავს მშვენივრად ვგრძნობ. რამდენიმე დღე ბრაზილიაში გავატარე, რიო დე ჟანეიროსა და სან პაულუში. მოვინახულე სამხრეთ ამერიკის რამდენიმე ქვეყანა, რათა ჩემი სარეკლამო ვალდებულებები შემესრულებინა. ახლა კი, სამსახურში დაბრუნებამდე, რამდენიმე დღით ევროპაში გავემგზავრები.

- თქვენმა მეგობარმა გოგონამ, პეივამ თქვა, რომ თქვენ ხარს ჰგავხართ.

- ახლა, მართლაც, ძალიან ვუვლი თავს. დიდ ყურადღებას ვუთმობ სწორ კვებას. ვაპირებ, ვივარჯიშო კიდეც, რომ ახალი სეზონისთვის კარგ ფორმაში ვიყო და ეს ფორმა მთელი სეზონის განმავლობაში შევინარჩუნო.

- გამოდის, კამაჩოს საწუწუნო არაფერი ექნება!

- (იცინის). მწვრთნელს უნდა, რომ გუნდის ყოველი ფეხბურთელი მაქსიმალურად კარგ ფორმაში შეხვდეს ახალ სეზონს, მე კი მინდა, რომ ეს ჩემი კარიერის საუკეთესო სეზონი იყოს. სწორედ ამიტომ ყველაფერს ვაკეთებ ფორმის შესანარჩუნებლად. როგორც ფეხბურთელები იტყვიან, მე ფეხბურთის შიმშილი მაქვს. ეს უცნაურია, რადგან მთელი სეზონის განმავლობაში თითქმის არ გეძლევა დასვენების საშუალება, ხოლო როდესაც თამაშს წყვეტ, ძალიან გენატრება ფეხბურთი. მინდა, რომ სეზონი რაც შეიძლება მალე დაიწყოს.

- რას იტყვით ევროპის ჩემპიონატზე?

- ვფიქრობ, ჩემი აზრი არაფრით განსხვავდება საერთო მოსაზრებისგან. ამ ჩემპიონატმა უამრავი სიურპრიზი შემოგვთავაზა. ველოდი, რომ ნახევარფინალურ ეტაპზე საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია და ინგლისი გავიდოდნენ, მაგრამ ვერც ერთმა ნახევარფინალამდე ვერ მიაღწია. თუმცა, შესანიშნავია, როდესაც ნაკლებად ცნობილი გუნდები წარმატებას აღწევენ.

- ...და შინ ისტუმრებენ თქვენს მეგობრებს ზიდანს, ბექჰემს, რაულს...

- დიახ, მართალია. ეს წელი ყველა ჩვენგანისთვის უიღბლო იყო. სეზონი შესანიშნავად დაიწყო, მაგრამ საშინლად დასრულდა. ამ გუნდების დამარცხებამ გვაჩვენა, ამ ტურნირზე რომ მეთამაშა, მეც იგივე ბედი მეწეოდა.

- როგორ ფიქრობთ, რატომ იყო ამ ჩემპიონატზე ამდენი სიურპრიზი?

- ეს არ არის გასაკვირი. სეზონი მეტისმეტად ხანგრძლივია, მის განმავლობაში უამრავი მატჩია და ლოგიკურია, რომ ნელინადის ამ დროს ფეხბურთელები არ არიან ოპტიმალურ ფორმაში. დასვენება ორგანიზმსაც სჭირდება.

- მომავალი სეზონის წინ ძალიან მოტივირებული ჩანხართ...

- მე გამარჯვების უდიდესი სურვილით დავბრუნდები. მინდა, რომ დიდებული სეზონი ჩავატარო და "რეალის" საქმეები კარგად წავიდეს. ამასთან, ძალიან მინდა ჩემპიონთა ლიგის მოგება. მინდა, რომ ეს რონალდოს საუკეთესო წელი იყოს.

- "რეალში" ვალტერ სამუელი გადავიდა. ისეთი პირი უჩანს, რომ შემდეგი პორტუგალიელი კარვალიო იქნება...

- ვფიქრობ, ეს ძალიან კარგი იქნება, რადგან კარვალიო შესანიშნავი ფეხბურთელია. ამ ფეხბურთელების დამატება ძალიან მნიშვნელოვანია, რათა გუნდი განონასწორებული და კარგად დაბალანსებული იყოს. იმედი მაქვს, მომავალ სეზონში რაღაც დიდებულს მოვახდენთ.

- რაზე ოცნებობთ მადრიდის "რეალში" თამაშის მესამე წელს?

- ვოცნებობ, რომ ყოველ კვირას გულშემატკივრებმა დიდი სიამოვნება მიიღონ ჩვენი თამაშით და გუნდმა რაც შეიძლება მეტი ტიტული მოიგოს. ამ სეზონში ყველანი ძალიან მოტივირებული ვიქნებით, რადგან ჯერ კიდევ კარგად გვახსოვს გასული წელი. ყველას გვინდა, რომ მომავალი წელი წარმატებული იყოს კლუბისთვის.

- გმადლობთ, აღარ შეგაწუხებთ.

- დიდი მადლობა. მადრიდში შევხვდებით ერთმანეთს.

მოკლედ

ყალბი ფინალი

...ასეთი იარლიყი მიაკრეს ჭადრაკის სპეციალისტებმა ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლიში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩს ჭადრაკში. აქ ინგლისელი მაიკლ ადამსი და უზბეკი რუსტამ კასიმჯანოვი ხვდებიან ერთმანეთს. პირველი პარტია მე-18 სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

სამშაბათს ლიბიაში დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი ჭადრაკში ფიდეს ვერსიით. ფინალისტებს ექვსი პარტიის გამართვა მოუწევთ, რომელიც გამოავლენს კიდეც გამარჯვებულს. მსოფლიო ჩემპიონი 100 ათას ამერიკულ დოლარს მიიღებს.

მატჩის პირველი პარტია, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ვარჯიშის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მეტოქეებმა გადაწყვიტეს, არ გაერისკათ და მე-18 სვლაზე ადამსის ინიციატივით ყაიმზე შეთანხმდნენ. მეორე პარტია გუშინ, გვიან შედგებოდა.

უნდა ითქვას, რომ ასეთი აფიშირებული ტურნირისთვის მთავარი პრიზი მაინც შეუფერებელია. საქმე ის არის, რომ შეჯიბრების გამარჯვებული უფლებას მიიღებს, ფიდეს ვერსიით მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულისთვის გარი კასპაროვს შეხვდეს. ამდენად, ირკვევა, რომ მთელი ეს ჩემპიონატი შესარჩევი ტურნირი ყოფილა და მისი გამარჯვებული მხოლოდ სუსტებს შორის უკეთესი ყოფილა და მეტი არაფერი.

აბსოლუტური ჩემპიონი კი უფლებას მოიპოვებს, შეხვდეს მსოფლიო ჩემპიონს ეგრეთ წოდებული "ეინშტეინ გრუპის" ვერსიით, რომელსაც ვლადიმირ კრამნიკი და პეტერ ლეკო გაითამაშებენ.

შეგახსენებთ, რომ შანსი, მრავალწლიანი დაპირისპირების შემდეგ საჭადრაკო სამყარო გაერთიანებულიყო, 2002 წელს პრაღაში გამართულ ფიდეს კონგრესზე გამოჩნდა. იქ ფიდე და დიდოსტატები შეთანხმდნენ. ამ გაერთიანების გზაზე ეტაპები უნდა ყოფილიყო, ერთი მხრივ, რუსლან პონომარიოვსა და გარი კასპაროვს შორის შეხვედრა (19 ივნისიდან 7 ივლისამდე ბუენოს-აირესში) და, მეორე მხრივ, მატჩი ლეკოსა და კრამნიკს შორის. სწორედ ეს წყვილი იყო წარმოდგენილი კლასიკური ჭადრაკის სახით და მსოფლიო ჩემპიონატს "ეინშტეინ გრუპის" ვერსია ეწოდებოდა - ამ ორგანიზაციას ჰქონდა უფლება, ჩაეტარებინა ჩემპიონატი კლასიკურ ჭადრაკში.

ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ ეგრეთ წოდებული მსოფლიო ჩემპიონატის დონე შორს არის სრულყოფისგან. მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკეთა უმრავლესობა - გარი კასპაროვი, ვიშვანათან ანანდი, ვლადიმირ კრამნიკი, პეტერ ლეკო, პეტრ სვიდლერი, იუდით პოლგარი, რუსლან პონომარიოვი ტრიპოლიში არ ჩავიდნენ. მიზეზი ერთია: ისინი კირსან ილიუმჟინოვის პოლიტიკას არ ეთანხმებიან.

რაც შეეხება პონომარიოვს, თავიდან კასპაროვს სწორედ ის უნდა შეხვედროდა. თუმცა, ფიდეს მცდელობის მიუხედავად, რუსლან პონომარიოვმა ამ მატჩის ჩატარებაზე კონტრაქტის გაფორმებაზე უარი განაცხადა. მაშინ ილიუმჟინოვმა გადაწყვიტა, რომ მატჩი საერთოდ უნდა გაუქმდეს, მაგრამ არა პონომარიოვის მიმართ რაიმე სანქციებით. ამის ნაცვლად უკრაინელმა დიდოსტატმა მიიღო წინადადება, ჩემპიონის ტიტული მსოფლიო ჩემპიონატზე დაეცვა და კასპაროვთან თამაშის უფლება მოეპოვებინა.

2004 წლის აპრილში რუსლან პონომარიოვი ახალი დემარშით გამოვიდა. მან ფიდე კასპაროვისადმი მიკერძოებულ დამოკიდებულებაში დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ გარი კასპაროვი უსამართლოდაა მიჩნეული მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკედ.

შედეგად, ჩემპიონატზე პონომარიოვი არ ჩავიდა. უკანასკნელი ფავორიტების უარის შემდეგ ტურნირის ფავორიტად ბულგარელ ვესელინ ტოპალოვს მიიჩნევდნენ, რომელსაც ტურნირის მონაწილეთაგან საუკეთესო რეიტინგი ჰქონდა. თუმცა, ნახევარფინალში მან მოულოდნელად კასიმჯანოვთან წააგო და აუდიტორიის ისედაც მცირე ინტერესი კიდევ უფრო გააუფერულა.

ფორმულა 1

ვლეტი "უილიამსიდან"

გიგა გურასაშვილი

კარგ დღეში არ უნდა იყვნენ უილიამსელები, რომლებსაც საჯინიბო ხუხულასავით ეშლებათ. გაისად "უილიამსის" ღირსებას აღარ დაიცავენ გერმანელი რალფ შუმახერი და კოლუმბიელი ხუან-პაბლო მონტოია. გუშინ დილით რალფმა "ტოიოტას" მუზარადში გაყო თავი, სამხრეთამერიკელმა კი, რა ხანია, "მაკლარენთან" დაიჭირა საქმე.

რალფ შუმახერი: "თქვენი ინფორმაციით, მე "ტოიოტაში" გადავდივარ. შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ "Bunte"-ში არ შემცდარან".

მონტოია ახლა იმაზე მსჯელობს, თუ რამდენად კარგია ახალი MP4-19B. თუმცა, კონკურენტებზე საუბრისას მაინც თავდაჭერილია და ამბობს, რომ ახლა მხოლოდ მიმდინარე სეზონი ადარდებს და არა მომავალი. "მაკლარენის" ახალი ბოლიდი კი, ეტყობა, თვალში მოუვიდა: "მაკლარენელებმა მკითხეს, თუ რა აზრის ვარ ახალ მანქანაზე. მე ვუპასუხე, რომ MP4-19B სწრაფია. წლეულს ცუდად გამოიყურება, მაგრამ კარგია მომავალი წლისთვის".

ბუნებრივია, საინტერესოა, თუ როგორი იქნება 2005 წელი "ვერცხლისფერი ისრებისთვის", როდესაც მის საჭეს ცივსისხლიანი ფინელი კიმი რაიკონენი და სამხრეთულად ტემპერამენტიანი მონტოია მიუსხდებიან.

"რამდენჯერმე ვესაუბრე კიმის. უკვე კარგი ურთიერთობა გვაქვს. ვფიქრობ, ერთობლივი მუშაობა კარგად გამოგვივა".

რაც შეეხება "უილიამსიდან" გადასასვლელად შემზადებულ რალფ შუმახერს, თუმცა, რაღა შემზადებულს - გადაწყვეტილი ამბავია, გერმანელი 2005 წლიდან მდიდარი "ტოიოტას" ღირსებას დაიცავს! მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონის ძმის იაპონელებთან წასვლის ამბავი არც გუშინ დაწყებულა და არც დღეს. ამაზე კარგა ხანია საუბრობენ. თუ ადრე უმცროსი შუმახერის მხრიდან "უილიამსის" მიტოვებას და "ტოიოტაში" გადაბარგებას გარკვეულწილად სარეკლამო ტრიუკის ელფერი დაჰკრავდა, ახლა ყველაფერი გარკვეულია. ტოიოტელებთან რალფის ხელის მოწერის ამბავი გუშინ გახმაურდა.

"დიდი სიხარულით გაცნობებთ, რომ გაისიდან რალფი ჩვენი მრბოლი გახდება, - აცხადებს "ტოიოტას" შეფი ცუტომუ ტომიტა. - საკუთარი კარიერის განმავლობაში მან არაერთხელ დაამტკიცა, რომ ძალზე სწრაფი მრბოლია. დარწმუნებული ვართ, მისი გამოცდილება ჩვენს საჯინიბოს დაეხმარება".

რალფმა "ტოიოტაში" გადასვლის შესახებ საჯინიბოსთან ხელის მოწერამდე ერთი დღით ადრე გერმანულ ჟურნალ "Bunte"-სთან საუბარში მიანიშნა: "თქვენი ინფორმაციით, მე "ტოიოტაში" გადავდივარ. შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ "Bunte"-ში არ შემცდარან".

კონტრაქტი სამწლიანია. უმცროსი შუმახერი, სავარაუდოდ, 50 მილიონი ევროთი გაზრდის საკუთარ საბანკო ანგარიშს, ან წელიწადში 13-17 მილიონ ევროს მიიღებს. ან - იმიტომ, რომ ხელშეკრულების დეტალები ბოლომდე ჯერ არ გახმაურებულა. არადა, "BMW-უილიამსთან" ხელშეკრულების გახანგრძლივების შემთხვევაში რალფს წელიწადში 6 მილიონი დოლარის იმედი უნდა ჰქონოდა.

ახლა კი რა ხდება? ამბობენ, ახლა, როდესაც რალფ შუმახერი "აშშ-ის დიდ პრიზზე" ავარიის გამო მკურნალობის კურსს გადის და დროებით ჩამოშორდა შეჯიბრებებს, უილიამსელები თითოეულ რბოლაზე ერთ მილიონს დაზოგავენ, ხოლო თუ რალფი წლეულს საერთოდ აღარ მიუჯდება საჭეს, - ექვს მილიონსო. სავსებით შესაძლებელია, უმცროსი შუმახერი წლეულს აღარც გავიდეს სტარტზე და მისი მოვალეობის შესრულება ტესტ-პილოტ მარკ ჟენეს მოუხდეს. თუმცა, თავად გერმანელი მოვლენათა ასეთ განვითარებას არ ელოდება: "ჯერ ისევ ძლიერი ტკივილები მაქვს, მაგრამ, როგორც ექიმები ამბობენ, ბუდაპეშტში შემიძლია დავუბრუნდე რბოლებს".

რაც შეეხება "ტოიოტას" ახლანდელ და "უილიამსის" მომავალ პილოტებს. "ტოიოტას" გუნდის განცხადებით, მოქმედ მრბოლებს, ოლივე პანისსა და კრისტიანო და მატას, ჯერ არ გაუხანგრძლივებიათ საჯინიბოსთან ხელშეკრულება. ასე რომ, ჯერაც უცნობია, ვინ იქნება 2005 წლიდან რალფ შუმახერის თანაგუნდელი.

ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ცუტომუ ომიტას განცხადება. იგი ორივე პილოტით კმაყოფილია და ამბობს, რომ გაისად ორივეს აქვს კოკპიტში მოხვედრის შანსი. სავსებით შესაძლებელია, რალფის თანაგუნდელად პანისი დარჩეს, რადგან მოსალოდნელია, რომ 2005 წლიდან კრისტიანო და მატა ერთ-ერთ ამერიკულ სარბოლო სერიაში გადაბარგდეს.

"უილიამსის" შემთხვევაში კი საქმე ცოტა რთულადაა. მათ ერთბაშად ორი პილოტის მოძებნა მოუწევთ.

კალათბურთი

პრესკონფერენცია თემაზე...

პაატა თოთაძე

ბესიკ ლიპარტელიანი და გიორგი უდესიანი პრესკონფერენციაზე.

მარიკა ამირველაშვილის ფოტო

ეს თვე ერთობ დატვირთულია საქართველოს სხვადასხვა ასაკის კალათბურთელთა ნაკრებებისთვის. 16 წლამდელებს საბერძნეთში უწევთ ასპარეზობა ევროპის ჩემპიონატზე, 18 წლამდელი ჭაბუკები ანალოგიური რანგის შეჯიბრებაზე გუშინ გაემგზავრნენ ესპანეთში, ეროვნულ ნაკრებს კი ორ კვირაში იტალიაში ელის გამოცდა საერთაშორისო ტურნირზე.

გუშინ სპორტ-კაფეში ამ საკითხზე პრესკონფერენცია უნდა გამართულიყო, სადაც კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა ნაკრებებზე ისაუბრებდა. პრესკონფერენცია კი გაიმართა, მაგრამ მას კალათბურთის ფედერაციის მიერ მოწყობილს ძნელად თუ უწოდებს კაცი. კაფეში შეკრებილი ჟურნალისტები ვისმენდით, თუ მერიის სპორტის საქალაქო სამსახურმა სპორტის რომელი სახეობა დააფინანსა და როდის. ბუნებრივია, ამაში ცუდი არაფერია, პირიქით, ბოლო დროს შეჭირვებულ ქართულ სპორტს რაც მეტი დამფინანსებელი გამოუჩნდება, მით უკეთესი, მაგრამ ჯობდა, საამისოდ მერიის ამ სამსახურს ცალკე გაემართა შეხვედრა ჟურნალისტებთან, თორემ ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს დრო იხელთეს თავიანთი წვლილის წარმოსაჩენადო.

მათი (მერიის კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახურის) უფროსის დავით ოქიტაშვილისა და უშუალოდ სპორტის სამსახურის უფროსის გიორგი უდესიანის პრესკონფერენციაზე გამოჩენა კი იმ ფაქტმა განაპირობა, რომ კადეტთა და ჭაბუკთა ნაკრებები ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებლად მთლიანად ამ სამსახურმა დააფინანსა.

ახლა უშუალოდ კალათბურთზე და ნაკრებებზეც ვთქვათ. 16 წლამდელები ჯგუფში ლიტვასთან, სერბეთთან და იტალიასთან მოხვდენ. ქართველებმა პირველი მატჩი უკვე გამართეს ლიტველებთან და 63:90 დამარცხდნენ. რაც შეეხება ჭაბუკებს, ჯგუფში მათ სერბეთი, რუსეთი, იტალია, საფრანგეთი და ლატვია ჰყავთ მეტოქედ. პირველ მატჩს ქართველი ჭაბუკები ხვალ გამართავენ საფრანგეთის ნაკრებთან.

ბუნებრივია, ყველაზე დიდ ინტერესს ეროვნული გუნდი იქცევს. სექტემბრიდან საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი ელის. ჩვენი გუნდის პოტენციალიდან გამომდინარე, გულშემატკივრები ნაკრებისგან გამარჯვებას ელიან. ორ კვირაში იტალიაში საქართველოს ნაკრები საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას, სადაც რუსეთის, იტალიისა და შვედეთის ნაკრებს შეხვდება. მომავალი ოფიციალური თამაშების წინ ეს იქნება ქართველთა გენერალური რეპეტიცია. იქვე გაირკვევა, ითამაშებს თუ არა საქართველოს ნაკრებში შემონდ უილიამსი. ქვეყნის მთავრობასთან მისი "გაქართველების" საკითხი მოგვარებლია, მთავარია, კალათბურთელმა არ იუაროს, თუმცა, რაკი საქმე იქამდე მივიდა, რომ უილიამსი კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებთან მოსალაპარაკებლად იტალიაში ჩადის, მთლად უიმედოდ არ უნდა ვიყოთ.

ბოლო დროს არაერთხელ ითქვა, თითქოს ლეგიონერები არ აპირებდნენ იტალიაში ჩასვლას. ამის გამო ეჭვქვეშ დადგა ნაკრების გამგზავრების მართებულობა. გაურკვევლობას გუშინ დაუსვა წერტილი ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა. მისი თქმით, ერთადერთი, ვისი საკითხიც არაა გადაწყვეტილი, ნიკოლოზ ცქიტიშვილია. მას საზაფხულო ლიგის თამაშები ელის და, შესაძლოა, ამის გამო ვერ მოახერხოს იტალიაში ჩასვლა, ყველაფერი ერთ კვირაში გაირკვევაო. ვოვა სტეფანიამ ბოლომდე ჯერაც ვერ მოირჩინა მუხლი და ამიტომ, იტალიაში ითამაშებს თუ არა, გადაწყვეტილი არაა. ჩასვლით კი, ალბათ, მაინც ჩავა იტალიაში - როგორც თავად განაცხადა, უილიამსი ჰყავს ჩასაყვანი მოსალაპარაკებლად.

ჩოგბურთი

ორი ქართველი ერთ ტურნირზე



უიმბლდონის შემდეგ ირაკლი ლაბაძე პირველ ტურნირს თამაშობს.

სანდრო ნავერიანი

შვედეთში, ქალაქ ბასტადში მიმდინარე Synsam Swedish Open-ზე ირაკლი ლაბაძეც იღებდა მონაწილეობას. მას შემდეგ, რაც "უიმბლდონის" გათამაშებიდან გამოვარდა, ეს პირველი ტურნირია მისთვის. რაც შეეხება მის სპორტულ ფორმას, ამაზე არა მარტო ქართველები, არამედ უცხოელი სპეციალისტებიც ამბობენ, რომ ირაკლი კარგ ფორმაშია, ხოლო ის, რომ "დიდი სლემის" ტურნირებზე მეორე ეტაპს ვერ გასცდა, არაფერს ნიშნავს - ეს უიღბლობაა და მეტი არაფერი.

ყველაფერ ამის შემდეგ ლოგიკური იქნებოდა მეთქვა, ლაბაძემ შვედეთში მიმდინარე ტურნირი მოიგო-მეთქი, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ლაბაძე არგენტინელმა მარიანო ზაბალეტამ დაამარცხა. ზაბალეტა ამ ტურნირის შარშანდელი გამარჯვებულია, წლევანდელ გათამაშებაზე კი მეორე ნომრად არის განთესილი.

მატჩი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. პირველი სეტის შემდეგ ვერ იტყოდი, რომელი ჩოგბურთელი იყო ფავორიტი, თუმცა, სპეციალისტები მაინც ზაბალეტას მოგებას წინასწარმეტყველებდნენ, რაც გამართლდა კიდეც. პირველი სეტი არგენტინელმა 6:4 მოიგო. მეორე სეტში ირაკლიმ კარგად ითამაშა, რამაც სასურველი შედეგი მოუტანა - 6:1 მოიგო. ანგარიში გათანაბრდა და ყველაფერი მესამე სეტს უნდა გადაეწყვიტა. აქ ლაბაძის მოწოდებები გაცილებით სუსტი იყო, ვიდრე მეორე სეტში. ზაბალეტამ გამოიყენა მეტოქის შეცდომები და 6:3 გაიმარჯვა. სეტთან ერთად მატჩიც მოიგო და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც ესპანელ ალბერტო მარტინსა და იტალიელ ფილიპო ვოლანდრის შორის გამარჯვებულს შეხვდება.

ტურნირის დანარჩენმა ფავორიტებმა, ხუან იგნასიო ჩელამ, ტომი რობრედომ და გასტონ გაუდიომ თავიანთი შეხვედრები გუშინ, გვიან ღამით გამართეს.

სპეციალისტების აზრით, ტურნირის მთავარი ფავორიტია არგენტინელი გასტონ გაუდიო, რომელმაც "როლან გარო" მოიგო. ალბათ, სწორედ ამის გამო ასახელებენ მას ფავორიტად, თორემ არც ტომი რობრედო, არც ხუან იგნასიო ჩელა და არც მარიანო ზაბალეტა არიან მასზე ნაკლები მოთამაშეები.

შვედეთის ტურნირში კიდევ ერთი ქართველი ჩოგბურთელი მონაწილეობდა, თუმცა, რუსეთის სახელით გამოდიოდა. თეიმურაზ გაბაშვილი პირველივე წრეში დამარცხდა ფრანგ ოლივიე პატინსთან.

Tour de France

ბასკი "ძველბიჭურად" გადააგდეს

ირაკლი ბერიაშვილი

ლენს არმსტრონგმა ტურ დე ფრანსზე ლიდერის ყვითელი მაისური ჩაიგდო ხელში.

თითოეული სიტყვა მოზომეო, მაფრთხილებდა ხოლმე ბებიაჩემი.

ახლა სწორედ ის დროა, ბებიაჩემის შეგონება გავიხსენო, რადგან საკმაოდ მშვიდობიანად ვარ განწყობილი და ნამდვილად არ ვაპირებ არავის წყენინებას.

დასრულდა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი და ფეხბურთის თავგადაკლულ ქომაგებს ორწლიანი იძულება გამოუწერეს. პირდაპირ სევდით მევსება გული, ზოგიერთი ჩემი ნაცნობის, მეგობრისა თუ მეზობლის ცხვირჩამოშვებულ სახეს რომ ვუყურებ. ზოგს კიდევ გაუმართლა - მიმაგრებაში უეფას თასზე მოხვდნენ და სულ რაღაც სექტემბრამდე მოუწევთ ლოდინი. აი, დანარჩენები კი სერიოზულად მადარდებს. ჯერ იყო და შედეგმა გაუცრუათ იმედები, რაღაც ფრანგულ-ჰოლანდიურ-იტალიურ ფინიშს ელოდნენ, ახლა არ გინდა, მთელი ორი წელიწადი იყურყუტო, როგორც თვითონ ეძახიან, "მუნდიალამდე"!

ისე, რა მაგათი ბრალია. განგებამ ეგეთი დიაპაზონი არგუნათ, მაგათთვის სპორტი ფეხბურთით იწყება და ფეხბურთით მთავრდება, იმის იქით, გინდა თოფი ესროლე, ვერაფერს ხედავენ. ვერ ხედავენ და ამიტომ არც აინტერესებთ.

გარშემო კი ჰყვავის ყველაფერი. სულ ახლახან დასრულდა "უიმბლდონი", მოკაიფეებმა იკაიფეს, ახლა "ტურ დე ფრანსს" ჩაუსხდნენ. ეს მორჩება და "US open" დაიწყება ჩოგბურთში, ის მორჩება და ოლიმპიური თამაშებია, მერე "ვუელტა"... ერთი სიტყვით, კაი ქომაგს სპორტული სეზონიც კაი აქვს. ისე, მართლა, რა ძალა აქვს ამ ოხერ დიაპაზონს, წუთით არ მოგაწყენს.

ამასობაში კი "ტურმა" ბელგიიდან საფრანგეთში გადაუხვია და სამხრეთით, პირენეებისკენ დაეშვა. იქ რომ გამოცდებს ჩააბარებან ბიჭები, შვეიცარიის ალპებს მიაშურებენ. ამასობაში რაღაცნაირად გაირკვევა კიდეც, ჩემი ჯილა ულრიხი უფრო მაგარია თუ "ტურის" სპორტული დირექტორის ლებლანისა. იმას მთელი "სტავკები" ხუთგზის ჩემპიონზე, არმსტრონგზე აქვს დადებული. რა სეირი იქნება, თუ წააგო?!

კარგა ხანია, ერთი რამ მაწუხებს და არ შემიძლია, სხვასაც არ გავუზიარო - ბოლმა დამახრჩობს.

ხუთი წლის წინათ, ეს ის წელია, როცა არმსტრონგმა პირველად მოიგო "ტური", ლებლანის დიდი მცდელობის შედეგად, "ტურ დე ფრანსზე" არდაშვებული მარკო პანტანის ნაცვლად, საოცრად ნიჭიერ მრბოლზე, ალექს ძულეზე გადავიტანე ჩემი სიმპათიები.

კარგად არ მახსოვს, მესამე თუ მეოთხე ეტაპი ჭაობის პირას დაეგეგმათ ორგანიზატორებს. ტელევიზორში ეს იშვიათი სურნელი ნამდვილად ვერ შემაწუხებდა, უკლებლივ ყველა სპორტსმენმა კი უკმაყოფილება გამოთქვა - ნამეტანი ორიგინალური ეტაპი გამოუვიდა ლებლანსო. მაგრამ ეს არაფერი. გზის ერთი მონაკვეთი მკვეთრად, თითქმის 90 გრადუსით უხვევდა, თან ადგილიც ვიწრო იყო - ეს კი ყველაზე დიდი მინუსია მრავალდღიანებისთვის. ძირითადად აქ ხდება ავარიები, აქ იმტვრევენ სპორტსმენები ზოგი ხელს, ზოგი ფეხს, ზოგი სულაც კისერს...

პელოტონის ორმა მესამედმა მშვიდობიანად გაიარა ეს მოსახვევი, მერე კი ვიღაცა ვიღაცას წამოედო, დავარდა და სანამ ამ ზედახორაში ყველაფერი დალაგდებოდა, დაახლოებით 70 მრბოლი 2 წუთით ჩამორჩა წინ წასულ პელოტონს. ჩამორჩენილთა შორის აღმოჩნდა ჩემი ჯილაც.

არ მინდა, მკითხველმა იფიქროს, რომ საქომაგოდ ისე, შემთხვევით ვირჩევ ვინმეს. ძულე 1994 წელს მეორე იყო "ტურ დე ფრანსზე" თვით დიდი მიგელ ინდურაინის შემდეგ. მერე ორჯერ მოიგო "ვუელტა", თან ძალიან უწყინარი სიფათი აქვს, სათვალით ასპარეზობს, შეხედავ და მათემატიკის მასწავლებელი გეგონება. ერთი ნაკლი აქვს - სპორტული ჟინი და ბოღმა ისეთი არა აქვს, ჩემპიონებს რომ დაჰყვებათ ხოლმე.

მთავარი კონკურენტი ჩამორჩაო და, წინ წასულ პელოტონში მაშინვე გაიმართა კაპიტანთა თათბირი. ესპანელების გუნდი ოლანოს თამადობით, ამერიკელებისა კი - არმსტრონგის. სხვებიც მიიწვიეს. ეს ყველაფერი, ცხადია, კაკლის ჩრდილში არ ხდება - დაახლოებით 120 ველოსიპედისტი მთელი ძალით უბერავს - "ტურზე" ხომ ყველაფერი, ან თითქმის ყველაფერი ჭ ჰ ხდება! ერთი სიტყვით, მოილაპარაკეს, რომ ძულე უნდა მოტეხონ. მოაწყვეს კარუსელი (ჩეჩაკოთათვის მაინც ვიტყვი, რა არის ეს. პელოტონის თავში რამდენიმე სპორტსმენი, შეიძლება რამდენიმე ათეულიც, ერთ მწკრივად დაეწყობიან და ტემპის შესანარჩუნებლად სწრაფად ცვლიან ერთიმეორეს), რომელშიც ხუთი გუნდი მაინც ჩაება და 2-წუთიანი სხვაობა ეტაპის ბოლოს 6 წუთად იქცა. 6-წუთიანი ფორა კი, სულ ცოტა, ათჯერ მაინც ზრდის "ტურის" მოგების შანსს. საბოლოოდ ძულე მაინც მეორე ადგილზე გავიდა, მაგრამ მეტი, ბუნებრივია, ვეღარ შეძლო. ის ექვსწუთიანი სხვაობა არმსტრონგთან ხელუხლებელი დარჩა.

მკითხველი, ალბათ, შეამჩნევდა ჩემს ანტიპათიებს ხუთგზის ჩემპიონის მიმართ. გზაზე არ გადამდგომია დასაყაჩაღებლად და ძროხა არ მოუპარავს ჩემთვის. აი, იმ საქციელის გამო ვერ ვიტან.

თუმცა, ჩემი პრეტენზიები მაინც უფრო ლებლანისკენ უნდა იყოს მიმართული. როცა ამგვარი გაუთვალისწინებელი ავარია ხდება "ფორმულა 1-ში", უსაფრთხოების მანქანა ჩაუდგება ხოლმე ბოლიდების პელოტონს და იქამდე დაჰყავს ნელი სვლით, სანამ ვითარება არ განიმუხტება. ველოსპორტში მსგავს ავარიებს სპორტთან არავითარი კავშირი არა აქვს. ასე რომ, იქაც შეიძლება ამ უსაფრთხოების მანქანების გამოყენება. ამას იმიტომ ვამბობ და ძველ ამბებსაც იმიტომ ვიხსენებ, რომ ზუსტად იგივე გამეორდა წლევანდელი "ტურის" მესამე ეტაპზე. ძულეს დღეში აღმოჩნდა "ტურის" ერთ-ერთი ფავორიტი, ბასკი იბან მაიო. მისმა გუნდმა "ეუსკალტელმა", კიდევ ერთიორი სხვა გუნდის ბიჭებმა თავი შეაკლეს, მაგრამ სულ არაფრის გამო 4-წუთიანი ჩამორჩენა მაინც დაირტყეს. ეს კი, როგორც უკვე ვთქვი, ის დროა, რომლის ამოქაჩვა თითქმის შეუძლებელია. ალბათ, ედი მერქსი უნდა იყო. ძალიან კარგი სპორტსმენია მაიო, მაგრამ, სამწუხაროდ, ედი მერქსი არ არის, ისევე როგორც "ტურის" არც ერთი მონაწილე, ხუთგზის ჩემპიონის არმსტრონგის ჩათვლით.

ტექნიკური შედეგები
IV ეტაპი. გამბრაი - არასი. 65 კმ.

ლანს არმსტრონგი (აშშ) US Postal 14.54.53
ჯორჯ ჰინკაპე (აშშ) US Postal 0.10
ფლოიდ ლანდისი (აშშ) US Postal 0.16

გუნდური ჩათვლა

US Postal	1.12.03
Phonak	1.07
Illes Balears	1.15

TV-სპორტი

ხუთშაბათი. 8 ივლისი

НТВ+ФУТБОЛ
06:00 NBA TV - დღიური
06:30 NBA TV. WNBA ჩემპიონატი. "LOS ANGELES SPARKS" - "PHOENIX MERCURY". პირდაპირი ტრანსლაცია
08:30 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: შაკილ ო`ნილი. პირველი ნაწილი
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ამერიკის თასი. მექსიკა - ურუგვაი
14:00 ამერიკის თასი. არგენტინა - ეკვადორი
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 "დარტყმა გოლისთვის"
16:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. "პალმეირასი" - "ჟუვენტუდე"
18:00 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
18:30 "FUTBOL MUNDIAL"
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:30 სახვალიო ტელეპროგრამა
19:40 ამერიკის თასი. მექსიკა - ურუგვაი
21:25 ამერიკის თასი. არგენტინა - ეკვადორი
23:10 ბრაზილიის ჩემპიონატი. "პალმეირასი" - "ჟუვენტუდე"
00:50 00:50-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV. სთრითბოლი. Entertainers Basketball Classic
04:00 NBA TV - საზაფხულო ლიგა. "DETROIT PISTONS" - "PHILADELPHIA 76 ERS"

НТВ+СПОРТ
10:00, 13:00, 16:00, 19:15, 21:00 პრესცენტრი
10:20, 21:15 "ოლიმპის შვილები"
10:25, 13:15 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
11:15 წყალში ხტომა. გრან-პრი მექსიკაში. ფინალი. დღე მეორე.
13:35 "ათენის გზაზე"
14:35 საცხენოსნო შოუ პარიზის სპორტის სასახლე "ბერსიში"
15:30 "ბილიარდის მეუფენი"
16:15 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. საუკეთესო მატჩები - ვაჟები. ნახევარფინალი. რ. ფედერერი - ს. გროსჟანი
19:30 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
20:00 "სპორტის აკვატორია"
20:30 კანადის თასი 1976: "კანადის თასიდან მსოფლიო თასამდე"
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
22:00 ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატი ლიბიაში
22:30 ჩოგბურთი. უიმბლდონის ტურნირი. საუკეთესო მატჩები - ვაჟები. ფინალი. რ. ფედერერი - ე. როდიკი. შესვენებისას (00:15) - ახალი ამბები
01:45 01:45-დან 02:25-მდე შესვენება
02:25 ფეხბურთი. ამერიკის თასი. კოსტა-რიკა - პარაგვაი. პირდაპირი ტრანსლაცია
04:40 ფეხბურთი. ამერიკის თასი. ბრაზილია - ჩილე. პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT
10:30 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიადის კულტურული პროგრამა
10:45 მულტისპორტი კვირის სტუმარი
11:00 ცხენოსნობა. ნაციის თასი სამსუნგი ნორვეგიაში
12:00 მძლეოსნობა. სუპერ გრან-პრი შვეიცარიაში
14:00 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა
14:15 ფეხბურთი. ალპური თასი ავსტრიაში
16:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
20:00 ჩოგბურთი. ახალბედა. მარკოს ბაგდატისი
20:15 მძლეოსნობა. სუპერ გრან-პრი შვეიცარიაში
22:00 კრივი
00:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
01:15 ევროსპორტის სიახლენი
01:30 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო)
02:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
03:00 მულტისპორტი

"კასინი" სატურნის ორბიტაზე გავიდა

30 ივნისს, შვიდწლიანი ფრენის შემდეგ, სატურნის ორბიტაზე გავიდა საერთაშორისო საპლანეტათაშორისო ზონდი "კასინი", რომელიც მომდევნო ოთხ წელიწადს გაზის ამ გიგანტის და მისი საიდუმლო სამყაროს შესწავლას მოანდომებს.

მისიის დროს, "კასინი" 52-ჯერ მიუახლოვდება სატურნის ცნობილი 31-დან 7 თანამგზავრს (მთვარეს), რომელთა გამოსაკვლევადაც ზონდზე დამონტაჟებულია 12 საკვლევი მოწყობილობა. გარდა ამისა, ყველაზე დიდ მთვარეზე, კერძოდ კი ტიტანზე, ზონდი საკვლევ აპარატ "ჰუიგენსს" მიავლენს, რომელიც 6 საკვლევი მოწყობლობითაა აღჭურვილი. მისიით გათვალისწინებულ პერიოდში (ოთხ წელიწადში), "კასინი" სულ 76-ჯერ შემოუფრენს მზის სისტემის რიგით მე-6, სიდიდით კი მეორე პლანეტას.

ორბიტაზე გასასვლელად "კასინის" მეტად სახიფათო მანევრის განხორციელება მოუხდა, რომელსაც თავისუფლად შეეძლო 3 მილიარდ დოლარად შეფასებული პროექტის კრახით დასრულება. საქმე ისაა, რომ ხომალდს სატურნის ორ რგოლს შორის უნდა გაეფრინა, სადაც მილიარდობით მცირე ზომის მეტეორიტი და კოსმოსური მტვერი უზარმაზარი სიჩქარით მოძრაობს (სწორედ ისინი წარმოიქმნიან რგოლებს).

წყნარი ოკეანის რეგიონის დროით საღამოს 6 საათზე (ამ დროს ჩვენთან 1 ივლისის დილა იყო) "კასინიმ" მანევრი წამოიწყო. იგი იმგვარად განლაგდა, რომ მაღალი სიხშირის ანტენის 4-მეტრიანი თეფში ფარად გამოსდგომოდა. ამ თეფშს იგი კოსმოსური მტვრისა და მცირე ზომის მეტეორიტებისგან უნდა დაეცვა. მანევრის დროს ჩაირთო სპეციალური ძრავი, რომელმაც სულ 96 წუთს იმუშავა და შეძლო ხომალდის სიჩქარის იმდენად შენელება, რომ იგი პლანეტის გრავიტაციის ზემოქმედების ქვეშ გადასულიყო.

მანევრის დაწყებიდან სამი საათის შემდეგ, "კასინი" სატურნის ღრუბლოვან საფარველს დაახლოებით 20 ათას კილომეტრზე (ეს საკუთრივ სატურნის დიამეტრზე თითქმის ექვსჯერ ნაკლები მანძილია) მიუახლოვდა. კიდევ რამდენიმე წუთის შემდეგ, ხომალდი პლანეტის გრავიტაციის საუფლოში გადავიდა და მის ორბიტაზე დაიწყო მოძრაობა. პარალელურად, მან ანტენის თეფში ჩვენი პლანეტისკენ მომართა და სურათების გადაღებაც დაიწყო. სატურნის ორბიტაზე მოძრაობის ოთხი წლის განმავლობაში "კასინი" დაახლოებით 300 ათას ფოტოს გადაიღებს, რომლებიც მეცნიერებს ამ პლანეტის შესახებ უამრავ ძვირფას ინფორმაციას მიაწვდიან.

იმის წარმოსადგენად, თუ რამდენად რთული მანევრი განახორციელა "კასინიმ", შეიძლება ის შევადაროთ რუს მფრინავ ჩკალოვის გმირობას, რომელმაც თვითმფრინავით ხიდის ქვეშ გაიფრინა. რგოლებს შორის უსაფრთხოდ გასაძრომად, მეცნიერებმა სახმელეთო და ორბიტალური ტელესკოპების მეშვეობით, დაწვრილებით შეისწავლეს ეს არეალი და მაქსიმალურად უსაფრთხო ტრაექტორია შეარჩიეს მანევრისთვის. ამასთან, იმ შემთხვევისთვის, თუ ძირითადი შემნელებელი ძრავი დაზიანდებოდა, ხომალდს სათადარიგო აგრეგატიც გააჩნდა.

ცნობისათვის, მეცნიერები სატურნის რგოლთა სისტემაში 7 მთავარ დივიზონს გამოარჩევენ, რომლებიც ლათინური ასოებით (D, C, B, A, F, G, E) აღინიშნება. თავის მხრივ, ეს დივიზიონებიც ათასობით "რგოლაკისგან" შედგებიან. კოსმოსურ მტვერთან და ნაწილაკებთან ერთად, რგოლებში ძირითადად ყინულისა და კლდოვანი ლოდები (მათი ზომა მცირე კენჭებიდან 20-30 მეტრის დიამეტრამდე იცვლება) მოძრაობენ. მოძრაობისას ისინი ხშირად ეჯახებიან ერთმანეთს. თითოეული რგოლის სისქე სულ 1 კილომეტრია, როდესაც მათი გარე დიამეტრი დაახლოებით 300 ათას კილომეტრს შეადგენს. ეს კი თითქმის ის მანძილია, რომელიც ჩვენს პლანეტას მთავრესთან აშორებს.

"კასინი-ჰუიგენსის" მისიამ სტარტი 1997 წლის 15 ოქტომბერს აიღო და მას უკვე დაფარული აქვს 3.5 მილიონ კილომეტრზე მეტი. პროექტში, რომლის ღირებულებაც დაახლოებით 3 მილიარდი დოლარია, აშშ-ისა და ევროპის 17 ქვეყნის 260 მეცნიერი მონაწილეობს. ამ მეცნიერთა უმეტესობის კარიერა სწორედ "კასინის" მისიასთანაა დაკავშირებული. მათ იმდენად ზუსტი გათვლები ჩაატარეს, რომ ტრაექტორიაზე გასვლის დაგეგმილ და რეალურ დროებს შორის ცდომილებამ სულ ერთი წამი შადგინა. ეს მაშინ, როცა გათვლები მისიის სტარტამდე, ესე იგი, შვიდი წლის წინაა შესრულებული!!!



კასინი სატურნის ორბიტაზე

ფებეს მსგავსი ლოდებისგან შეიქმნა მზის სისტემის ყველა პლანეტა

მიჩნეულია, რომ სატურნი და მისი რგოლური სისტემა მზის სისტემის არსებობის ადრეული ფაზის "მინიატურულ" მოდელს წარმოადგენს – მზის სისტემის ჩამოყალიბების საწყის პერიოდში, ჩვენს მნათობს გარს გაზისა და კოსმოსური მტვრის რკალი ერტყა, რომლებმაც მოგვიანებით პლანეტები შეაკონწიწეს. ამდენად, პლანეტის და მის გარშემო მოძრავი მთვარეების დაწვრილებითი შესწავლა მეცნიერებს უფრო გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის მზის სისტემის ისტორიის შესახებ.

მისიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სატურნის თანამგზავრ ტიტანის შესწავლაა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ამ თანამგზავრის სიღრმეში, გაყინულ მდგომარეობაში უნდა იყოს იმ ქიმიურ ნივთიერებათა დიდი ნაწილი, რომლებმაც ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის წარმოქმნაში დიდი როლი შეასრულეს.

"კასინი" ტიტანს 950 კილომეტრის სიშორეზე მიუახლოვდება, რაც მის აპარატურას მაღალი გარჩევადობის სურათების გადაღების საშუალებას მისცემს. 2004 წლის 25 დეკემბერს კი ტიტანზე გააგზავნის აპარატ "ჰუიგენსს". ეს იქნება პირველი კოსმოსური ზონდი, რომელიც სხვა პლანეტის თანამგზავრის ზედაპირზე დაჯდება.

ოცდღიანი თავისუფალი ვარდნის შემდეგ, კერძოდ კი 2005 წლის 14 იანვარს, "ჰუიგენსი" ტიტანის ატმოსფეროში შევა, რის შემდეგაც გახსნის პარაშუტებს და 2.5 საათის შემდეგ თანამგზავრის ზედაპირზე დაჯდება და შეუდგება მის საფუძვლიან შესწავლას.

საპლანეტათაშორისო ხომალდი "კასინი" დააპროექტა და ააგო პასადენაში მდებარე "რეაქტიული გადაადგილების ლაბორატორიამ", რომელიც მარსის მისიასაც ახორციელებს. ზონდი "ჰუიგენსი" კი ევროპული კოსმოსური სააგენტოს მიერაა შექმნილი, რომელიც ასევე განახორციელებს მისიის მართვას გერმანიის ქალაქ დარმშტადტში მდებარე ცენტრიდან. მაღალი სიხშირის ანტენა, რომელიც ორბიტალური სარისკო მანევრის დროს ფარის როლსაც ასრულებდა, იტალიის კოსმოსური სააგენტოს ინჟინრების მიერაა შექმნილი. იგი დარმშტადტში ინფორმაციის გადმოცემას უზრუნველყოფს. მისიის საერთო კოორდინაციას კი ახორციელებს აშშ-ის კოსმოსური კვლევის ეროვნული სააგენტოს ვაშინგტონში მდებარე კოსმოსური მეცნიერების ოფისი.

ფებე დროის გაყინული კაპსულა

მანევრის დაწყებამდე ერთი თვით ადრე, "კასინიმ" დაახლოებით 2 ათასი კილომეტრს სიშორეზე ჩაუქროლა სატურნის ერთ-ერთ ამოუცნობ თანამგზავრ ფებეს და სურათები გადაუღო მას. მანამდე ფებესთან ყველაზე ახლოს საპლანეტთაშორისო აპარატმა "ვოიაჯერმა" ჩაიქროლა (1981 წელს), რომელმაც სატურნის ამ ბნელ მთვარეს 2.24 მილიონი კილომეტრის სიშორიდან გადაუღო სურათები.

კასინის მიერ გადაღებულ სურათებზე კარგად ჩანს ფებეს ბნელი და ნათელი ლაქები. წინასწარი ვარაუდით, ნათელი ლაქები ყინულის ზღვები უნდა იყოს. თანამგზავრი, რომლის დიამეტრი სულ 220 კილომეტრია, ერთთავად გოლფის ბურთს ჰგავს უამრავი კრატერით. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ფებე სატურნის სატელიტი ჯერ კიდევ 4.5 მილიარდი წლის წინ გახდა, როცა ხდებოდა მზის სისტემის ფორმირება. აქამდე ფებეს სატურნის ყველაზე ბნელ თანამგზავრს უწოდებდნენ, რადგან ის მზიდან მიღწეული სხივების მხოლოდ 6 პროცენტს აირეკლავს.

ფებეზე ტემპერატურა დღისითაც კი მინუს 163 გრადუსზე მაღლა არ ადის. გათვლებით დადგენილია, რომ მისი სიმკვრივე კუბურ სანტიმეტრზე სულ 1.6 გრამს შეადგენს, რაც გაცილებით მცირეა, ვიდრე კლდოვან მასებს შეიძლება ჰქონდეთ. ამასთან, ეს სიმკვრივე გაცილებით სჭარბობს სუფთა ყინულისას. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ პლანეტა სწორედ კლდოვანი მასისა და ყინულისგან შედგება, როგორც ტრიტონსა და პლუტონზეა. სამაგიეროდ, ქიმიური მაჩვენებლებით, ფებე კომეტებს ენათესავება, რაც კიდევ ერთი დამადასტურებელია იმ ჰიპოთეზისა, რომელიც ამ მცირე ზომის პლანეტის კუიპერის სარტყელში (მზის სისტემის მოსაზღვრე სარტყელია) წარმოქმნას ვარაუდობს.

"ჩვენი ვარაუდით, მზის სისტემის წარმოქმნის ადრეულ სტადიაში, ეს სისტემა სავსე იყო ფებეს მსგავსი სხეულებით. დროთა განმავლობაში, მათი შეჯახების შედეგად, პლანეტები ჩამოყალიბდა, ზოგი სხეული კი დაიმსხვრა და მისმა ნამსხვრევებმა კუიპერის სარტყელში გადაინაცვლა. ფებე ამ შეჯახებებს გადაურჩა და მოგვიანებით, ახალგაზრდა სატურნის გრავიტაციის ზემოქმედების ქვეშ მოექცა. ეს ფაქტობრივად, დროის გაყინული კაპსულაა, რომელიც დეტალურ გამოკვლევას ელოდება", - განაცხადა "კასინი-ჰუიგენსის" პროექტის NASA-ს მკვლევარმა ტორენს ჯონსონმა.

კორეელები სატრანსპლანტაციო ორგანოებს ქმნიან

სამხრეთ კორეის სახელმწიფო ბიუჯეტი მომდევნო ათი წლის მანძილზე 52 მილიონ დოლარზე მეტს დახარჯავს გენეტიკურად მოდიფიცირებული ღორების მასობრივად წარმოებაზე, რომელთა ორგანოებიც (მაგალითად, გული, თირკმელები და სხვა) ვარგისი იქნება ადამიანებისთვის გადასანერგად.

ქვეყანაში ორგანიზებულია 90 მეცნიერისგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც ბიოინჟინრული ტექნოლოგიების განვითარებაზე მუშაობს. კორეელ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ღორები იმ ადამიანების პოტენციური გადამრჩენები არიან, რომლებსაც სხვადასხვა დაავადებათა გამო ორგანოების გადანერგვა ესაჭიროებათ. ადრე ჩატარებულმა გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ფიზიოლოგიურად ღორები ახლოს არიან ადამიანებთან და მათს ორგანიზმში შესაძლებელია ადამიანისთვის ვარგისი ორგანოების გამოზრდა.

ამგვარი გადანერგვის დროს პრობლემას ქმნის ის ფაქტი, რომ ადამიანის ორგანიზმი ძნელად ღებულობს უცხო ქსოვილს, რომელსაც იმუნური სისტემა ებრძვის. კორეელი მეცნიერები დღეს სწორედ ამ პრობლემის გადასაწყვეტად მუშაობენ და მათ გენურ ინჟინერიაზე შეაჩერეს არჩევანი.

გეგმის მიხედვით, 2007 წლისთვის უნდა შეიქმნას ცხოველი, რომლის ორგანოებსაც ადამიანის ორგანიზმი უპრობლემოდ მიიღებს. კორეელები იმედოვნებენ, რომ 2010 წლისთვის დონორი ღორების მთელი არმია ეყოლებათ.

მსოფლიოში უმაღლესი ხიდი

თითქმის დასრულებულია საფრანგეთში, მდინარე ტარნზე გადებული კიდული საავტომობილო ხიდის (სახელად მილო) მშენებლობა, რომელიც 2004 წლის ბოლოს გაიხსნება და რომელიც მსოფლიოში ყველაზე მაღალი ხიდი იქნება – მისი გზის საფარის ყველაზე მაღლა მდებარე წერტილი მიწიდან 270 მეტრით იქნება დაშორებული.

ხიდის სიგრძე 2.5 კილომეტრია და იგი პარიზ-ბარსელონას საავტომობილო მაგისტრალის მშვენება გახდება. ადრე ამ მონაკვეთზე მძღოლებს მეტისმეტად გრძელი და დამღლელი გზის გავლა უწევდათ. აღსანიშნავია, რომ ხიდის ყველაზე დიდი პილონის სიმაღლე 343 მეტრია, რაც ეიფელის კოშკისაზე მეტია.

საინტერესოა, რომ ხიდის მშენებლობას ახორციელებს კომპანია "ეიფფაგი", სწორედ ის კომპანია, რომელმაც საუკუნეზე მეტი ხნის წინ ააგო ეიფელის კოშკი. "მილოს" მშენებლობაზე "ეიფფაგი" 260 მილიონ ევროს დახარჯავს და სანაცვლოდ, მისი ექსპლუატაციის უფლებას 75 წლით მიიღებს.

თვითმფრინავ "კონკორდთან" და ლა მანშის მიწისქვეშა გვირაბთან ერთად, სპეციალისტები ამ ხიდს უდიდეს ფრანგულ-ბრიტანულ პროექტთა რიცხვს მიაკუთვნებენ – სამყაროს ახალი საოცრება სახელგანთქმულმა ბრიტანელმა არქიტექტორმა, ნორმან ფოსტერმა დააპროექტა.

ელექტროწინდები სიცივისგან დაგიცავთ

ახალზელანდიურმა კომპანია "ქენისიზ ნიტუორკმა" და ავსტრალიურმა "აუსტრალიან ვულ ინოვეიშნმა" ერთობლივად შექმნეს ახალი ტიპის შალის წინდები, რომლებსაც თვითგახურების უნარი შესწევთ.

ნატურალური შალის ქსოვილში შესაძლებელი გახდა უწვრილესი და მეტად დრეკადი ბოჭკოების ჩაკერება, რომელთა საშუალებითაც ხერხდება მინიატურული ელემენტებიდან მიღებული ელექტროენერგიის სითბოდ გარდაქმნა. ეს ელემენტები წინდებზე, ან ფეხსაცმელზე მაგრდება. წინდები სრულიად უსაფრთხოა. მის პატრონს დენი არც მაშინ დაარტყამს, როცა წინდა დასველდება. ამასთან, დასველების შემდეგაც, წინდები ნორმალურად "მუშაობენ".

ელემენტები დატენვის შემდეგ ოთხი საათის განმავლობაში უწვყვეტად ამარაგებენ წინდებს ელექტროენერგიით. თუმცა, მფლობელს შეუძლია მათი მუშაობის გახანგრძლივება – გათბობის შემდეგ შესაძლებელია წინდების კვების შეწყვეტა. ასე ენერგიაც დაიზოგება და სითბოც კი გარკვეული ხნით იქნება შენარჩუნებული. ახალ ქსოვილს "სმარტ ვული" უწოდეს. სიტყვა სმარტს ბევრი მნიშვნელობა (მწველი, ჭკვიანი, ცოცხალი, მოდური) აქვს, რომელთაგან ამ შემთხვევისთვის ყველა გამოსადეგია.

ასტეროიდებისგან "ცოფიანი" რობოტები დაგვიცავენ?

"ცოფიანი" რობოტების ასტეროიდზე მისიის კომპიუტერული იმპროვიზაცია

წარმოიდგინეთ, რომ ჩვენს პლანეტას უახლოვდება გიგანტური ასტეროიდი, რომელსაც დედამიწაზე სიცოცხლის მოსპობა შეუძლია. სიტუაცია დაახლოებით ისეთია, როგორიც ფილმში "არმაგედონი" და ის სულაც არაა რეალობას მოკლებული. როგორ უნდა მოიქცეს ასეთ შემთხვევაში კაცობრიობა?

რა თქმა უნდა, ამ საკითხზე დიდი ხანია, ფიქრობენ მეცნიერები, თუმცა ჯერჯერობით მათზე "პრაქტიკული" კინემატოგრაფი გამოდგა – ბირთვული იარაღის გამოყენებით ფატალური საფრთხის თავიდან აცილება ერთ-ერთი რეალური ვარიანტია, რომელსაც მეცნიერები განიხილავენ. ამასთან, არის კიდევ სხვა ვარიანტებიც, რომელთაგან ერთ-ერთი ჩვენი პლანეტის გადასარჩენად კოსმოსური რობოტების არმიის გამოყენებას გვთავაზობს.

იდეა ამერიკული კომპანია "სპეის უორკ ენჯინეარინგის" ინჟინრებს ეკუთვნით, რომლებიც უკვე მუშაობენ მის განსახორციელებლად. ამ იდეის არსი შემდეგშია: კოსმო-რობოტების ხროვა მიეშურება ასტეროიდისკენ, ჯდება და ეკვრის მას. შემდეგ, რობოტებზე მოთავსებული ბირთვული რეაქტორებისა და იონური ძრავების მეშვეობით, რობოტები ერთობლივი ძალისხმევით ახერხებენ ასტეროიდის კურსის შეცვლას და მას დედამიწას არიდებენ.

კომპანიამ უკვე დაამთავრა თავისი იდეის ყოველმხრივი შესწავლა და ასე განსაჯეთ, მისი შემდგომი დამუშავებისთვის, აშშ-ის აეროკოსმოსური სააგენტოს პერსპექტიული კონცეპციების ინსტიტუტისგან სპეციალური გრანტიც მიიღო. ინსტიტუტის დირექტორი რობერტ კასანოვა აცხადებს, რომ სააგენტო და ინსტიტუტი დღეისათვის ყველაზე პერსპექტიულად ასტეროიდების ბირთვული იარაღით განადგურებას მიიჩნევენ, თუმცა "სპეის უორკის" მიერ შეთავაზებული რობოტების იდეაც იმსახურებს მათს ყურადღებას.

რობოტები, რომელთა გამოყენებასაც "სპეის უორკსი" გვთავაზობს, ფაქტობრივად, კოსმოსურ ხომალდებს წარმოადგენს. მათ მეტსახელად "მადმენებს" (გადარეული, გიჟი, ცოფიანი ადამიანები) უწოდებენ (აბრევიატურიდან MADMEN - Modular Asteroid Deflection Mission Node). სახელიც ხომ შესაბამისია? აბა, ვის უნდა ანდო ჩვენი პლანეტის დაცვა, თუ არა ამ თავზეხელაღებულ რობოტებს?

მაშ ასე, "მადმენი" არის 11 მეტრის სიმაღლის მქონე, ერთტონიანი ხომალდი, რომელსაც (ან რომლებსაც) კოსმოსში მზიდი რაკეტა გაიყვანს. კოსმოსში რაკეტა შორდება რობოტ(ებ)ს, რომელიც საკუთარი ძრავის მეშვეობით აგრძელებს ფრენას დანიშნულების ადგილამდე და დამოუკიდებლადვე ახორციელებს მასზე დაჯდომის მანევრს. ასტეროიდის ზედაპირზე რობოტი იწყებს ბურღვის სამუშაოს და იქ "მაგრდება". ასტეროიდზე მიმაგრებული რობოტი აამოქმედებს ბირთვულ დანადგარს და ელექტრომაგნიტური ამაჩქარებლის მეშვეობით, გარკვეული პერიოდებით (წუთში ერთი ბიძგი) აძლევს ასტაროიდს ბიძგებს, რითაც მას ტრაექტორიის შეცვლას აძალებს.

ბუნებრივია, ერთი, მცირე ზომის რობოტი ვერ შეძლებს რამდენმე კილომეტრის დიამეტრის მქონე კოსმოსური სხეულის ტრაექტორიიდან გადაყვანას. ამიტომ, მისიას რამდენიმე ასეული და ათასეულიც კი, რობოტი დასჭირდება, რომლებიც მონაცვლეობით შეასრულებენ ბიძგებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველ რობოტს ერთმანეთთან კავშირი უნდა ჰქონდეს და ისინი ბიძგებს კოორდინირებულ რეჟიმში უნდა ახორციელებდნენ.

"ცოფიანი" რობოტები ასტეროიდის მთელ ზედაპირს მოედებიან, რადგან ერთი მხრიდან ბიძგი არაფრის მომტანი იქნება. ეს იმიტომ, რომ ასტეროიდი სწორხაზოვანი გადაადგილების გარდა, ბრუნვით მოძრაობასაც ასრულებს. თუ რამდენი რობოტი იქნება საჭირო ასტეროიდის ტრაექტორიიდან გადასაყვანად, ეს ბევრ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული. მაგალითად, რა სიჩქარით მოძრაობს კოსმოსური სხეული, რა ზომა-წონისაა იგი, რა მანძილზეა დაშორებული ჩვენგან და ასე შემდეგ. ფაქტია, რომ მისიას დიდი რაოდენობით რობოტები დასჭირდება, იმაზე მეტიც კი, ვიდრე საჭირო იქნება ამოცანის შესასრულებლად. ეს იმიტომ, რომ ზოგიერთი მათგანი მისიის დროს მწყობრიდან გამოვა, ზოგიც დაიმტვრევა.

ბუნებრივია, კაცობრიობამ წინასწარ უნდა მოამზადოს "ცოფიანი" რობოტების არმია, რათა მზად დახვდეს მოსალოდნელ ხიფათს. ამასთან, გარკვეული რაოდენობით, ისინი პლანეტის ორბიტაზეც უნდა იმყოფებოდნენ. ეს იქნება ერთგვარი სწრაფი რეაგირების კორპუსი, რომელიც მოულოდნელად გამოჩენილი ასტეროიდის წინააღმდეგ მოქმედებას დაუყოვნებლივ შეუდგება. ბუნებრივია, ორბიტაზე "მორიგეობისას" მათ საწვავის საკმაო მარაგიც უნდა გააჩნდეთ, რომლის გამოლევის შემდეგაც "დაღლილ" რობოტებს "დასვენებულები" შეენაცვლებიან.

რა თქმა უნდა, "მადმენის" შექმნა არ იქნება ადვილი. "სპეის უორკსის" ინჟინრებს უამრავი ტექნოლოგიური სიახლის დანერგვა მოუწევთ, რომელთა მსგავსიც კაცობრიობას ჯერ არ შეუქმნია. მაგალითად, დიდი პრობლემა იქნება მსუბუქი და კომპაქტური ბირთვული ელექტროსადგურის დამზადება.

ასეა თუ ისე, კომპანიის კონსტრუქტორებმა გამოკვლევების პირველი ეტაპი დაასრულეს. ახლა ისინი ელიან პერსპექტიული კონცეპციების ინსტიტუტის გადაწყვეტილებს, რომელზეც ბევრად იქნება დამოკიდებული პროექტის მეორე ეტაპის დაწყება.

კაცობრიობას უკვე გააჩნია ადამიანის მიერ შექმნილი აპარატის ასტეროიდზე დასმის პრეცედენტი – პირველად ეს რთული მისია აპარატ NEAR-ით განხორციელდა, რომელიც ეროსის სახელით ცნობილ კოსმოსურ კლდეზე დაჯდა. 2014 წელს კი ევროპული კოსმოსური ხომალდი "როსეტა" კომეტა ჩურიუმოვ-გერასიმენკოზე გაგზავნის სპეციალურ მოდულს.

კომპანია "სპეის უორკსის" სპეციალისტები გვახსენებენ, რომ კაცობრიობისთვის დამლუპველი ასტეროიდის გამოჩენა სულაც არ განეკუთვნება ფანტასტიკის სფეროს და ის შესაბამის ყურადღებას და მომზადებას მოითხოვს. მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად ფანტასტიკურად მოსჩანს მათ მიერ შემოთავაზებული პროექტი.

სხვათაშორის, დედამიწისკენ საშუალო ქალაქის ზომის ასტეროიდი მოემართება. მეცნიერები ირწმუნებიან, რომ მისი ტრაექტორია ჩვენს პლანეტას ხიფათს არ უქმნის, მაგრამ ვინ იცის...

ნონა, ნანა, ბუბა, ჩაშკა

ფოტოპროექტი ინტერვიუების თანხლებით

ანა კორძაია-სამადაშვილი

ქალბატონი, რომლის პროექტის შესახებაც გიამბობთ, ნინო ფურცხვანიძე გახლავთ, საბჭოთა კავშირში, უბრალო, ასტრონომის ოჯახში დაბადებულ-გაზრდილი ქალი. ის სამხატვრო აკადემიაში არქიტექტურას სწავლობდა და ევროპაში მხოლოდ 41 წლის ასაკში მოხვდა: "მანამდე რუკაზეც კი არ ვიცოდი, სად იყო ეს ქვეყანა, თუმცა მისი მოსახლეობის სექსუალურ ორიენტაციაზე სრულიად ნათელი წარმოდგენა მქონდა, - ისევე, როგორც ჩემი ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობას. ამ ქვეყნის XVII-XVIII საუკუნეების კლასიკური სამხატვრო სკოლაც განთქმულია, მას საბჭოთა კავშირშიც კი სცემდნენ ჯეროვან პატივს..."

თავიდან ქართველ ნინოს დიდი ფსიქოლოგიური ბრძოლის გადატანა მოუხდა, რომ ნიდერლანდების მოქალაქედ აღექვა თავი: "ნიდერლანდებში არჩევნებში მონაწილეობა ვერა და ვერ გადამიწყვეტია, ვერ გავიგე, ვის მხარესა ვარ." საქმე ისაა, რომ მისი მეგობრები, - "არაჩვეულებრივი ადამიანები - სწორედ ამიტომ ვუწოდებ ჩემს მეგობრებს", - მემარცხენეები არიან, მას კი, საბჭოეთში გაზრდილს, არ უნდა იმის აღიარება, რომ ისიც "მარცხნივ იხრება"; ამიტომ სულ არ მიდის არჩევნებზე, "ეს კი იქ დიდ უზნეობად ითვლება".

...სტუმრად მისულს გემრიელი სადილითაც გამიმასპინძლდა და ფოტოპორტრეტები მაჩვენა: ლილი იოსელიანი, ჭაბუა ამირეჯიბი, ერლომ ახვლედიანი... ჩინებული პორტრეტებია, მაგრამ რასთან დაკავშირებით?

იმასთან დაკავშირებით, რომ ნინო ფურცხვანიძე ახალ პროექტზე მუშაობს, რომლის თემაც გასული საუკუნის ქართველები არიან. ნინო თავისი ბავშვობის თუ ახალგაზრდობისდროინდელი პოპულარული ადამიანების პორტრეტებს იღებს და მათ ესაუბრება. მისი ზოგი რესპონდენტი დღესაც პოპულარულია, ზოგი - ნაკლებად, ზოგიც მივიწყებულია. "ეს ის ხალხია, ვისაც სახელით მოვიხსენიებდით: ნონა, ნანა, ბუბა, ჩაშკა..."

რაც არ უნდა უჩვეულოდ გეჩვენოთ, ამ "ძალიან ქართული" პროექტის განხორციელებისთვის საჭირო თანხის ძირითადი ნაწილი ამსტერდამის ხელოვნების ფონდმა გაიღო, რომლის მოთხოვნითაც დასრულებული ნამუშევარი ამსტერდამში იქნება გამოფენილი. საქართველოში ჩამოსულ ხელოვანს ნიდერლანდების საელჩომ დიდი თანადგომა გაუწია, ისევე, როგორც საქართველოს კულტურის სამინისტრომ. ამ უკანასკნელის დაინტერესება დიდად ფასეულია, თუნდაც იმის გამო, რომ როცა გაალებ თანხაზე იწყება საუბარი, ჩვენს სამშობლოში მრავალი ადამიანი თუ ორგანიზაცია უხერხულად იწყებს შმუშვნას, და როგორც წესი, უცხოეთიდან ჩამოსულ ჩვენს თანამემამულეს არაფრის შანსი არა აქვს ხოლმე - ითვლება, რომ ისედაც ძალიან მდიდარია (თუმცა, დასავლეთში გატარებული ცხოვრების ნაწილი მაინც გარკვეულ პრივილეგიას იძლევა. ამასთან დაკავშირებით ნინომ ერთი ძველი ანეკდოტი გაიხსენა: ბაქოს რადიოს ჰკითხეს, შეიძლება თუ არა კოსმოსში ცხოვრებაო? ბაქოს რადიომ უპასუხა: "კოსმოსში ცხოვრებისა არ ვიცით, მაგრამ იქიდან დაბრუნების შემდეგ დედამიწაზე ცხოვრება ნამდვილად შეიძლება").

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში – ნონა გაფრინდაშვილი.

"რამდენჯერ გაგვიგონია ეს გამოთქმა - წინათ ყველაფერი უკეთესად იყო," მსჯელობს ნინო, "არაფერიც არ იყო უკეთესად. უბრალოდ, წინათ უფრო ახალგაზრდები ვიყავით. როცა ახალგაზრდების საქციელის გამო იწყებ წუწუნს, ეს დაბერების უტყუარი ნიშანია. თუ ახალგაზრდებმა რამე ვერ ისწავლეს და ვერ დაინახეს, ეს მხოლოდ ჩვენი ბრალია".

ის სხვა დრო იყო. ნინო და მასზე უფროსი თაობის ადამიანები საბჭოთა კავშირის დაშლაზე ოცნებობდნენ და ეს წარმოუდგენელ ბედნიერებად მიაჩნდათ. მათ უნდოდათ, ყველაფრისთვის ხაზი გადაესვათ და ყველაფერი დაევიწყებინათ, რაც იმ დროსთან აკავშირებდათ. ახალ თაობას კი საბჭოთა კავშირის შესახებ საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს, - ისევე, როგორც ნინო არ მოსწრებია "სტალინის დროს" კარზე კაკუნის შიშს.

პროექტზე მუშაობა უკვე დაწყებულია, "უდიდესი პატივისცემით ყველა იმ ადამიანისადმი, ვინც გადავიღე, ვისაც გადავიღებ, ვისი გადაღებაც ვერ მოვასწარი, ვინც არ დამთანხმდა გადაღებაზე, ვინც გამოგვრჩა," განმარტავს ავტორი, "და რაც მთავარია - უდიდესი მოკრძალებითა და პატივისცემით ახალგაზრდა თაობის მიმართ".

გამოფენა და ფოტოალბომი "წინა საუკუნის ქართველები" ხომ სინამდვილეში სწორედ მომავალი თაობისთვის იქმნება. ნინოს გადაწყვეტილი აქვს, რომ წიგნს თავის პედაგოგს, ოთარ ჯაყელს მიუძღვნის: "ბატონი ოთარი ჩვენ ყველაფერს გვასწავლიდა: ხედვას, სიყვარულს, სიძულვილს, მიტევებას, ბრძოლას, ადამიანობას და ადამიანურ დამოკიდებულებას სიცოცხლესა და სამყაროსთან".

ბატონ ოთარ ჯაყელის მშობლები საფრანგეთში ემიგრირებული თავადიშვილები იყვნენ, თავად მან კი 60-იან წლებში თავის ცოლშვილს ხელი მოჰკიდა და საქართველოში დაბრუნდა. "ეს ჩვენთვის მაშინ სრულიად გაუგებარი იყო," ჰყვება ნინო, "იმ დროში ევროპის რომელიმე ქვეყნის მოქალაქეობის მიღება ჩემს წრეში დიდ ამბად ითვლებოდა".

წლები გავიდა, ნინო როტერდამში აღმოჩნდა, ფოტოკამერით ხელში, უკვე მოხუცებული ბატონი ოთარი კი კვლავ პარიზში ცხოვრობდა. მაშინ ნინოს ნიდერლანდების სამეფოს სახელმწიფო საზღვრის გადალახვის უფლება არ ჰქონია, ამიტომ პედაგოგი ვერ მოინახულა და საერთოდ, ბატონი ოთარის გადაღება ვერ მოასწრო.

სამაგიეროდ, მრავალი სხვა ქართველი გადაიღო, ისინი, ვინც ნინოსთვის - და არამარტო მისთვის - თბილისსა და საქართველოს ქმნიდნენ. მომავალი წლის გაზაფხულზე მათ ნიდერლანდებში გაიცნობენ, და იმედია, ჩვენც შევავლებთ თვალს, თან ცალ-ცალკე კი არა, ყველას ერთად.



მეოცე საუკუნის მიწურულის პოპულარული სახეები საქართველოში.

სკანვორდი



TV პროგრამა

8 ივლისი

რუსთავი - 2

07.30 დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.10** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.20** მხ. ფილმი "დამზადებულია ამერიკაში" (გ) **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "საჰარას საიდუმლო" **23.00** სერიალი "სოპრანოს კლანი". **00.00** მხ. ფილმი "შეყვარებულები". მთ. რ-ში: მერილ სტრიპი, რობერტ დე ნირო. (15)

TV5

07.00, 09.00, 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.30(შვეიცარია), 03.55(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **11.30** ტელეტურიზმი. **17.30** ფრანს ევროპ ექსპრესი. **21.25** ყველას თავისი გზა აქვს. დებატებს უძღვება თომა ვან ჰამი. **01.40** ტატი დანიელი. მხ. ფილმი. რეჟისორი ეტიენ შატილიე. 1990. **04.20** სერია 3-ის უდიდესი სპორტული დუელები. დოკ. ფილმი. **05.30** ზაფხულის ერთი დღე. მე-2 ეპიზოდი. მხ. ფილმი.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "იზაბელ იუპერი" **15.20** სერიალი "ზაფხულის საიდუმლო" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალის გაგრძელება **16.15** დოკ. ფილმი "ჟან ლუკ პონტი" **17.10** მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი" **17.35** ჩემი მშვენიერი ლედი **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **18.45** დოკ. ფილმი "ყველანი ორბიტაზე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00** სერიალი "ფსიქფაქტორი" (12) **23.25** "მუსიკალური არჩევნები" **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** მხ. ფილმი "ჩემი ამერიელი ძია" (12))

202

10.00 დებატები 202-ზე **11.30** მულტფილმი **12.00** 20 სთ-იანი ფილმის გამეორება **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "რა სურთ ქალებს" (მ. გიბსონი) (გ) **17.00** მულტფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "აღმზრდელები" (ედი მერფი) (გ) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **22.45** ანიმ. ფილმი "დარდუბალა 2" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "დევიდ გეილის ცხოვრება" (ქვევინ სპეისი) (18)

მზე

09.00 მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "სამყაროს შექმნა" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "კოდი კოპერნიკი" **13.10** მხ. ფილმი "მტრის ზურგში" (ოუენ უილსონი) (გ) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "დინოტოპია" **17.10** მულტსერიალი "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **17.35** მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" **18.10** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** მზერა დღის ბოლოს **00.00** მხ. ფილმი "ახირებულთა ქვეყანა" (კოლინ ჰენკსი) (15)

მეორე არხი

19.00 მულტფილმი "ბელფეგორი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა" (გ) **21.00** ეგვიპტოლოგიის პიონერები **21.30** ჩემი მშვენიერი ლედი **22.00** მხ. ფილმი "ბუქსირი" (12)

კავკასია

13.00 მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "უკან მომავალში-2" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** სერიალი "მილედი" 3-4 ს. **19.20, 21.00** სპექტრი **22.00** მხ. ფილმი "უკან მომავალში-3" **00.30** მუსიკა

იმედი

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა **07.15, 11.05, 13.15, 17.20, 02.20** იმედის მელოდიები **08.00** "იმედის" დილა **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.30** არტბულვარი **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.50** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.30** ქრონიკა **15.15** მხ. ფილმი "მხეცზე ნადირობა" (გ) **17.25** ანიმაციური ფილმი "შავი მეკობრე" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" **21.30** საქმე ! **23.00** "ნუცას სკოლა" წარმოგიდგენთ **01.00** "ესტაფეტა"

იბერია

18.00 მინისერიალი "ლიცეუმი" **18.55** დოკ. ფილმი **19.55** კონცერტი **21.30** დოკ. ფილმი **22.30** მხ. ფილმი "ბრილიანტის მახვილი" (15)

აჭარის ტელევიზია

08.30, 02.00 საინფორმაციო დაიჯესტი **08.50** სათავგადასავლო ფილმი "უცხოპლანეტელი" **11.50** დოკუმენტური ფილმი **12.30, 16.30, 22.30** საინფორმაციო გამოშვება **12.45** მხატვრული ფილმი "ბრაუნინგის ვერსია" **14.15** მუსიკა **14.25** კომედია "დიდი ლებოვსკი" **16.45** მულტსერიალი **17.40** კომედია "გამარცობათ, მე თქვენი დეიდა ვარ!" 2 სერია **18.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.00** მელოდრამა "ცისფერი მანქანა" **20.25** მუსიკა **20.30** საინფორმაციო გამოშვება **21.00** კომედია "ფანფან-ტულპანი" **23.00** "ექსკლუზივი" **23.40** დრამა "მზით დატანჯულნი" **02.20** თრილერი "სასონარკვეთის საათები" **04.00** მუსიკა **04.20** მელოდრამა "ნოსტალგია მამაზე"

ОРТ

06.00 "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости **09.20, 21.30 Сериал "Улицы разбитых фонарей" 10.20, 18.50 Сериал "Клон" 11.20** Мультсериал "Кошки-мышки" **11.40** Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь" **12.10** Юрий Назаров в фильме **"Команда-33" 14.00 Сериал "Женщины в любви" 15.20 Сериал "Скарлетт". Закл. серия 16.20** Криминальная Россия. "Смертельный звонок". 2-я с. **17.00** "Слабое звено" **18.20** Премьера. "Анекдоты" **19.50** "Стирка на миллион" **20.00 Сериал "Черный ворон". 21.00** Время **22.40** "Человек и закон" **23.30** "Ударная сила" **00.00** "Формула власти". **00.30** "Сканер" **01.00** Майкл Китон в комедии **"Газета" 03.05 Фильм "Сезон охоты" 04.40 Сериал "Патруль времени"**

НТВ

06.00 Утро на НТВ. **08.55** Сериал **"ЛЮБОВЬ ВДОВЦА". 10.00** Сегодня утром. **10.25** "Квартирный вопрос": "Хамелеон вместо бабочек". **11.20** Ток-шоу "Страна советов". **12.00, 15.00, 17.00, 19.00** "Сегодня" **12.30** Приключенческий фильм **"ГАРДЕМАРИНЫ, ВПЕРЕД!"**. 4-я серия. **14.10** Время есть. **14.35** Протокол. **15.30** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** "Дикий мир: борьба за выживание". "Существа волшебной реки". **18.35** Протокол. **19.40** Сериал **"МАНГУСТ: ШКОЛЬНЫЙ ДЕТЕКТИВ"**. Закл. серия. **20.50** Сериал **"НЕ ССОРЬТЕСЬ, ДЕВОЧКИ". 22.00** "Страна и мир" **22.35** "К барьеру!" Ток-шоу Владимира Соловьева. **23.45** Бриджет Фонда в остросюжетном фильме **"РАЗРЫВ" 02.00** Сегодня.

"შეიცვალეთ პედაგოგი, მაგრამ ნუ შეიცვლით პროფესიას"

იტალიელი ტენორი პაოლო ბარბაჩინი კონსერვატორიას სტუმრობს

მადი სერებრიაკოვა

იტალიის საელჩო საქართველოში ბოლო დროს ძალიან გააქტიურდა კულტურული თანამშრომლობის საქმეში. საოპერო მუსიკის სფეროში მათ არაერთ საინტერესო ღონისძიებას ჩაუყარეს საფუძველი. გასულ წელს, ნოემბერში, რევოლუციის დღეებში, როცა საოპერო ხელოვნებისთვის ცოტას თუ ეცალა, მათ მაინც მოახერხეს და სამი იტალიელი მომღერლის გასტროლი მოაწყეს "ტოსკაში". დღეს კი იტალიის საელჩოს ინიციატივით კონსერვატორიის დიდ დარბაზში ძალზედ საინტერესო და გამოცდილი იტალიელი ტენორის, იტალიაში საერთაშორისო ვოკალური კონკურსის სამხატვრო ხელმძღვანელის პაოლო ბარბაჩინის კონცერტი ჩატარდება.

პაოლო ბარბაჩინის საოპერო სცენაზე 1973 წელს გამოჩნდა. "ლა სკალაში" კი მისი დებიუტი 1980 წელს შედგა. იგი იტალიური ბელკანტოს ერთ-ერთი შესანიშნავი სპეციალისტია. ხანგრძლივი კარიერის მანძილზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპად მიაჩნია ჯან-ფრანკო მაზინის სახელობის კონკურსის დაარსება, რომელსაც ამჟამად თავად ბარბაჩინი ხელმძღვანელობს. თბილისში ჩამოსულ ტენორს გუშინ კონსერვატორიის დიდ დარბაზში შევხვდით, სადაც იგი რეპეტიციისა და მომავალი კონცერტისთვის ემზადებოდა. ბარბაჩინი თავად იტალიის ელჩმა წარმოგვიდგინა, რომელიც ძლიერ არის გატაცებული საოპერო ხელოვნებით და აქტიურად უჭერს მხარს ყოველგვარ ინიციატივას ამ სფეროში.

ბარბაჩინის არ სურდა საქართველოში კონცერტი მარტოს გაემართა, ამიტომაც გადაწყდა მისთვის ქართველო პარტნიორი გამოენახათ. თავად პაოლო ბარბაჩინის სურვილი იყო მის კონცერტში ახალგაზრდა მომღერალს მიეღო მონაწილეობა: **"უკვე 30 წელია სცენაზე ვარ, საკმაოდ დიდი გამოცდილება დამიგროვდა და მინდა ეს გამოცდილება სწორედ ახალგაზრდებს გავუზიარო".** არჩევანი ნიჭიერ ახალგაზრდა სოპრანოზე ნინო მაჩაიძეზე შეაჩერეს, რომელმაც წელს დაამთავრა კონსერვატორია და შესანიშნავად შეასრულა ნორინას პარტია კონსერვატორიის საოპერო სტუდიის მიერ დადგმულ "დონ პასკუალეს" საპრემიერო წარმოდგენაში. იგი უკვე რამდენიმე კონკურსის ლაურეატია.

ბარბაჩინის არა ერთი მნიშვნელოვანი პარტია აქვს ნამღერი. როსინის "სევირიელ დალაქში" ალმავივას პარტია მას 300-ჯერ აქვს შესრულებული. იგი ძალზედ ცნობილ დირიჟორებთან ერთად მუშაობდა, მათ შორის რიკარდო მუტისთან, ლორინ მააზელთან და სხვ. მისი ძმაც ცნობილი დირიჟორია. შესრულებული აქვს იტალიური ბელკანტოს მრავალი ჩანაწერი ოპერებისა და საკონცერტო არიების სახით. როგორც კონკურსის ხელმძღვანელი, იგი დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა მომღერლებს და თავადაც ჰყავს სტუდენტები. რამოდენიმე მათგანი უკვე დიდ სცენაზე მოღვაწეობს და წარმატებითაც სარგებლობს იტალიასა და ევროპაში.

პაოლო ბარბაჩინი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება ვოკალურ პედაგოგიკას. თავად ცნობილი მომღერლის ფერუჩო ტალიავინის მოსწავლე იყო და დიდი სურვილი აქვს თბილისში ყოფნისას ქართველ სტუდენტებთან მოაწყოს შეხვედრა: **"სტუდენტებთან მუშაობა ძალზედ დიდ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული. პედაგოგმა როგორც აგური აგურზე, ისე უნდა აშენოს თავისი სტუდენტის ვოკალი, მუსიკალობა და ა.შ.. სტუდენტებს ვურჩევ: ენდონ და ყოველთვის დაუჯერონ თავის პედაგოგს, ხოლო თუ რამდენიმე წელიწადში შედეგი არ იქნება, მაშინ გამოიცვალონ პედაგოგი და არა პროფესია."**

ბარბაჩინიმ საიმოვნებით ისაუბრა ქართულ ვოკალურ სკოლაზე. იგი კარგად იცნობს ცნობილ ქართველ მომღერლებს პაატა ბურჭულაძესა და ლადო ათანელს. ახალგაზრდა, დამწყებ მომღერლებს შორის კი ორიოდე თვის წინათ, ავსტრიაში, ტალიავინის სახელობის კონკურსის მონაწილე ახალგაზრდა ქართველი ბანი - შავლეგ მაჭარაშვილიც გაიხსენა. ბარბაჩინის ქართულ საოპერო ხელოვნებაზე საუბრისას მხარი იტალიის ელჩმა საქართველოში ფაბრიციო რომანომაც აუბა: **"ვინც კითხულობს გაზეთებს, ჟურნალებს, შეამჩნევს რომ ევროპაში დღეს უამრავი ქართველი მომღერალი მოღვაწეობს. მათი წილი იმდენად დიდია საოპერო სფეროში, რომ ვინც საქართველოს კარგად არ იცნობს, იფიქრებს, რომ 50 მილიონი მაინც არის მოსახლეობა. სინამდვილეში 5 მილიონიანი ქვეყნის ასეთი რაოდენობის კარგი მომღერლები დიდი მიღწევაა."**

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, იტალიის საელჩოს კიდევ ბევრი გეგმები აქვს ქართულ-იტალიური საოპერო კავშირების მხარდასაჭერად. **"ბატონი რომანოს სახით ქართულმა ოპერამ დიდი მეგობარი შეიძინა"** - აღნიშნა ცნობილმა ქართველმა მომღერალმა თემურ გუგშვილმა და იმ გეგმებზეც ისაუბრა, რომელიც ოპერაში იტალიელი მომღერლების კიდევ ერთ საგასტროლო ტურნეს ეხება, ამჯერად მოცარტის შესასრულებლად. შეხვედრაზე ექსპრომტად დაიბადა ქართველ სტუდენტებთან ერთად როსინის ერთ-ერთი ოპერის დადგმის იდეაც, რომელსაც თავად ბარბაჩინი უხელმძღვანელებს. ამ გეგმების განხორციელებამდე კი დღეს პაოლო ბარბაჩინისა და ნინო მაჩაიძის ერთობლივი კონცერტი გველოდება, რომელზეც მრავალი ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი არია და დუეტი შესრულდება იტალიელ კომპოზიტორთა შემოქმედებიდან.

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.